მოსამართლეთა საპროცესო ქცევის გავლენა

სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიუკერძოებლობის აღქმაზე

თბილისი
2023 წელი

მოსამართლეთა საპროცესო ქცევის გავლენა სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიუკერძოებლობის აღქმაზე

თბილისი
2023 წელი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

დოკუმენტი მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური გუნდისა და სტუდენტების მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობაა და არ გამოხატავს USAID-ის და/ან EWMI-ს შეხედულებებს.

სარჩევი

მადლობები 4
მოკლე შინაარსი 4
A. შესავალი 7
საკვლევი საკითხის ისტორია 7
მიზნები და ამოცანები 9
მეთოდოლოგია 10
1. მიდგომა 10
2. ინსტრუმენტები 10
3. სამიზნე ჯგუფი 11
4. შერჩევა და შეზღუდვები 11
5. მონაცემთა ანალიზი 12
6. გამოწვევები/მიღებული გამოცდილება 12
B. აღქმა საქმეების/მოსამართლეების მიხედვით 14
საქმე 01 _ მოსამართლე #1 14
საქმე 02 _ მოსამართლე #2 15
საქმე 03 _ მოსამართლე #3 15
საქმე 04 _ მოსამართლე #4 16
საქმე 05 _ მოსამართლე #5 17
საქმე 06 _ მოსამართლე #6 17
საქმე 07 _ მოსამართლე #7 18
საქმე 08 _ მოსამართლე #8 18
საქმე 09 _ მოსამართლე #9 19
საქმე 10 _ მოსამართლე #10 19
საქმე 11 _ მოსამართლე #11 20
საქმე 12 _ მოსამართლე #12 20
საქმე 13 _ მოსამართლე #13 21
საქმე 14 _ მოსამართლე #6 22
საქმე 15 _ მოსამართლე #6 22
საქმე 16 _ მოსამართლე #14 23
დასკვნა 23
C. აღქმა მთლიანი შერჩევის მიხედვით 25
1 . ზოგადი ცოდნა და დამოკიდებულებები 25
2. ზოგადად მიუკერძოებლობა 28
3. მიუკერძოებელი ქცევა 30
4 . მიუკერძოებელი გადაწყვეტილება 33
5. კმაყოფილება და მიუკერძოებლობა 35
D. მიგნებები და რეკომენდაციები 37
E. დანართები 42
დანართი #1: გამოყენებული ლიტერატურა 42
დანართი #2: საკაბინეტო კვლევის წყაროები 42
დანართი #3: საკაბინეტო კვლევის შედეგები 43
დანართი #4: მოსამართლეების კითხვარი 44
დანართი #5: ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები 45
დანართი #6: დამკვირვებლებისა და მხარეების (მოსმენის) კითხვარი 47
დანართი #7: შესწავლილი საქმეების ზოგადი აღწერა 53

მადლობები

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მადლობას უხდიან USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამას პროექტის „მოსამართლეთა საპროცესო ქცევის გავლენა სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიუკერძოებლობის აღქმაზე“ განხორციელების შესაძლებლობისთვის, ასევე "აღმოსავლეთ-დასავლეთ მენეჯმენტის ინსტიტუტს" (EWMI) პროექტის განხორციელების განმავლობაში გაწეული მუდმივი მხარდაჭერისა და წვლილისთვის.

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ასევე მადლობას უხდიან კველვის ყველა მონაწილე მოსამართლესა და სასამართლო პროცესის მხარეს ინტერვიუის მიცემაზე თანხმობისა და საკუთარი გამოცდილებისა და შეხედულებების გაზიარებისთვის.

მოკლე შინაარსი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პროექტის „მოსამართლეთა საპროცესო ქცევის გავლენა სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიუკერძოებლობის აღქმაზე“ ფარგლებში ჩატარებული კვლევის ანგარიშს. პროექტი ჩატარდა 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 მაისამდე პერიოდში „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში.

პროექტის მთავარი მიზანი იყო მოსამართლეთა მიუკერძოებლობის გარეგნული მხარის გაუმჯობესების გზების მოძიება შემდეგი საშუალებებით: (1) ცალკეული მოსამართლეების მიუკერძოებლობის შეფასება, ერთი მხრივ, ნეიტრალური დამკვირვებლების, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო პროცესის მონაწილეების მიერ; (2) ზოგადად მოსამართლეების მიუკერძოებლობის შეფასება ერთი მხრივ, ნეიტრალური დამკვირვებლების, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო პროცესის მონაწილეების მიერ; და (3) დამკვირვებლებისა და მხარეების მიუკერძოებლობის აღქმებს შორის ძირითადი განსხვავებების დადგენა შედარებითი ანალიზის საშუალებით.

კვლევის შერჩევის ზომა იყო 32 მხარე (სასამართლო პროცესის მონაწილეები), რომელთა მოსაზრებები და აღქმა მოსამართლის შესახებ შესწავლილ იქნა 32 დამკვირვებლის (სასამართლო პროცესის დამსწრეები) მოსაზრებებსა და აღქმასთან მიმართებაში.

კვლევის დასკვნები და ძირითადი მიგნებები არ შეიძლება განზოგადოებულ იქნეს პროცესის მონაწილეთა მთლიანი ერთობლიობისთვის შემდეგი მიზეზების გამო: (1) კვლევაში გამოყენებული იყო არაშემთხვევითი სახის და მცირე ზომის შერჩევა; (2) მხარეთა და დამკვირვებელთა აღქმებს შორის განსხვავებები შესწავლილ იქნა მხოლოდ ერთი მოსმენით თითოეულ საქმეში; და (3) არ არსებობდა საველე სამუშაოების მონიტორინგის სისტემა. მიუხედავად ამისა, კვლევის დასკვნები და მიგნებები მაინც უზრუნველყოფს სასარგებლო ემპირიულ შედეგებს, მოსამართლეთა მიუკერძოებლობის შესახებ მხარეთა და დამკვირვებელთა აღქმის განსხვავებების თვალსაზრისით.

ქვემოთ მოცემულია პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე მიღებული <u>დასკვნები და ძირითადი მიგნებები</u>.

შესწავლილი საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობაში როგორც დამკვირვებლები, ისე მხარეები აფასებენ მოსამართლეებს, რადგან მოსამართლეების დამოკიდებულება ორივე მხარის მიმართ თანაბარია, ისინი არ განასხვავებენ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს/ადვოკატებს, იღებენ სამართლიან და თანაზომიერ გადაწყვეტილებებს ორივე მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე/ შუამდგომლობებზე და ორივე მხარის მიმართ ახორციელებენ ერთნაირ კონკრეტულ ქცევებს.

მხარეები არ იცნობენ ან არასაკმარისად იცნობენ იმ ფორმალურ თვისებებს, რომლებიც მოსამართლეს უნდა ჰქონდეს/გააჩნდეს (მაგ. „ფართო თვალსაწიერი“, „არაობიექტურობის/წინასწარ შექმნილი აზრის (bias/prejudice) არარსებობა“ და ა.შ.).

მოსამართლის რეპუტაცია ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსამართლის შესახებ აზრის ჩამოყალიბებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის შესახებ ჩამოყალიბებული აზრის წყარო რეპუტაციაა, მხარეთა აზრი მოსამართლის შესახებ დადებითი ან უარყოფითია (ნდობა ან უნდობლობა), ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც აზრი ყალიბდება წინა გამოცდილების საფუძველზე, ასეთი მოსაზრებები ძირითადად დადებითია (ნდობა).

მხარეები არ იცნობენ მოსამართლის საპროცესო მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ან არ ახსოვთ ისინი. იმ მოვალეობებიდან და პასუხისმგებლობებიდან, რომლებსაც მხარეები იცნობენ ან ახსოვთ, ყველაზე ხშირად დასახელდა „საქმის საფუძვლიანად/კარგად განხილვა/ცოდნა“ და „მხარეებისთვის კითხვის დასმა იმაზე, სურთ თუ არა მოსამართლის აცილება“.

მოსამართლის მიერ სასამართლო საქმის დეტალების კარგად ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია მხარეებისთვის.

მოსამართლის მიუკერძოებლობის აღწერისას, ზოგადად, დამკვირვებლები უფრო კონკრეტულ, დაკვირვებად და გაზომვად მაჩვენებლებს იყენებენ, ვიდრე მხარეები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმ სტანდარტის არარსებობით, რომლის გამოყენება მხარეებს შეუძლიათ მოსამართლის მიუკერძოებელი ქცევის უფრო ობიექტური აღქმისთვის.

მხარეთა მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობის აღქმაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შემდეგი ფაქტორები: (1) „რეპუტაცია“, (2) „მხარეებისთვის სიტყვისა და გამოსვლის დასრულების შესაძლებლობის მიცემა“/ „მხარეებისთვის სიტყვის დასრულების შესაძლებლობის მიცემა“, (3) „ძლიერი მხარის (განსაკუთრებით სახელმწიფო) მიმართ კეთილგანწყობის არარსებობა“, (4) „ორივე მხარის თანაბრად ყურადღებით/ინტერესით მოსმენა“, (5) „მარტივად/გასაგებად საუბარი/ახსნა“, (6) „ორივე მხარისთვის სიტყვით გამოსვლისთვის თანაბარი დროის გამოყოფა“. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის „რეპუტაცია“ იყო არა მხოლოდ მიუკერძოებლობის აღქმის, არამედ მოსამართლის მიმართ ნდობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

მოსამართლე მიიჩნევა მიუკერძოებლად, თუ იგი უფრო მკაცრად ეპყრობა მხარეს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს (მაგ. ითხოვს დამატებით მტკიცებულებებს) და მიიჩნევა, უფრო ზუსტად „ჩანს“ მიკერძოებული, თუ ასეთი მკაცრი დამოკიდებულება არ არის სახეზე.

მოსამართლის ისეთ მიუღებელ ქცევაზე, როგორიცაა ერთ-ერთ მხარესთან გაღიზიანებული და მაღალი ხმით საუბარი, თვალის დახუჭვა ხდება მაშინ, როდესაც ასეთი მოპყრობა განიხილება როგორც სამართლიანი ანუ დამსახურებული, ადეკვატური და/ან რელევანტური.

მოსამართლის ისეთი ქცევები, როგორიცაა „ემოციების/გრძნობების გამოხატვა“, „შენიშვნების/ მითითებების გაკეთება“, „თანმიმდევრულობა/პროგნოზირებადობა“ და „პოზიტიურობა/ დახმარების სურვილი“ უფრო სუბიექტურად აღიქმება მხარეების მიერ. მხარეებისთვის მეტად შესამჩნევი და შესაბამისად უფრო მნიშვნელოვანია, მოსამართლის ისეთი ქცევები, როგორებიცაა „თანამიმდევრულობა/ პროგნოზირებადობა“ და „პოზიტიურობა/დახმარების სურვილი“.

იმ შემთხვევებში, თუ/როდესაც ერთი მხარე “უფრო სუსტია” (ნაკლებად იცნობს საპროცესო წესებს), მოსამართლის გადახრილი ქცევა ამ მხარის მიმართ დამკვირვებლების მიერ არ აღიქმება უარყოფით კონტექსტში, ვინაიდან ისინი, დიდი ალბათობით, ამ ქცევას განმარტავენ, როგორც სამართლიანს/მიუკერძოებელს, ანუ როგორც მხარეებს შორის ბალანსის აღდგენის საშუალებას, მაშინ როდესაც ასეთი ქცევა უფრო კრიტიკულად აღიქმება მხარეების მიერ, დიდი ალბათობით იმიტომ, რომ ისინი ჩართულები არიან სასამართლო პროცესში, ანუ ეს პროცესი მათთვის უფრო პირადულია.

ადმინისტრაციულ საქმეებში, თუ/როდესაც მხარე წარმოადგენს „უფრო სუსტ მხარეს“ (მოწინააღმდეგე მხარე სახელმწიფოა) და მოსამართლე განსხვავებულად ექცევა მოწინააღმდეგე „უფრო ძლიერ მხარეს“ (მაგ. ითხოვს დამატებით მტკიცებულებებს და ა.შ.), „უფრო სუსტი მხარე“ დადებითად აფასებს მოსამართლის მიუკერძოებლობას. თუმცა, სამოქალაქო საქმეებში, თუ/როდესაც მხარე წარმოადგენს „უფრო ძლიერ მხარეს“ (მოწინააღმდეგე მხარეს არ ესმის პროცედურა, მორიგების სარგებელი და ა.შ.) და მოსამართლე მოწინააღმდეგე „უფრო სუსტ მხარეს“ განსხვავებულად ექცევა (მაგ. განუმარტავს უფლებებს, პროცედურებს, მორიგების უპირატესობებს და ა.შ.), „უფრო ძლიერი მხარე“ უფრო უარყოფითად აფასებს მოსამართლის მიუკერძოებლობას.

ის მხარეები, რომლებიც მოსამართლეს მიუკერძოებლად მიიჩნევენ, უფრო კმაყოფილები არიან დავის შედეგით/ სასამართლო გადაწყვეტილებით, ვიდრე მხარეები, რომლებიც მოსამართლეს მიკერძოებულად მიიჩნევენ.

ზოგადად, ზემოთ წარმოდგენილი მიგნებები ცხადჰყოფს „საპროცესო მართლმსაჯულების“ უდიდეს მნიშვნელობას პროცესის ორივე მხარისა და ნეიტრალური დამკვირვებლების თვალში სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის აღქმის შენარჩუნებისთვის.

ქვემოთ მოცემულია წინამდებარე პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის დასკვნებისა და მიგნებების საფუძველზე შემუშავებული <u>რეკომენდაციები</u>.

სასურველია დაინერგოს მოსახლეობის ფართო ფენებზე გათვლილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა შედეგად მოსახლეობა მიიღებს სათანადო ინფორმაციას/ცოდნას მიუკერძოებლობის სტანდარტ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მოსამართლეები, მათ შორის, მოსამართლეების ტიპური თვისებების/მახასიათებლების შესახებ და ასევე, პროცედურული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რომლითაც მოსამართლეებმა უნდა იხელმძღვანელონ.

შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, მოსამართლეებისთვის უნდა დაინერგოს საპროცესო მართლმსაჯულების ისეთი სატრენინგო პროგრამები, სადაც მოცემული იქნება შემდეგი თემები: აქტიური მოსმენის უნარები, ემოციური ინტელექტი (EQ) და ცნობიერების ამაღლება იმაზე, თუ როგორ შეიძლება იყოს მოსამართლეების ქცევა აღქმული მხარეთა მიერ და იქონიოს პირდაპირი გავლენა მოსამართლეების მიუკერძოებლობის აღქმაზე. ასეთი პროგრამები უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ უნდა შემოიფარგლებოდეს საპროცესო მართლმსაჯულების ასპექტებით, რაც ხაზგასმული იყო კვლევაში:

- ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს ჰქონდეთ საშუალება სრულად გამოხატონ თავიანთი პოზიციები/მოსაზრებები და დაასრულონ გამოსვლები და თუ/როდესაც ამის უზრუნველყოფა შეუძლებელია (მაგ. დროის შეზღუდვა, წესრიგის დაცვა და ა.შ.) მათ რაღც მიიღონ სანაცვლოდ (მაგ. მხარეს განემარტოს მიზეზები, თუ რატომ არ ეძლევა მას გამოსვლის ან სიტყვის დასრულების დრო).
- მხარეებისთვის მაქსიმალური უკუკავშირის მიწოდება მოსამართლის ისეთ ქცევებთან დაკავშირებით, როგორებიცაა „ემოციების/გრძნობების გამოხატვა“, „შენიშვნების/მითითებების გაკეთება“, „თანმიმდევრულობა/პროგნოზირებადობა“, „პოზიტიურობა/დახმარების სურვილი“, და „საუბრობდა მარტივად/გასაგებად“. მაგალითად, “ემოციების/გრძნობების გამოხატვის” და „შენიშვნების/

მითითებების გაკეთების“ მიზეზების ახსნა; ისეთი ქცევების განმარტება, რომლებიც ერთ-ერთი მხარისთვის დადებითად/ ხელსაყრელად შეიძლება იყოს მიჩნეული და ა.შ.

- შემდეგი ქცევების სუბიექტური ბუნების გაცნობიერება და სიფრთხილით გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში): „ემოციების/გრძნობების გამოხატვა“, „შენიშვნების/ მითითებების გაკეთება“, „თანამიმდევრულობა/პროგნოზირებადობა“, „პოზიტიურობა/დახმარების სურვილი” და „საუბრობდა მარტივად/გასაგებად“.
- საქმის მოსმენის დროს მოსამართლემ უნდა “მკაფიოდ ისაუბროს და დარწმუნდეს, რომ ორივე მხარემ გაიგო ყველა ახსნა-განმარტება”. მაგალითად, საუბრის ან/და ახსნა-განმარტების დასრულების შემდეგ მოსამართლე ამოწმებს ორივე მხარესთან, იყო თუ არა მათთვის ყველაფერი ნათელი და გასაგები.
- როგორც კი მოსამართლე დაასრულებს საუბარს „უფრო სუსტ მხარესთან“, ანუ მხარესთან, რომელიც არ იცნობს ან ცუდად იცნობს თავის უფლებებს (განუმარტავს მხარეს უფლებებს, პროცედურულ წესებს, მორიგების უპირატესობებს და ა.შ.), მან უნდა მიმართოს სხვა „უფრო ძლიერ მხარეს“ ანუ მხარეს, რომელიც უკეთ იცნობს თავის უფლებებს და დაუსვას კითხვა, სჭირდება თუ არა მასაც რაიმე განმარტება (უფრო აქტუალურია სამოქალაქო საქმეებისთვის).
- იმ საქმეებშიც კი, სადაც არ არსებობს აშკარა „სუსტი“ ან „ძლიერი“ მხარე, მოსამართლემ სასურველია ყოველთვის ჰკითხოს მეორე მხარეს სჭირდება თუ არა მას იგივე/მსგავსი/თანაბარი დახმარება, ახსნა და ა.შ., რაც ახლახან მიიღო საპირისპირო მხარემ.

უნდა განხორციელდეს შემდგომი კვლევა მოსამართლის სიტყვების ფორმულირებების შესწავლისა და ფართო საზოგადოებისთვის მკაფიო, მარტივი და გასაგები ლექსიკის შემუშავების მიზნით.

საინტერესო იქნებოდა კვლევის შემუშავება იმის გასარკვევად, თუ როგორ ყალიბდება მოსამართლეთა რეპუტაცია, ყალიბდება თუ არა მოსამართლეთა რეპუტაცია რეალობის, აღქმის თუ ორივეს საფუძველზე იმ მხარეებისთვის, რომელთა მოსაზრებების ჩამოყალიბება მოსამართლეზე ხდება სხვა ადამიანების გამოცდილების საფუძველზე ანუ ზეპირსიტყვიერი გადმოცემის წყაროდან (მეორადი გამოცდილება) იმ მხარეების საპირწონედ, რომელთა მოსაზრებების ჩამოყალიბება მოსამართლეზე ხდება წინა საქმეებიდან/მოსმენების საფუძველზე ანუ საკუთარი გამოცდილების წყაროდან (პირველადი გამოცდილება).

ასევე, რეკომენდებულია, რომ საქმის ფაქტობრივად კარგად ცოდნასთან ერთად, მოსამართლემ ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სხდომაზე წარმოაჩინოს ეს ცოდნა.

გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ მოსამართლეებმა განაგრძონ მაღალი სტანდარტების გამოყენება იმ მხარის მიმართ, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მტკიცებულებების მოთხოვნით).

მიზანშეწონილია სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილებასა და მოსამართლის მიუკერძოებლობას შორის კავშირის შემდგომი კვლევა, რომელიც უნდა მოიცავდეს მიზეზებს/ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ სასამართლო პროცესით კმაყოფილებას თუნდაც სასამართლო პროცესის უარყოფითი/არასახარბიელო შედეგის არსებობის შემთხვევაში.

და ბოლოს, რეკომენდებულია კვლევის ინსტრუმენტის გაუმჯობესება/გადამუშავება იმ გამოცდილების შესაბამისად, რომელიც მიღებული იყო მხარეებისა და დამკვირვებლების მიერ მოსამართლეთა მიუკერძოებლობის აღქმებს შორის განსხვავებების კვლევის დროს.

წინამდებარე ანგარიში, რომელიც ასახავს პროექტის „მოსამართლეთა საპროცესო ქცევის გავლენა სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიუკერძოებლობის აღქმაზე“ შედეგებს, შედგება ხუთი ძირითადი ნაწილისგან. პირველი „შესავალი“ ნაწილის შემდეგ, რომელიც მოიცავს „საკვლევი საკითხის ისტორიას“, „მიზნებსა“ და „მეთოდოლოგიას“ (A), წარმოდგენილია მეორე ნაწილი - „აღქმა ცალკეული მოსამართლეების მიხედვით“, სადაც გამოკვლეულია სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართმსაჯულების მოსამართლეების საქმიანობის გაუმჯობესების გზები დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ მოწოდებული ინდივიდუალური შეფასებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე (B), მესამე ნაწილში - „აღქმა შერჩევის მოსამართლეების მიხედვით“ - გამოკვლეულია სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართმსაჯულების მოსამართლეების საქმიანობის გაუმჯობესების გზები დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ წარდგენილი ერთობლივი შეფასებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე (C), მეოთხე ნაწილში მოცემულია „დასკვნები, მიგნებები და რეკომენდაციები“ (D), ხოლო მეხუთე და ბოლო ნაწილი მოიცავს პროექტის ყველა შესაბამის „დანართს“ (E).

A. შესავალი

ამ თავში აღწერილია საკვლევი საკითხის ანუ მოსამართლის მიუკერძოებლობის პრინციპის ისტორია, პროექტის მიზნები და ამოცანები და ასევე, კვლევის მეთოდოლოგია.

საკვლევი საკითხის ისტორია

კანონის უზენაესობის მნიშვნელობა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ეფექტური ფუნქციონირებისთვის იმდენად აშკარაა, რომ არ საჭიროებს დამატებით ახსნას. თუმცა, თანამედროვე დემოკრატიების ეს უნივერსალური სამართლებრივი ღირებულება არ უნდა დარჩეს მხოლოდ დეკლარაციულ ლოზუნგად, არამედ უნდა განმტკიცდეს ეროვნული სამართლებრივი წესრიგის დონეზე. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს სასამართლო ხელისუფლებამ, რომლის დანიშნულებაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა [2].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ არაერთხელ განაცხადა, რომ „კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულების სათანადო აღსრულება […] ასრულებს ცენტრალურ როლს ადამიანის უფლებების ხელშეწყობასა და დაცვაში“ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სულ უფრო და უფრო იზრდება კანონის უზენაესობის მნიშვნელობა ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფაში და მოსამართლეებისა და ადვოკატების როლი ადამიანის უფლებების დაცვაში“ [3]. ამრიგად, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულების სისტემა ადამიანის უფლებების განხორციელების ორი ძირითადი მექანიზმია.

მართლმსაჯულების სისტემა ეფუძნება სახელმწიფოსა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ პრინციპებს. ეს პრინციპები უზრუნველყოფს მოსამართლეთა ეფექტურობას და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მხოლოდ მოსამართლეთა დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობით, კომპეტენციით და ა.შ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც გათვალისწინებულია მოსამართლეთა ეფექტური საქმიანობისთვის, არის მიუკერძოებლობის პრინციპი, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ „მოსამართლის თანამდებობის მთავარ კომპონენტად“.

სასამართლო საქმიანობაში მიუკერძოებლობის პრინციპის მნიშვნელობას ადასტურებს არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი და აქტი. კერძოდ,

- <u>ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია</u> (UDHR) (სამართლებრივად დეკლარაციული დოკუმენტი), რომელიც მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს, ადგენს, რომ:

  „უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება <u>დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი</u> სასამართლოს მიერ“. (UDHR, მუხლი 10) [4]

- <u>ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია</u> (ზოგადად, მოიხსენიება, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ან ECHR) (სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტი), რომელიც მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 1950 წლის 4 ნოემბერს, ითვალისწინებს, რომ:

  „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი <u>დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი</u> სასამართლოს მიერ“. (ECHR, მუხლი 6, პუნქტი 1). [5]

- <u>სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი</u> (ICCPR) (სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტი), რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2200A (XXI) 1966 წლის 16 დეკემბერს ადგენს, რომ:

  „ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ განიხილოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.“ (ICCPR, მუხლი 14, პუნქტი 1) [6]

- <u>სასამართლო დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები</u> (BPIJ) (სამართლებრივად დეკლარაციული დოკუმენტი), რომელიც მიღებულია 1985 წლის 6 სექტემბერს გაერთიანებული ერების მეშვიდე კონგრესის მიერ დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მოპყრობის შესახებ და დამტკიცებულია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 1985 წლის 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით, ადგენს, რომ:

  „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს <u>მიუკერძოებლად</u>, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ძალდატანების, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. (BPIJ, მუხლი 2) [7]

- <u>მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები</u> (BPJC) (სამართლებრივად დეკლარაციული დოკუმენტი), რომელიც მიღებულია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) მიერ 2006

წლის 27 ივლისს, აღიარებს მიუკერძოებლობას, როგორც ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას (ღირებულება 2) და აცხადებს, რომ:

> *"<u>მიუკერძოებლობას</u> აქვს არსებითი მნიშვნელობა სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად."* (BPJC, მიუკერძოებლობის პრინციპი, რასაც მოჰყვება 2.1-2.5 მუხლები). [8]

იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის არაფერია ნათქვამი სასამართლო მიუკერძოებლობის ზუსტი განმარტების უზრუნველსაყოფად და/ან მისი მნიშვნელობის დასაზუსტებლად. ამასთან, „მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მისი კონცეფციის თეორიული გააზრება, მისი შინაარსისა და კავშირის განსაზღვრა სხვა სამართლებრივ კატეგორიებთან, რომლებიც ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას" [2] .

მერიემ-ვებსტერის ლექსიკონი განმარტავს "მიუკერძოებელს", როგორც "არამიკერძოებულს ან ობიექტურს (not biased)": ყველას მიმართ თანაბარი დამოკიდებულების მქონდეს". და პირიქით, „მიკერძოებული" განიმარტება, როგორც „ერთი მხარისთვის უპირატესობის მიმნიჭებელი: არაობიექტური (biased)" [9].

როგორც ზემოთ მოყვანილი უნივერსალური ინსტრუმენტების სამართლებრივ დებულებებში ჩანს, „დამოუკიდებლობის" და „მიუკერძოებლობის" ცნებები მჭიდრო კავშირშია და ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოები მათ ერთობლივად განიხილავენ. მიუკერძოებლობა არ მიიჩნევა დამოუკიდებელ სამართლებრივ კატეგორიად და „ტრადიციულად ის განიმარტება მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და სამართლიანი სასამართლოს საერთო უფლების ფარგლებში" [2]. სხვადასხვა მკვლევართა და სამართლის სფეროს სპეციალისტთა აზრით, სასამართლოს დამოუკიდებლობა არ არის საკმარისი „სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად" და ასევე, აუცილებელია სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობა [10].

მიუკერძოებლობის არსებობა ან მისი არარსებობა შეიძლება შემოწმდეს სხვადასხვა საშუალებით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს მოსამართლის ან ტრიბუნალის, როგორც <u>ობიექტურ მიუკერძოებლობას</u>, ისე <u>სუბიექტურ მიუკერძოებლობას</u>, რათა დაადგინოს შეესაბამება თუ არა ის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს.

მიუკერძოებლობის <u>სუბიექტური ტესტი</u> საჭიროებს იმის შეფასებას, გააჩნია თუ არა მოსამართლეს რაიმე პიროვნული წინასწარ შექმნილი აზრი (prejudice) ან არაობიექტურობა (bias) მოცემულ საქმეში, ხოლო მიუკერძოებლობის <u>ობიექტური ტესტი</u> გულისხმობს იმის დადგენას, არსებობს თუ არა, გარდა მოსამართლის პირადი ქცევისა, რაიმე მკაფიო ფაქტები, რომლებიც წარმოშობს ლეგიტიმურ ეჭვებს ან შიშებს იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტულ მოსამართლეს აკლია მიკერძოებულობა [11].

ობიექტური მიუკერძოებლობის მაგალითებია ფუნქციური ხასიათის სიტუაციები, როდესაც მოსამართლეს აქვს პირადი ან იერარქიული კავშირი სამართალწარმოების სხვა მხარეებთან და/ან სიტუაციებთან და მოსამართლე ასრულებს ორმაგ/მრავალ როლს ერთსა და იმავე საქმეში (მაგ. ერთი და იგივე საკითხის განხილვა სხვადასხვა ადგილზე ან კონტექსტში, საკუთარი გადაწყვეტილებების სააპელაციო საჩივრების განხილვა). სუბიექტური მიუკერძოებლობის მაგალითებია ისეთი სიტუაციები, რომლებიც დაკავშირებულია მოსამართლის პიროვნულ ხასიათთან და ქცევასთან, როდესაც მოსამართლე გარკვეულ შენიშვნებს იძლევა და იყენებს კონკრეტულ ენას სამართალწარმოების დროს (მაგ. მოსაზრებების გამოხატვა მომჩივნის დანაშაულის შესახებ საქმის მოსმენის ადრეულ ეტაპზე, პირადი გრძნობების აღიარება რომელიმე მხარის ქმედებების შემდეგ, ემპათიური ენის გამოყენება), მოსამართლე აკეთებს საჯარო განცხადებებს საქმის შესახებ (მაგ. პრესაში ან სოციალურ ქსელებში), პირადი მიზეზების გამო მოსამართლემ ჩააწყო, რომ საქმე გადაეცეს მას [11] (იხ. სქემა).

მიუკერძოებლობის ობიექტური ტესტი	**მიუკერძოებლობის სუბიექტური ტესტი** [12]
(1) მოსამართლე ახორციელებს სასამართლო და სასამართლოგარეშე ფუნქციებს ერთსა და იმავე საქმესთან დაკავშირებით: ▪ ასევე, არის საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრი ▪ ახორციელებს, როგორც საკონსულტაციო, ისე სასამართლო ფუნქციებს ▪ მოქმედებს, როგორც კანონიერი წარმომადგენელი, მომჩივანი, მოწმე ან/და პროკურორი (2) მოსამართლე ახორციელებს განსხვავებულ სასამართლო ფუნქციებს ერთი და იგივე ან დაკავშირებული საქმის ფარგლებში: ▪ ცალკეული, მაგრამ დაკავშირებული საქმეები ▪ განსხვავებული სასამართლო როლები ერთი და იგივე სამართალწარმოების ფარგლებში	(1) პირადი დაინტერესება საქმის შედეგით (2) ნათესაური ინტერესი საქმის შედეგში (კავშირები/წევრობა/პირადი კავშირები მხარეებთან) ▪ კავშირი მოსამართლესა და მხარეებს შორის ▪ კავშირი მოსამართლეებს შორის ▪ კავშირი მომჩივანსა და სპეციალიზირებული სასამართლოს წევრებს შორის (3) პოლიტიკური დაინტერესება საქმის შედეგში (4) პირადი არაობიექტურობა(bias)/სტერეოტიპი საქმის მონაწილეთა სასარგებლოდ ან მათ წინააღმდეგ

ზოგიერთი სამართალმცოდნის აზრით, სრულყოფილი მიუკერძოებლობა - არაობიექტურობის (bias) ან წინასწარ შექმნილი აზრის (prejudice) სრული არარსებობა - მიუწვდომელი იდეალია, რამაც განაპირობა საჭიროება "საკმარისად მიუკერძოებელი" გამხდარიყო რეალისტური მიზანი. „იმის გააზრება, რომ არასრულყოფილად მიუკერძოებელი, მაინც საკმარისად მიუკერძოებელია, ხელს უწყობს სასამართლო მიუკერძოებლობის კონცეპტუალიზაციას სამ განსხვავებულ განზომილებაში: (1) საპროცესო განზომილება, რომელშიც მიუკერძოებლობა უზრუნველყოფს მხარეებისთვის სამართლიან მოსმენას; (2) პოლიტიკური განზომილება, რომელშიც მიუკერძოებლობა ხელს უწყობს სასამართლოების მიმართ საზოგადოების ნდობას; და (3) ეთიკური განზომილება, რომელშიც მიუკერძოებლობა არის კარგი ქცევის სტანდარტი მოსამართლის თვითგანსაზღვრისთვის“ [12] .

ამრიგად, მიუკერძოებლობა შეიძლება განიმარტოს, როგორც ცნება, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების, კერძოდ, „სამართლიანი სასამართლოს უფლების“ ხელშეწყობა და დაცვა კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების საშუალებით; მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ სამართლებრივ კატეგორიასთან, როგორიცაა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა; შეიძლება შეფასდეს სუბიექტური და ობიექტური ტესტებით და ემსახურება სამ განსხვავებულ აუდიტორიას - მხარეებს, საზოგადოებასა და მოსამართლეებს თავიანთი შესაბამისი განზომიელებებით - პროცედურული, პოლიტიკური და ეთიკური (იხ. სქემა).

კანონის უზენაესობა (დემოკრატიის უნივერსალური ღირებულება)

მიუკერძოებლობა (პრინციპი)	→	**ადამიანის უფლებები - სამართლიანი სასამართლოს უფლება -** (მხარეები, საზოგადოება)	←	დამოუკიდებლობა (პრინციპი)

მართლმსაჯულების სისტემა (მოსამართლეები, ადვოკატები და ა.შ.)

საქართველოს მოსახლეობის შერყეული ნდობა სასამართლოს/მოსამართლეების მიმართ [13] შეიძლება მიუთითებდეს ფაქტობრივი მიუკერძოებლობის გაუმართაობაზე და/ან მიუკერძოებლობის არასწორ გარეგნულ მხარეზე. სასამართლოს მონიტორინგი ნამდვილად წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს, ზოგადად, სასამართლო სისტემის მხარდაჭერის და კონკრეტულად, სასამართლო პრინციპების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.

მიზნები და ამოცანები

პროექტის „მოსამართლეთა საპროცესო ქცევის გავლენა სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიუკერძოებლობის აღქმაზე“ მთავარი მიზანი იყო მოსამართლის მიუკერძოებლობის გარეგნული მხარის გაუმჯობესების გზების მოძიება შემდეგი საშუალებებით: (1) ცალკეული მოსამართლეების მიუკერძოებლობის შეფასება, ერთი მხრივ, ნეიტრალური დამკვირვებლების, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო პროცესის მონაწილეების მიერ; (2) ზოგადად მოსამართლეების მიუკერძოებლობის შეფასება ერთი მხრივ, ნეიტრალური დამკვირვებლების, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო პროცესის მონაწილეების მიერ; და (3) დამკვირვებლებისა და მხარეების მიუკერძოებლობის აღქმებს შორის ძირითადი განსხვავებების დადგენა შედარებითი ანალიზის საშუალებით.

მოცემული კვლევის მიზნებისთვის „ფაქტობრივი მიუკერძოებლობა“ განისაზღვრა, როგორც “ობიექტური მიუკერძოებლობა განსაზღვრული ‘გონივრული დამკვირვებლის’ მიერ, - როლი, რომელსაც ასრულებდნენ პროექტის ინტერვიუერები/დამკვირვებლები“, ხოლო „გარეგნული მიუკერძოებლობა“ განისაზღვრა, როგორც „სუბიექტური მიუკერძოებლობა განსაზღვრული ‘საზოგადოების’ მიერ - როლი, რომელსაც ასრულებდნენ სასამართლო პროცესის მხარეები/მონაწილეები“.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მიზნებისთვის გამოყენებული ტერმინი „ობიექტური მიუკერძოებლობა“ არ არის ექვივალენტური ტერმინისა - „ობიექტური მიუკერძოებლობა“, რომელსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რათა დადგინდეს, შეესაბამება თუ არა ასეთი მიუკერძოებლობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს, მაშინ როდესაც კვლევის მიზნებისთვის გამოყენებული ტერმინი „სუბიექტური მიუკერძოებლობა“ ნაწილობრივ ემთხვევა ტერმინს „სუბიექტური მიუკერძოებლობა“, რომელსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმავე მიზნით [11]. გადაკვეთის სფეროები დაკავშირებულია სიტუაციებთან, როდესაც მოსამართლე იძლევა გარკვეულ შენიშვნებს და იყენებს კონკრეტულ ენას სამართალწარმოების დროს, მაგ., რომელიმე მხარის ქმედებით გამოწვეული პიროვნული გრძნობების აღიარება, ემპათიური ენის გამოყენება. მოსამართლეთა მიუკერძოებლობის შეფასებისას, ძირითადად, ყურადღება დაეთმო მიუკერძოებლობის სუბიექტური კონცეფციისთვის დამახასიათებელ ქცევას, ვინაიდან მოსამართლეთა ან ნაფიც მსაჯულთა სუბიექტურ არამართებულობაში ეჭვის შეტანის აუცილებლობა ხაზგასმული იყო გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ [1].

პროექტის ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელება დაიგეგმა შემდეგი ამოცანების შესრულებით:

i. მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასება ზოგადად

ii. მოსამართლის ქცევის შეფასება „გონივრული დამკვირვებლის“ თვალთახედვით/ აღქმით (ფაქტობრივი მიუკერძოებლობა)
iii. მოსამართლის ქცევის შეფასება „საზოგადოების“ თვალთახედვით/ აღქმით (გარეგნული მიუკერძოებლობა)
iv. „გონივრული დამკვირვებლის“ თვალთახედვით/აღქმული მოსამართლის ქცევის შედარება „საზოგადოების“თვალთახედვით/აღქმული მოსამართლის ქცევასთან (ფაქტობრივი მიუკერძოებლობა vs გარეგნული მიუკერძოებლობა)
v. სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეთა კმაყოფილებასა და მოსამართლეთა მიუკერძოებლობის აღქმას შორის ურთიერთკავშირების გამოვლენა/მოძიება

მეთოდოლოგია

წინამდებარე თავში აღწერილია პროექტის მეთოდოლოგიის ისეთი სხვადასხვა კომპონენტი, როგორებიცაა (1) კვლევის მიდგომა, (2) კვლევის ინსტრუმენტი, (3) სამიზნე ჯგუფის აღწერა, (4) შერჩევა და შერჩევის შეზღუდვები და (5) მონაცემთა ანალიზი, (6) გამოწვევები/მიღებული გამოცდილება.

1. მიდგომა

პროექტის მეთოდოლოგია შემუშავდა პროექტის მიზნების შესაბამისად. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემული პროექტის მთავარი მიზანი იყო მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება მიუკერძოებლობის თვალსაზრისით და ამ მიუკერძოებლობის გარეგნული მხარის გაუმჯობესების გზების გამოვლენა/მოძიება.

ამრიგად, მოსამართლეთა მიუკერძოებლობის ანალიზის მიზნით, მათი შესწავლა მოხდა ინდივიდუალურად „ქეისების“ შესწავლის მიდგომისა (თვისობრივი ანალიზი) და ჯგუფის სახით შესწავლის მიდგომის (რაოდენობრივი ანალიზი) გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში რაოდენობრივი კვლევა არ იყო ტიპიური სახით გამოყენებული, რადგან მონაცემების დამუშავებისას და წარმოდგენისას, გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ სხვადასხვა ქცევებთან დაკავშირებული სტატისტიკა, არამედ რესპონდენტების მიერ მოწოდებული ცალკეული შეფასებებიც (იმგვარი მიდგომა, როგორიც გამოიყენება თვისობრივი კვლევების დიზაინში).

მოსამართლეთა მიუკერძოებლობის გარეგნული მხარის გაუმჯობესების გზების გამოვლენის/მოძიების მიზნები მიღწეული იქნა რეფლექსიული მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობდა სასამართლო პროცესის მონაწილეებისგან უკუკავშირის მიღებას თავიანთ გამოცდილებაზე ერთი კონკრეტული სხდომის ფარგლებში (მოსამართლის ფაქტობრივი მიუკერძოებლობის შედარება მის გარეგნულ მიუკერძოებლობასთან თვისობრივი და რაოდენობრივი შედარებითი ანალიზის საშუალებით).

კვლევის მიზნების უზრუნველსსაყოფად გაკეთდა დაშვება, რომ მოსამართლის ობიექტური მიუკერძოებლობის შეფასება შეიძლება განხორციელდეს „გონივრული დამკვირვებლის“ ანუ პროექტის ინტერვიუერების/დამკვირვებლების მიერ შესრულებული როლის საფუძველზე (ფაქტობრივი მიუკერძოებლობა), ხოლო მოსამართლის გარეგნული მიუკერძოებლობის შეფასება შეიძლება განხორციელდეს „საზოგადოების“ ანუ მხარეების/სასამართლო პროცესის მონაწილეების მიერ (გარეგნული/აღქმული მიუკერძოებლობა).

2. ინსტრუმენტები

პროექტის კვლევის მთავარი ინსტრუმენტის - დამკვირვებლებისა და მხარეებისთვის კითხვარის - პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დამკვირვებლებისთვის და მხარეებისთვის კითხვარის შემუშავებისთვის ჩატარდა საკაბინეტო კვლევა და ჩაღრმავებული ინტერვიუები.

სხვადასხვა რესურსი, როგორიცაა იურიდიული ფაკულტეტების პროფესორები, EWMI პერსონალი, ინტერნეტი და ა.შ. ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა შესასწავლი საგნის ისეთი თეორიული კვლევების შესაბამისი მასალების (მაგ. სტატიები, მიმოხილვები და ა.შ.) მოძიებისთვის, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, „მიუკერძოებლობის პრინციპის“ კომპონენტებს/მაჩვენებლებს/ელემენტებს (იხ. დანართი #1, დანართი #2 და დანართი #3). საკაბინეტო კვლევის შედეგად მოპოვებულ მონაცემებს დაემატა მოსამართლეთა ჩაღრმავებული ინტერვიუები, რომლებიც ჩატარდა ჩაღრმავებული კითხვარის გამოყენებით (იხ. დანართი #4 და დანართი #5). მოსამართლეების მოძიება ჩაღრმავებული ინტერვიუებისთვის მოხდა პროექტის წევრების ნაცნობების, მეგობრების, ნათესავების, თანამშრომლების და ა.შ. რეკომენდაციებით. zoom-ის საშუალებით მოხდა გამოკითხვა სულ ოთხი მოსამართლის, სამი ქალისა და ერთი მამაკაცის, საიდანაც 2 წარმოადგენდა სამოქალაქო, ხოლო 2 - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას და მათი პასუხები გამოყენებულ იქნა დამკვირვებლებისა და მხარეებისთვის კითხვარის შემუშავებისთვისთვის.

კვლევის მთავარი ინსტრუმენტის გაუმჯობესების პროცესი მოიცავდა კიდევ ერთ საფეხურს, რომელიც იყო საპილოტე კვლევა, რომლის საფუძველზეც შემუშავდა კითხვარის საბოლოო ვერსია (იხ. დანართი #6).

კვლევის ინსტრუმენტის საბოლოო ვერსია წარმოადგენს ნახევრადსტრუქტურირებულ კითხვარს ანუ კითხვარს, რომელიც მოიცავს დახურული და ღია კითხვების რიგს და შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისგან:

(1) ზოგადი ინფორმაცია სასამართლო საქმის შესახებ, (2) მხარეთა ზოგადი დამოკიდებულებები/ მოსაზრებები, (3) სექცია დამკვირვებლებისთვის (ფაქტობრივი მიუკერძოებლობის შესასწავლად) და (4) სექცია მხარეებისთვის (გარეგნული/აღქმული მიუკერძოებლობის შესასწავლად). მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნაწილი - დამკვირვებლებისა და მხარეებისთვის განკუთვნილი სექცია - იყო შევსებული დამკვირვებლების/ინტერვიუერის მიერ, პირველი სექცია გამოიყენებული იყო საკუთარი დაკვირვებების ჩასაწერად (საქმის მოსმენის დროს), ხოლო მეორე სექცია გამოიყენებული იყო მხარეთა პირისპირ გასაუბრების შედეგად მიღებული პასუხების ჩასაწერად (საქმის მოსმენის დასრულების შემდეგ).

სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეთა კმაყოფილებასა და გარეგნულ/აღქმულ მიუკერძოებლობას შორის კავშირის დასადგენად, შემუშავდა სასამართლო სხდომის შემდგომ ჩასატარებელი კითხვარის მოკლე სექცია. ინფორმაცია საქმის შემდგომი განვითარებისა და სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილების შესახებ შეგროვდა ისეთი საშუალებებით, როგორებიცაა სასამართლოს ორივე მონაწილე მხარისგან პირისპირ გასაუბრება (იმ შემთხვევებში, სადაც დავა დასრულდა დაკვირვების ქვეშ მყოფ სხდომაზე) და სატელეფონო ინტერვიუები (იმ შემთხვევებში, სადაც დავა დასრულებულა დაკვირვების ქვეშ მყოფი სხდომის შემდეგ).

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მიზნების გარდა, პროექტს ჰქონდა კიდევ ერთი დამატებითი მიზანი, როგორიცაა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მხარდაჭერა ცოდნის, კვლევისა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავდა/შეიქმნა თვითშეფასების კითხვარი სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონის შესასწავლად. კითხვარი გაეგზავნა პროექტის მონაწილეებს საველე სამუშაოს დასაწყისში საბაზისო ინფორმაციის დადგენის მიზნით და საველე სამუშაოს დასრულების შემდეგ მათი ცოდნისა და უნარების დონის შესახებ საბოლოო მონაცემების მიღების მიზნით. საბაზისო და საბოლოო გამოკითხვის შედეგები შეჯამდა მოკლე აღწერილობითი ანგარიშის სახით.

3. სამიზნე ჯგუფი

მოცემულ პროექტში გამოყენებული კვლევის მიდგომა არატიპიური იყო, ანუ სასამართლო საქმეები/მოსამართლეები შესწავლა მოხდა მხარეთა მოსაზრებებისა და შეხედულებების საფუძველზე დამკვირვებლების დახმარებით. შესაბამისად, კვლევის ძირითადი და პირველადი სამიზნე ჯგუფებს მხარეები წარმოადგენდნენ. ამდენად, მოსამართლეების შერჩევა კვლევისთვის მოხდა არა მიზანმიმართულად, არამედ ძირითადი სამიზნე ჯგუფის შერჩევის შედეგად.

სამიზნე ჯგუფის თავდაპირველი შემადგენლობა იყო სასამართლო დავის 30 მონაწილე (15 მოსარჩელე და 15 მოპასუხე) და 30 დამკვირვებელი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და/ან ახლად კურსდამთავრებულები). მათი მოსაზრებებისა და აღქმების შესწავლა დაგეგმილი იყო 15 საქმეზე/15 მოსამართლეზე (5 სამოქალაქო, 5 ადმინისტრაციული და 5 სისხლის სამართლის საქმე). თუმცა, სისხლის სამართლის საქმეების ბუნებიდან გამომდინარე არსებული გამოწვევების გამო (მაგ. მხარეთა ემოციური ჩართულობა, კონკრეტული პროცედურული წესები და ა.შ.) მათი ჩატარება ვერ მოხერხდა და პროექტის საველე სამუშაოების ეტაპზე, დაგეგმილი 5 სისხლის სამართლის საქმე ჩანაცვლდა 6 სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმით (3 ადმინისტრაციული საქმე და 3 სამოქალაქო საქმე). შესაბამისად, დავის 30 დაგეგმილი მონაწილის ნაცვლად შესწავლილი იქნა 32 დავის მონაწილის (16 მოსარჩელე და 16 მოპასუხე) მოსაზრებები და აღქმები 16 საქმეზე/14 მოსამართლეზე[1] (8 სამოქალაქო საქმე და 8 ადმინისტრაციული საქმე) (იხ. დანართი # 7).

4. შერჩევა და შეზღუდვები

პროექტის რაოდენობრივ ნაწილში გამოყენებულ იქნა არა-სავარაუდო (არა-შემთხვევითი) შერჩევა. ასეთი შერჩევის მიზანი იყო სამიზნე ჯგუფის შესარჩევი შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება: (1) ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებში მონაწილე მხარეები[2], (2) მხარეები, რომლებსაც აქვთ დავები პირველი ინსტანციის სასამართლოში და (3) მხარეები, რომლებიც ესწრებიან მოსმენებს, სადაც ასევე იმყოფება სხვა/მოწინააღმდეგე მხარე.

შერჩევის ზომა იყო 32 მხარე, რომელთა მოსაზრებები და აღქმები მოსამართლის შესახებ შესწავლილი იქნა 32 დამკვირვებლის მოსაზრებებსა და აღქმებთან მიმართებაში.

პროექტის რაოდენობრივი ნაწილის შეზღუდვებს წარმოადგენდა არა-შემთხვევითი შერჩევა და მცირე ზომის შერჩევა. არა-შემთხვევითი შერჩევა მოიცავს კვლევის არაობიექტურობის (bias) რისკს, ხოლო მცირე ზომის შერჩევა ჩვეულებრივ ამცირებს კვლევის შიდა და გარე ვალიდურობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არაობიექტურობა (bias).

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეზღუდვების გამო, შედეგების განზოგადება მხარეებისთვის უნდა მოხდეს უკიდურესი სიფრთხილის გამოყენებით, ხოლო დასკვნები და ძირითადი მიგნებები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მხარეთა აღქმის უხეში/ ზოგადი შეფასებისთვის.

---

[1] საველე სამუშაოების დროს გაირკვა, რომ სამ შესწავლილ საქმეში მოსამართლე იგივე იყო. ასე რომ, საბოლოოდ შეფასდა 14 მოსამართლის მიუკერძოებლობა.

[2] სისხლის სამართლის დავები კვლევის შემდგომ ეტაპზე შეიცვალა ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეებით. იხილეთ „3. სამიზნე ჯგუფები“ და „6. გამოწვევები/მიღებული გამოცდილება“.

5. მონაცემთა ანალიზი

შეგროვებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა, როგორც ცალკეული მოსამართლეებისთვის, ისე მხარეთა მთლიანი შერჩევისთვის აგრეგირებულად. თვისობრივი ანალიზი გამოყენებული იყო ცალკეული მოსამართლეების მიუკერძოებლობის შესაფასებლად დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ მოწოდებული შეფასებების და მათი შედარების გამოყენებით, ხოლო რაოდენობრივი ანალიზი გამოყენებული იყო მთლიანი შერჩევის მოსამართლეების მიუკერძოებლობის შესაფასებლად დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ მოწოდებული შეფასებების შედარების გამოყენებით. მხარეების აღქმები („მოსამართლეთა გარეგნული/აღქმული ქცევა“) შედარებული იყო დამკვირვებლების აღქმებთან („მოსამართლეთა ფაქტობრივი ქცევა“).

მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზის მიზნებისათვის, განხორციელდა ღია კითხვების პასუხების შეგროვება, კოდირება და დახურული კითხვების პასუხებთან ერთად შეყვანა სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში - SPSS (ვერსია 27.0) - შექმნილ მონაცემთა ფაილში. მონაცემთა შეყვანის დასრულების შემდეგ, განხორციელდა მონაცემთა ფაილის გაწმენდა, დამუშავება და გაანალიზება ისეთი სხვადასხვა აღწერილობითი სტატისტიკური საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა სიხშირე, χ2ვარედინი ცხრილები, ხი-კვადრატის ტესტი, საშუალო მაჩვენებელი, სტანდარტული გადახრა და ა.შ.

6. გამოწვევები/მიღებული გამოცდილება

პროექტი უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო შემდეგი ფაქტორების გამო: (1) მოსამართლეთა მოძიება და მათი თანხმობის მიღება ინტერვიუში მონაწილეობაზე; (2) იმგვარი მოსმენების იდნტიფიცირება, სადაც ორივე მხარე მონაწილეობს; (3) მხარეების თანხმობის მიღება ინტერვიუებში მონაწილეობაზე; (4) მხარეების როლებით გამოწვეული ინტერვიუერების/დამკვირვებლების დაბნეულობა ადმინისტრაციულ საქმეებში.

პროექტის საველე სამუშაოების ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული გამოწვევები. თითქმის შეუძლებელი იყო სასამართლო პროცესის მონაწილეებთან გასაუბრების ჩატარება შემდეგი მიზეზების გამო:

(1) სასამართლო სხდომას არ ესწრება არცერთი მხარე ან სასამართლო დარბაზში, საქმეთა უმრავლესობაში, მხოლოდ ერთი მხარე იმყოფება სისხლის სამართლის საქმეების უკიდურესი ემოციური ბუნების გამო (მკვლელობა, გაუპატიურება, ძალადობა და ა.შ.), სადაც მხარეებს არ აქვთ ერთმანეთის ნახვის/გაცნობის სურვილი;

(2) თუ/როდესაც სხდომას ორივე მხარე ესწრება, მოპასუხესთან მიახლოება რთულია, ვინაიდან იგი საქმეთა უმრავლესობაში დაპატიმრებულია (ან თუ მოპასუხე არ არის დაპატიმრებული, სასამართლოში მეორე მხარე არ იმყოფება);

(3) თუ/როდესაც შესაძლებელია მოპასუხესთან მიახლოება, დამკვირვებლებს/ინტერვიუერებს ესაჭიროებათ პროკურორის ნებართვა მასთან გასაუბრების ჩასატარებლად;

(4) თუ/როდესაც პროკურორი დამკვირვებლებს/ინტერვიუერებს აძლევს მოპასუხესთან გასაუბრების უფლებას, მათ მაინც სჭირდებათ მოსამართლის ნებართვა გასაუბრების ჩასატარებლად;

(5) თუ/როდესაც პროკურორი და მოსამართლე დამკვირვებლებს/ინტერვიუერებს მოპასუხესთან გასაუბრების უფლებას აძლევს, მათ მაინც შეიძლება მიიღონ უარი გასაუბრებაზე თავად მოპასუხისგან.

პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ეხებოდა კვლევის ბოლო ეტაპს - საქმის მოსმენის შემდგომ კვლევას, სადაც დაგეგმილი ინტერვიუებიდან მოხერხდა მხოლოდ მცირე, ნახევარზე ნაკლები, რაოდენობის ჩატარება. კერძოდ, დაგეგმილი 32 ინტერვიუდან (16 საქმე) საქმის მოსმენის შემდგომი კვლევის ეტაპზე ჩატარდა მხოლოდ 15 ინტერვიუ (7.5 საქმე) ანუ დაგეგმილი ინტერვიუების 46.9%, რაც გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით:

(1) რიგ შემთხვევებში, შესასწავლი საქმეები არ იყო დასრულებული საქმის მოსმენის შემდგომი კვლევის ეტაპისთვის (6 ინტერვიუ/3 საქმე/18.8%).

(2) რიგ შემთხვევებში, რესპონდენტებმა უარი განაცხადეს დამკვირვებლებისთვის/ინტერვიუერებისთვის საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდებაზე (10 ინტერვიუ/5 საქმე/31.3%).

(3) ერთ შემთხვევებში, გამოკითხულმა მხარეემ/რესპონდენტმა უბრალოდ არ უპასუხა დამკვირვებლების/ინტერვიუერების მიერ განხორციელებულ ზარებს (1 ინტერვიუ/0.5 საქმე/3.1%).

პროექტის ზემოთ აღწერილი გამოწვევების უმრავლესობა წარმატებით იქნა დაძლეული პროექტის გუნდის მიერ. შედეგად, პროექტის მიმდინარეობისას მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც აღწერილია ქვემოთ:

- მოსამართლეთა ინტერვიუში მონაწილეობაზე თანხმობის მოპოვება და მიღება: მოსამართლეებთან ნაცნობობების საშუალებით მოპოვებული კონტაქტები ეფექტური გზა აღმოჩნდა, როგორც მოსამართლეების მოსაძებნად, ასევე ინტევიუში მონაწილეობაზე მათი თანხმობის მისაღებად.
- სხდომების იდენტიფიცირება, სადაც ორივე მხარე მონაწილეობს: ისეთი სასამართლო სხდომების იდენტიფიცირება/მოძიება, რომლებსაც ორივე მხარე ესწრებოდა, მთელი საველე სამუშაოების განმავლობაში იყო მთავარი გამოწვევა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის დახმარების მოთხოვნით წერილებმა შედეგი არ გამოიღო.

- <u>მხარეების თანხმობის მიღება ინტერვიუში მონაწილეობაზე</u>: ინტერვიუში მონაწილეობის მიღებაზე მხარეთა თანხმობის მიღებისთვის, რომელიც რჩებოდა მთავარ გამოწვევად მთელი საველე სამუშაოების განმავლობაში, ინტერვიუერები/დამკვირვებლების ძირითადად იყენებდნენ თავიანთ კომუნიკაციურ/ სოციალურ უნარებს, დარწმუნების უნარს და ა.შ. – მიდგომა, რომელიც სხვა საშუალებებთან შედარებით უფრო ეფექტური აღმოჩნდა.
- <u>მხარეთა როლებით გამოწვეული ინტერვიუერის/დამკვირვებლის დაბნეულობა ადმინისტრაციულ საქმეებში</u>: რამდენიმე შემთხვევაში, ერთი და იმავე ადმინისტრაციული საქმის ორმა ინტერვიუერმა/ დამკვირვებელმა განსხვავებულად განსაზღვრა სახელმწიფოს სასამართლო როლი (ერთმა ჩათვალა, რომ სახელმწიფო მოსარჩელე იყო, ხოლო მეორემ ჩათვალა, რომ სახელმწიფო მოპასუხე იყო). დიდი ალბათობით, ინტერვიუერების/დამკვირვებლების მოლოდინების/ცოდნის მიხედვით, სახელმწიფო სუბიექტს მხოლოდ ან უემტესწილად მოპასუხის როლი შეიძლება ჰქონდეს.
- <u>სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული გამოწვევები</u>: პროექტის გამოცდილებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე მხარეების თანხმობის მიღება გასაუბრებაში მონაწილეობაზე თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან სისხლის სამართლის საქმეების ბუნება ძალიან სპეციფიკურია და მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმეებისგან. ამრიგად, სისხლის სამართლის საქმეების განხილვა სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმეების მსგავსად არ შეიძლება.
- <u>დავის შემდგომ კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები</u>: თუ/როდესაც პროექტი მიზნად ისახავს ორ ინდიკატორს/ფაქტორს შორის კავშირის შესწავლას (მაგ. მიმართება მიუკერძოებლობის აღქმასა და სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილებას შორის), ხოლო აქედან ერთი ინდიკატორის/ფაქტორის შესწავლა ხდება პროექტის საწყის ეტაპზე (მაგ. მიუკერძოებლობის აღქმა) და მეორე – პროექტის ბოლო ეტაპზე (მაგ., სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილება), პროექტის/კვლევის ისეთი ვადა, როგორიც არის წინამდებარე პროექტში გამოყენებული 7 თვე საკმარისი არ არის.
- <u>კვლევის ძირითადი ინსტრუმენტის ზომა და კითხვები</u>: მთავარი კითხვარის ზომის გამო, კითხვარის ჩატარება აღმოჩნდა შრომატევადი დროისა და ენერგიის თვალსაზრისით (კითხვების დიდი ოდენობა) და შედეგად იმოქმედა კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებელსა და ზოგიერთი რესპონდენტისგან მიღებული პასუხების ხარისხზე (ინტერვიუს რაც შეიძლება მალე დამთავრების განზრახვა). კვლევის ძირითად ინსტრუმენტთან დაკავშირებული სხვა გამოწვევები იყო (1) ღია კითხვები, რომლებზე მიღებული პასუხები იყო მოკლე და ზედაპირული; (2) კითხვები შუამდგომლ(ებ)ის განყოფილებიდან, საიდანაც მიღებული ინფორმაცია აღმონდა ნაწილობრივ ან საერთოდ არაინფორმატიული საკვლევ საკითხზე; და (3) მოსამართლის მიუკერძოებლობის ამსახველი ზოგიერთი დებულება, რომელიც ორაზროვანი აღმოჩნდა ანუ გაგებული იქნა არაერთგვაროვნად (მაგ. მოსამართლის ქცევა, სადაც ის ნაკლები პროცესუალური ცოდნის მქონე მხარეს უხსნის უფლებებს, შეიძლება აღქმული იყოს ორივენაირად - მიუკერძოებლად ან მიკერძოებულად).
- <u>წყვილი ინტერვიუერები/დამკვირვებლები, როგორც საველე სამუშაოების მონიტორინგის ინსტრუმენტი</u>: დაწყვილებული ინტერვიუერები/დამკვირვებლები სასარგებლო აღმოჩნდა საველე სამუშაოების მონიტორინგის მიზნებისთვის, რადგან ინტერვიუერების/დამკვირვებლების პასუხებში არსებული შეუსაბამობები/განსხვავებები შეიძლება შემოწმდეს ორივე ინტერვიუერის/დამკვირვებლის მიერ შევსებული კითხვარების შედარებით ან მათი პასუხების ერთმანეთთან გადამოწმებით. ეს მიდგომა ამცირებს მონაცემთა გაყალბების რისკებს და ასევე, უზრუნველყოფს ეფექტურ ინსტრუმენტს საველე სამუშაოების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირისთვის, რათა მან შეძლოს წყვილი ინტერვიუერების/დამკვირვებლების პასუხებში შეუსაბამობების/განსხვავებების გამოვლენა/ გამოაშკარავება. თუმცა, ამ მიდგომის დროსაც არსებობს რისკი, რომ დაწყვილებულმა ორმა ინტერვიუერმა/დამკვირვებელმა ერთად გააყალბოს მონაცემები.
- <u>ჩატარებული ინტერვიუების ხარისხი/მიღებული პასუხები</u>: რიგ შემთხვევებში რესპონდენტთა პასუხებზე აშკარად იქონია გავლენა ინტერვიუერების/დამკვირვებლების შეხედულებმა. ინტერვიუების ხარისხთან დაკავშირებული კიდევ ერთი გამოწვევა იყო დამკვირვებლების/ინტერვიუერების დაბნეულობა ადმინისტრაციული საქმეების მხარეებთან მიმართებაში, რომელიც ზემოთ იყო აღწერილი.
- <u>თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის დიზაინი</u>: როგორც ჩანს, კვლევის ძირითადი დიზაინი (რაოდენობრივი კვლევა), ისევე როგორც კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი (ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი) ვერ უზრუნველყოფს ვერც მაღალი ხარისხის თვისობრივი მონაცემების (მაგ. ღია კითხვებზე შესაბამისი პასუხების მიღების შეუძლებლობა დროითი შეზღუდვის გამო) და ვერც რაოდენობრივი მონაცემების (მაგ. მონაცემთა განზოგადების შეუძლებლობა მცირე შერჩევის გამო) მიღებას.

B. აღქმა საქმეების/მოსამართლეების მიხედვით

ამ თავში აღწერილია მხარეებისა და დამკვირვებლების მიერ 16 საქმესა და 14 ადმინისტრაციული და სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემის მოსამართლესთან დაკავშირებული მიუკერძოებლობის აღქმების შესწავლის შედეგები საქმეების/მოსამართლეების მიხედვით. ცალკეული მოსამართლეების მიუკერძოებლობის აღქმის შესწავლა განხორციელდა ერთ მოსამართლეზე ერთი სამართალწარმოების/საქმის და არა მოსამართლის ზოგადი საქმიანობის შესწავლის საფუძველზე და მოიცავდა (1) ზოგად ინფორმაციას საქმის შესახებ და (2) მოსამართლის მიუკერძოებლობის ინდივიდუალურ აღწერას დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ.

<u>საქმის შესახებ ზოგადი ინფორმაცია</u> შეიცავდა შემდეგ ინფორმაციას: მოსამართლის სახელი და გვარი; დაკვირვების/ინტერვიუს თარიღი; დავის საგანი; დამკვირვებლების/ინტერვიუერების ვინაობა, რომლებმაც ჩაატარეს მხარეების გამოკითხვა; მხარეთა წარმომადგენლის/ადვოკატის არსებობა; მხარეთა სქესი და ასაკი; მხარეთა სასამართლო პროცესებში გამოცდილება (დავების რაოდენობა, რომელშიც მონაწილეობდა მხარე, სხდომების რაოდენობა, რომელსაც ესწრებოდა მხარე); მიმდინარე დავის ხანგრძლივობა და მიმდინარე სხდომის რიგი; დაყენებული და დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები (კითხვები Q1- Q17)

<u>მოსამართლის მიუკერძოებლობის ინდივიდუალური აღწერა</u> მოიცავდა მოსამართლის მიუკერძოებლობის აღწერას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: (1) მოსამართლის მიუკერძოებლობა ზოგადად (კითხვები BB1-BB6, B1-B6), (3) მოსამართლის მიუკერძოებლობა გამოვლენილი კონკრეტული ქცევით თითოეული მხარის, ასევე მხარის და მისი წარმომადგენლის/ადვოკატის მიმართ (კითხვები BB13-BB14, B13-B14), (3) მოსამართლის მიუკერძოებლობა მხარეთა შუამდგომლობაზე/შუამდგომლობებზე მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით (კითხვები BB7-BB12, B7- B12).

საქმე 01 _ მოსამართლე #1

ზოგადი ინფორმაცია იმ საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 06.02.2023 და რომელიც წარმართა მოსამართლე #1-მა სამოქალაქო მართლმსაჯულებიდან, მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: სახელშეკრულებო სამართალი	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ ადვოკატი:	დიახ	დიახ
2	მხარის სქესი:	მამრობითი	მამრობითი
3	მხარის ასაკი:	47	44
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	2	1
5	სესიებზე დასწრება:	2	2
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	1 წელი+	15 თვე
7	მიმდინარე სესიის რიგი:	მეორე	მეორე
8	დაყენებული შუამდგომლობა(ები):	1) მოსმენის გადადება	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა(ები):	დიახ	–

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #1 არის <u>ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე</u>, რომელიც თანაბრად ექცევა ორივე მხარეს და ასევე არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #1 აღიქმება/შეფასებულია როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მხარეებს თანაბარი დრო მიეცათ თავიანთი პოზიციების დასაფიქსირებლად. ასევე, მოსამართლემ მხარეებს დეტალურად განუმარტა მორიგებასთან დაკავშირებული ტერმინები მათთვის მორიგების შეთავაზებისას“.
- მოპასუხეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე იყო მოტივირებული, რომ საქმე დასრულებულიყო მორიგებით ორივე მხარის მოთხოვნების თანაბრად დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად“.
- მხარე – მოსარჩელე: „მოსამართლემ არ დაიკავა არცერთი მხარის პოზიცია უკანონოდ“.
- მხარე – მოპასუხე: „მოსამართლე ცდილობს მიაღწიოს მორიგებას და ასევე აქვს კარგი რეპუტაცია. ისეთი განცდა მქონდა, რომ მოსამართლის რეპუტაციამ გაამართლა“.

მოსამართლე #1-ის <u>ქცევა</u> მხარეების მიმართ სასამართლოში ყველა მონაწილემ და დამსწრემ შეაფასა, როგორც თანაბარი თითქმის ყველა კრიტერიუმის მიხედვით. მოსამართლის ქცევა ერთ-ერთმა დამკვირვებელმა (მოპასუხის ინტერვიუერმა) აღიქვა როგორც ერთი მხარის მიმართ უფრო გადახრილი მეორესთან შედარებით ორ შემთხვევაში: (1) მოსარჩელის მიმართ, ვინაიდან მოსამართლე „თანხმდებოდა მოსარჩელის მორიგების პირობებს“ („გამოთქვა საკუთარი მოსაზრება“) და (2) მოპასუხის მიმართ, ვინაიდან მოსამართლე ”მოპასუხეს უხსნიდა მორიგების მნიშვნელობას” (”გააკეთა შენიშვნა/მითითება”).

მოსამართლე #1-ის <u>გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები</u> მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის შესახებ ყველა დამკვირვებელმა და მხარემ შეაფასა როგორც სამართლიანი და თანაზომიერი, ვინაიდან „არცერთ მხარეს არ გაუპროტესტებია შუამდგომლობა“.

საქმე 02 _ მოსამართლე #2

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 08.02.2023 და რომელიც წარმართა მოსამართლე #2-მა სამოქალაქო მართლმსაჯულებიდან, მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: შრომის სამართალი	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ ადვოკატი:	დიახ	დიახ
2	მხარის სქესი:	მდედრობითი	მდედრობითი
3	მხარის ასაკი:	31	71
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	1	2
5	სესიებზე დასწრება:	1	5
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	05.10.2022-დან	11.11.2022-დან
7	მიმდინარე სესიის რიგი:	მესამე	მესამე
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	(1) ახალი მტკიცებულების წარდგენა (2) იგივე/ფერადი მტკიცებულების წარდგენა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	–	(1) დიახ, (2) დიახ

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #2 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ექცევა ორივე მხარეს, ასევე არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც მოსამართლე #2 აღიქმება/შეფასებულია, როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე მხარეებს თანაბრად ეპყრობოდა. იგი თანაბარი ძალისხმევით ცდილობდა ორივე მხარისთვის გაეკეთებინა შენიშვნები, გაერკვია საკითხები, დაესვა კითხვები და გაეცა პასუხები“.
- მოპასუხეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „ორივე მხარემ მიიღო თანაბარი დრო საკუთარი პოზიციების სრულად წარმოსაჩენად“.
- მხარე – მოსარჩელე: „მან საკმარისი დრო დაუთმო მხარეს აზრის გამოთქმისთვის/ სიტყვის დასასრულებლად“.
- მხარე – მოპასუხე: „ორივეს ჰქონდა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი პოზიციის წარმოჩენის დასასრულებლად“.

მოსამართლე #2-ის ქცევა მხარეების მიმართ აღწერილი იყო სასამართლოში ყველა მონაწილისა და დამსწრეს მიერ, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

მოსამართლე #2-ის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის შესახებ ყველა დამკვირვებლის მიერ შეფასდა, როგორც სამართლიანი და თანაზომიერი, ვინაიდან „მტკიცებულებები სამართლიანობის მნიშვნელოვანი ელემენტია“ და „მტკიცებულებები ობიექტური მიზეზების გამო წარმოდგენილ იქნა დაგვიანებით“ და ასევე მხარეების მიერ, ვინაიდან „ეს განხორციელდა ლეგიტიმური გზით ე.ი. მხარეებს დაუსვეს კითხვები“ და „მტკიცებულებები დაგვიანებით იქნა წარდგენილი ობიექტური მიზეზების გამო“.

საქმე 03 _ მოსამართლე #3

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 16.02.2023 და რომელიც წარმართა ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მოსამართლე #3-მა მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	არა	დიახ
2	მხარის სქესი:	მამრობითი	მამრობითი
3	მხარის ასაკი:	46	50
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	ბევრი/არ მახსოვს	3
5	სესიებზე დასწრება:	ბევრი/არ მახსოვს	2
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	1 დღე	2 თვე
7	მიმდინარე სესიის რიგი:	პირველი	მეორე
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	შშმპ-ს მოწმობის წარდგენა	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	დიახ	-

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #3 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ეპყრობა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #3 აღიქმება/შეფასებულია როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლების და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე მოქმედებდა მიუკერძოებლად, მაგრამ მომეჩვენა, რომ ის ზედმეტად ემოციური იყო მოპასუხის მიმართ“.

- მოპასუხეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე იყო მიუკერძოებელი, მაგრამ მეტი ემოცია გამოავლინა მოპასუხეს მიმართ, რაც უნდა აღინიშნოს“
- მხარე – მოსარჩელე: „მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვართ, მოსამართლე ჩვენ მხარეს არ არის და დამატებითი დოკუმენტაცია მოითხოვა. თუ საქმე უნდა შეწყდეს, ის შეწყვეტს მას“.
- მხარე – მოპასუხე: „მოსამართლე ორივე მხარეს თანაბრად ეპყრობოდა“

მოსამართლე #3-ის ქცევა მხარეების მიმართ ორივე მხარემ შეაფასა, როგორც მიკერძოებული მოპასუხის მიმართ, რომელიც მზად იყო მიეღო თავისუფლების აღკვეთა ჯარიმის ნაცვლად, რომლის გადახდის საშუალება არ ჰქონდა შემდეგი მიზეზების გამო: (1) „[მოსამართლემ გააკეთა ახსნა-განმარტებები ი.მ.] მოპასუხისთვის, რომელსაც არ ესმოდა ის კანონი, რომლის შესაბამისად მოსამართლე ვერ დააპატიმრებდა მას, თუ მანამდე არ გამოიყენებდა უფრო მსუბუქ სანქციას“ („გამოთქვა საკუთარი აზრი“) და (2) „მოსამართლის გამოსვლიდან შეიძლება ითქვას, რომ მას სურდა დახმარება [მოპასუხეს ი.მ.], მაგრამ კანონით იყო შეზღუდული“ („იყო პოზიტიური/უნდოდა დახმარება“). ერთ-ერთმა დამკვირვებელმა (მოპასუხეს ინტერვიუერმა) მოსამართლის ქცევა აღწერა, როგორც მოპასუხისკენ გადახრილი, ვინაიდან მოსამართლე „მოპასუხეს ემპათიურად და თანაგრძნობის ენით ესაუბრა“ („გამოხატა ემოციები/გრძნობები“), „არ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ მოპასუხემ მიმართა მას „ბატონო“-ს გარეშე და შეეწინააღმდეგა მას“ („გამოავლინა ემპათია/შეშფოთება/თანაგრძნობა“) და „მოპასუხეს აუხსნა მისი უფლებები და კანონის მოთხოვნები“ („იყო პოზიტიური/უნდოდა დახმარება“).

მოსამართლე #3-ის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის შესახებ ყველა დამკვირვებელმა და მხარემ შეაფასა როგორც სამართლიანი და თანაზომიერი. დამკვირვებლების აზრით, „მოსამართლემ ობიექტურად შეაფასა მოპასუხის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შუამდგომლობის მნიშვნელობა“, ხოლო მხარეთა აზრით, „მოსამართლემ გაიგო მხარის მდგომარეობა და მოიქცა სამართლიანად“.

საქმე 04 _ მოსამართლე #4

ზოგადი ინფორმაცია საქმეზე, რომლის მოსმენა გაიმართა 20.02.2023 და რომელიც წარმართა ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მოსამართლე #4-მა, მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ ადვოკატი:	არა	არა
2	მხარის სქესი:	მამრობითი	მდედრობითი
3	მხარის ასაკი:	30	51
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	2	1
5	სესიებზე დასწრება:	3	1
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	2019 წლიდან	ერთი თვე
7	მიმდინარე სესიის რიგი:	3	1
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერებზე წვდომა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	დიახ

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #4 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ექცევა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #4 აღიქმება/შეფასდა როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლების და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მას არ გამოუვლენია რაიმე (სიტყვიერად თუ ფიზიკურად), რაც გვაფიქრებინებდა, რომ იგი არ იყო მიკერძოებული“.
- მოპასუხის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „პროცედურული წესები დაცული იყო“.
- მხარე – მოსარჩელე: „გადაწყვეტილება იყო მიუკერძოებელი, მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი შევიტანე შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ“.
- მხარე – მოპასუხე: „მან გადაწყვეტილებები წარდგენილ მტკიცებულებებზე დააფუძნა“.

მოსამართლე #4-ის ქცევა მხარეების მიმართ სასამართლოში ყველა მონაწილემ და დამსწრემ აღწერა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

მოსამართლე #4-ის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის შესახებ დამკვირვებლების მიერ შეფასდა როგორც სამართლიანი და თანაზომიერი, ვინაიდან „მოსამართლე იცავდა საპროცესო წესებს“ და „ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერებზე წვდომის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის მომგებიანი იყო და ასევე მხარეების მიერ, ვინაიდან „მოსამართლე იცავდა მატერიალურ და პროცედურულ წესებს“ და „იყო სამართლიანი“.

საქმე 05 _ მოსამართლე #5

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 21.02.2023 და რომელიც წარმართა ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მოსამართლე #5-მა მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: საგადასახადო ვალდებულება	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ ადვოკატი:	დიახ	არა
2	მხარის სქესი:	მამრობითი	მამრობითი
3	მხარის ასაკი:	38	41
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	ბევრი/არ მახსოვს	ბევრი/არ მახსოვს
5	სესიებზე დასწრება:	1	1
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	14 დღე	14 დღე
7	მიმდინარე სესიის რიგი:	მეორე	პირველი
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	დავალიანების გადახდის გადავადება
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	დიახ

დავის ზოგიერთი მონაწილისა და დამსწრეს აზრით, მოსამართლე #5 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, ზოგის აზრით კი - ის არ არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #5 არის აღქმული/შეფასებული, როგორც მიუკერძოებელი ან მიკერძოებული დამკვირვებლების და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: არ არის მიუკერძოებელი, რადგან „მოპასუხეს მეტი ქედმაღლობით ეპყრობოდა - მაღალი ხმით ესაუბრა მას“.
- მოპასუხის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: არის მიუკერძოებელი, რადგან „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეესაბამებოდა მტკიცებულებებსა და კანონის მოთხოვნებს“.
- მხარე - მოსარჩელე: არის მიუკერძოებელი, რადგან „მოსამართლემ საქმე ლეგიტიმურად შეაფასა მტკიცებულებებზე დაყრდნობით“.
- მხარე – მოპასუხე: არ არის მიუკერძოებელი, რადგან „მაშინვე დაიჭირა სახელმწიფო უწყების მხარე“.

მოსამართლე #5-ის ქცევა მხარეების მიმართ ყველა მხარემ შეაფასა, როგორც თანაბარი, ხოლო ერთ-ერთმა დამკვირვებელმა (მოსარჩელეს ინტერვიუერმა) მოსამართლის ქცევა მოპასუხის მიმართ აღწერა როგორც მიკერძოებული, ვინაიდან მოსამართლემ „თითქმის უყვირა მოსარჩელეს“ („იყო თავაზიანი/ზრდილობიანი“), „რიგ შემთხვევებში უხეშად აწყვეტინებდა სიტყვას მოსარჩელეს“ („გამოხატა ემოციები/გრძნობები“), „მოსარჩელეს შუამდგომლობით უკმაყოფილო ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ დააკმაყოფილა იგი“ („იყო თანმიმდევრული/პროგნოზირებადი“) და „ესაუბრა მოსარჩელეს ხმამაღლა“ („საუბრობდა მშვიდად/სერიოზულად“).

მოსამართლე #5-ის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის შესახებ დამკვირვებლების მიერ შეფასდა, როგორც სამართლიანი და თანაზომიერი, ვინაიდან მოსამართლემ „მხედველობაში მიიღო მოპასუხის ფინანსური პრობლემები“ და ასევე მხარეების მიერ, ვინაიდან მოსამართლემ „გაიგო მოპასუხე მხარის მდგომარეობა“.

საქმე 06 _ მოსამართლე #6

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 22.03.2023 და რომელიც წარმართა ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მოსამართლე #6-მა მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: წვრილმანი ხულიგნობა	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	დიახ	დიახ
2	მხარის სქესი:	მდედრობითი	მამრობითი
3	მხარის ასაკი:	51	19
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	1	3
5	სესიებზე დასწრება:	2	3
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	1 თვე	1 თვე
7	მიმდინარე სესიის რიგი:	მეორე	მეორე
8	დაყენებული შუამდგომლობა/ბები:	მოწმის მოწვევა	(1) მოწმის მოწვევა, (2) სხდომის გადადება
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	დიახ	(1) დიახ, (2) დიახ

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #6 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ექცევა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #6 დამკვირვებლების და მხარეების მიერ აღქმულია/შეფასებულია როგორც მიუკერძოებელი, მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე იცავდა საპროცესო წესებს“.

- მოპასუხეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსმენა მალევე გადაიდო, მაგრამ არცერთი მხარის მიმართ მიკერძოებულობის ნიშანი არ ჩანდა“.
- მხარე - მოსარჩელე: „მიუკერძოებლობის ნიშანი/მტკიცებულება არ არსებობდა“.
- მხარე – მოპასუხე: „მოსმენა მალე გადაიდო, მაგრამ მიუკერძოებლობაზე არაფერი მიუთითებდა“.

მოსამართლის #6-ის ქცევა მხარეების მიმართ სასამართლოში ყველა მონაწილემ და დამსწრემ აღწერა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

მოსამართლე #6 გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის თაობაზე დამკვირვებლებმა და მხარეებმა შეაფასეს როგორც სამართლიანი და თანაზომიერი, ვინაიდან „მოსამართლე იცავდა მატერიალურ და პროცედურულ წესებს“ და „მხარეებს მიეცათ თანაბარი შესაძლებლობა დაეყენებინათ შუამდგომლობები და წარმოედგინათ არგუმენტები“.

საქმე 07 _ მოსამართლე #7

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 22.03.2023 და რომელიც წარმართა მოსამართლე #7-მა სამოქალაქო მართლმსაჯულებიდან მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: საოჯახო სამართალი	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	დიახ	დიახ
2	მხარის სქესი:	მდედრობითი	მამრობითი
3	მხარის ასაკი:	47	25
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	1	ბევრი/არ მახსოვს
5	სესიებზე დასწრება:	2	ბევრი/არ მახსოვს
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	3 წელი	2021 წლიდან
7	მიმდინარე სესიის რიგი:	პირველი	პირველი
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	(1) მემკვიდრის იდენტიფიცირება, (2) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	(1) დიახ, (2) დიახ

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #7 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ექცევა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #7 დამკვირვებლების და მხარეების მიერ აღქმულია/შეფასებულია როგოც მიკერძოებული, მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე მზად იყო სხდომა მორიგებით დაესრულებინა, მზად იყო გადაეწყვიტა დავა ორივე მხარის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე“.
- მოპასუხეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლის მხრიდან მხარეთა არათანაბარი მოპყრობის ფაქტები არ დაფიქსირებულა“.
- მხარე - მოსარჩელე: „მან იცოდა საქმე და მისი მსჯელობა ობიექტური იყო“.
- მხარე – მოპასუხე: „არ იგრძნობოდა არცერთი მხარის მიმართ“.

მოსამართლის #7-ის ქცევა მხარეების მიმართ სასამართლოში ყველა მონაწილემ და დამსწრემ აღწერა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

მოსამართლე №7-ის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის თაობაზე დამკვირვებლებმა და მხარეებმა შეაფასეს როგორც სამართლიანი და თანაზომიერი, ვინაიდან „არცერთი მხარე არ აპროტესტებდა შუამდგომლობას“ და „მოსამართლემ დაიცვა კანონის მოთხოვნები“.

საქმე 08 _ მოსამართლე #8

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 23.03.2023 და რომელიც წარმართა მოსამართლე #8-მ სამოქალაქო მართლმსაჯულებიდან მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: კომპენსაციები	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	დიახ	დიახ
2	მხარის სქესი:	მდედრობითი	მდედრობითი
3	მხარის ასაკი:	33	34
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	ბევრი/არ მახსოვს	ბევრი/არ მახსოვს
5	სესიებზე დასწრება:	ბევრი/არ მახსოვს	ბევრი/არ მახსოვს
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	2021 წლიდან	2021 წლიდან
7	მიმდინარე სესიის რიგი:	პირველი	პირველი
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	-

ორივე დამკვირვებლის, ასევე სამართალწარმოების ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #8 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ეპყრობა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #8 აღიქმება/შეფასებულია როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლების და მხარეების მიერ, მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მან წარმართა პროცესი ობიექტურად“.
- მოპასუხეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე ორივე მხარეს თანაბრად ეპყრობოდა, რაიმე სახის მიუკერძოებლობას ადგილი არ ჰქონია“.
- მხარე - მოსარჩელე: „მოსამართლის მსჯელობა ობიექტური იყო“.
- მხარე – მოპასუხე: „არ მქონია იმის განცდა, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული საუბრისას ან იმყოფებოდა ვიღაცის ზეწოლის ქვეშ“.

მოსამართლე #8-ს ქცევა მხარეების მიმართ სასამართლოში ყველა მონაწილემ და დამსწრემ აღწერა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

მოსამართლე #8-ს გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის თაობაზე დამკვირვებლებმა და მხარეებმა არ შეაფასეს, ვინაიდან არცერთ მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა სხდომაზე.

საქმე 09 _ მოსამართლე #9

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 24.03.2023 და რომელიც წარმართა მოსამართლე #9-მ სამოქალაქო მართლმსაჯულებიდან მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	თემა: ვალის/სესხის დაფარვა	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	დიახ	დიახ
2	მხარის სქესი:	37	35
3	მხარის ასაკი:	მამრობითი	მდედრობითი
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	ბევრი/არ მახსოვს	არ მახსოვს
5	სესიებზე დასწრება:	ზოგიერთი	არ მახსოვს
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	2022 წლიდან	2022 წლიდან
7	მიმდინარე სესიის რიგი:	პირველი	პირველი
8	შუამდგომლობა/ები:	არა	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	-

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #9 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ეპყრობა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #9 აღიქმება/შეფასდა როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ, მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლის მსჯელობა ეყრდნობოდა ობიექტურ ფაქტებს“.
- მოპასუხეს დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლემ წარმართა პროცესი პროფესიული ეთიკისა და პროცედურული წესების დაცვით, აუხსნა მხარეებს მათი უფლებები და მხარის მდგომარეობა (რომელიც კოვიდ-ის გამო ბანკის ჯარიმის გადახდას ვერ ახერხებდა)“.
- მხარე - მოსარჩელე: „მოსამართლემ საქმე ობიექტურად წარმართა“.
- მხარე – მოპასუხე: „მოსამართლემ აირჩია ასეთი პროფესია და უნდა იყოს ასეთი [მიუკერძოებელი ი.მ.]“.

მოსამართლე #9-ის ქცევა მხარეების მიმართ სასამართლოში ყველა მონაწილემ და დამსწრემ აღწერა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

მოსამართლე #9-ის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის თაობაზე დამკვირვებლებმა და მხარეებმა არ შეაფასეს, ვინაიდან არცერთ მხარეს სხდომაზე არ დაუყენებია შუამდგომლობა.

საქმე 10 _ მოსამართლე #10

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 24.03.2023 და რომელიც წარმართა სამოქალაქო მართლმსაჯულების მოსამართლე #10-მა მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: ზარალის ანაზღაურება	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	დიახ	დიახ
2	მხარის სქესი:	მდედრობითი	მდედრობითი
3	მხარის ასაკი:	45	30
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	1	ბევრი
5	სესიებზე დასწრება:	3	არ მახსოვს
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	5 წელი	6 წელი

7	მიმდინარე სესიის რიგი:	4+	4+
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	-

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #10 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ექცევა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #10 აღიქმება/შეფასებულია, როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლების და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „ვინაიდან მოსამართლემ გააკეთა აცილება“.
- მოპასუხის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლის მსჯელობა ეყრდნობოდა ობიექტურ ფაქტებს“.
- მხარე - მოსარჩელე: "მოსამართლემ გააკეთა აცილება".
- მხარე – მოპასუხე: „ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე იყო ობიექტური“.

მოსამართლე #10-ის ქცევა მხარეთა მიმართ სასამართლოში ყველა მონაწილემ და დამსწრემ აღწერა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

მოსამართლე #10-ის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის თაობაზე დამკვირვებლებმა და მხარეებმა არ შეაფასეს, ვინაიდან არცერთ მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა სხდომაზე.

საქმე 11 _ მოსამართლე #11

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 31.03.2023 და რომელიც წარმართა მოსამართლე #11-მა ადმინისტრაციული მართლმსაჯულებიდან მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: სტუდენტური ვიზა	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	დიახ	დიახ
2	მხარის სქესი:	მდედრობითი	მდედრობითი
3	მხარის ასაკი:	20	30
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	1	არ მახსოვს
5	სესიებზე დასწრება:	1	არ მახსოვს
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	1 თვე	1 თვე
7	მიმდინარე სესიის რიგი:	პირველი	პირველი
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	-

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #11 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ეპყრობა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე №11 აღიქმება/შეფასებულია, როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლების და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მან წარმართა პროცესი ობიექტურად“.
- მოპასუხის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე იცავდა საპროცესო წესებს“.
- მხარე - მოსარჩელე: „მიუკერძოებლობის ნიშანი არ არსებობდა“.
- მხარე – მოპასუხე: „არცერთი ქმედება არ მიუნიშნებდა მიუკერძოებლობაზე“.

მოსამართლე #11-ის ქცევა მხარეთა მიმართ სასამართლო პროცესის ყველა მონაწილემ და დამსწრემ შეაფასა, როგორც თანაბარი ორივე მხარის მიმართ ყველა კრიტერიუმის მიხედვით, გარდა „თავაზიანობის/პატივისცემისა“. ერთ-ერთმა დამკვირვებელმა (მოპასუხის ინტერვიუერმა) განაცხადა, რომ მოსამართლე #11 გადახრილი იყო ერთო მხარისკენ (მოპასუხისკენ), ვინაიდან მოსამართლემ „მოპასუხეს მიანიშნა, რომ მას დაუვარდა [რაღაც ი.მ.] და დაესვრება ტანსაცმელი“.

მოსამართლე #11-ის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის თაობაზე დამკვირვებლებმა და მხარეებმა არ შეაფასეს, ვინაიდან არცერთ მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა სხდომაზე.

საქმე 12 _ მოსამართლე #12

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 13.04.2023 და რომელიც წარმართა მოსამართლე #12-მა სამოქალაქო მართლმსაჯულებიდან, მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: დავალიანების/სესხის დაფარვა	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	დიახ	არა
2	მხარის სქესი:	მდედრობითი	მდედრობითი
3	მხარის ასაკი:	37	31

4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	1	1
5	სესიებზე დასწრება:	1	1
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	1 თვე	1 თვე
7	მიმდინარე სესიის რიგი:	პირველი	პირველი
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	-

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #12 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ეპყრობა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე №12 აღქმულია/შეფასებულია, როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლების და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე საქმის განხილვისას იყო ობიექტური“.
- მოპასუხის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლის ქმედებები შეესაბამებოდა პროფესიულ ეთიკას და პროცედურულ წესებს“.
- მხარე - მოსარჩელე: "ობიექტურობის გამო".
- მხარე – მოპასუხე: „მოსამართლე იყო პატიოსანი/სამართლიანი“.

მოსამართლე # 12-ის ქცევა მხარეების მიმართ სასამართლოში ყველა მონაწილემ და დამსწრემ აღწერა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

მოსამართლე #12-მა გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის თაობაზე დამკვირვებლებმა და მხარეებმა არ შეაფასეს, ვინაიდან არცერთ მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა სხდომაზე.

საქმე 13 _ მოსამართლე #13

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 19.04.2023 და რომელიც წარმართა მოსამართლე #13-მა სამოქალაქო მართლმსაჯულებიდან, მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: მხარდაჭერის მიმღების აღიარება	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	არა	დიახ
2	მხარის სქესი:	მდედრობითი	მამრობითი
3	მხარის ასაკი:	60	53
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	ბევრი/არ მახსოვს	1
5	სესიებზე დასწრება:	ბევრი/არ მახსოვს	2
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	1 წელი	1 წელი
7	მიმდინარე სესიის რიგი:	მეორე	მეორე
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	-

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #13 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ეპყრობა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #13 აღქმულია/შეფასებულია, როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლების და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „პროცესი წარიმართა თანმიმდევრულად და წესების დაცვით“.
- მოპასუხის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მიუკერძოებლობის ასეთი ფაქტები/გარემოებები არ გამოვლენილა“.
- მხარე - მოსარჩელე: „მოსამართლე არ ჩარეულა დამატებით კითხვებში“.
- მხარე – მოპასუხე: „მოსამართლემ გაითვალისწინა მხარის ინტერესი და ექსპერტების რეკომენდაციები“.

მოსამართლე #13-ის ქცევა მხარეთა მიმართ ყველა მხარემ შეაფასა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით, ხოლო ორივე დამკვირვებელმა დაახასიათა მოსამართლის ქცევა, როგორც ერთი მხარისკენ გადახრილი (მოპასუხისკენ) ერთ შემთხვევაში, ვინაიდან მოსამართლემ “განაცხადა, რომ არ იყო საჭირო შშმპ-ის შეწუხება ზარებით, როდესაც ყველაფერი ნათლად ჩანს სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში“ („გამოხატული ემპათია/შეშფოთება/თანაგრძნობა“).

მოსამართლე #13-ის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის თაობაზე დამკვირვებლებმა და მხარეებმა არ შეაფასეს, ვინაიდან არცერთ მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა სხდომაზე.

საქმე 14 _ მოსამართლე #6

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 19.04.2023 და რომელიც წარმართა ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მოსამართლე #6-მა მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: ლტოლვილის სტატუსი	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	დიახ	დიახ
2	მხარის სქესი:	მდედრობითი	მამრობითი
3	მხარის ასაკი:	29	48
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	1	ბევრი/არ მახსოვს
5	სესიებზე დასწრება:	1	ბევრი/არ მახსოვს
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	2 თვე	2 თვე
7	მიმდინარე სესიის რიგი:	პირველი	პირველი
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	(1) განცხადების წარდგენა (2) ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ანგარიშის წარდგენა (3) მოსმენის გადადება	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	(1) დიახ, (2) არა, (3) დიახ	-

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #6 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ეპყრობა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე აღქმულია/შეფასებულია, როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლების და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე ჩანდა მიუკერძოებელი, საფუძვლიანად შეისწავლა საქმე და არცერთი მოსაზრება და ქცევა არ გვაძლევდა მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს“.
- მოპასუხის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლემ სხდომა უემოციოდ და ნეიტრალურ რეჟიმში წარმართა“.
- მხარე - მოსარჩელე: „ეს იყო პირველი მოსმენა, რომელმაც კარგად ჩაიარა და ვარ კმაყოფილი. ვნახოთ, როგორ წარიმართება მომავალში“.
- მხარე – მოპასუხე: „ჩვენ ორივეს [მხარეებს ი.მ.] თანაბარი შესაძლებლობები მოგვეცა“.

მოსამართლე #6-ის ქცევა მხარეთა მიმართ ყველა მხარემ აღწერა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით, ხოლო ორივე დამკვირვებელი ახასიათებს მოსამართლის ქცევას, როგორც ერთი მხარისკენ გადახრილს (მოპასუხისკენ) ერთ შემთხვევაში, ვინაიდან მოსამართლემ “მხარეს განუმარტა, რომ არსებობს განსხვავება ლტოლვილისა და ჰუმანიტარულ სტატუსებს შორის“ („გააკეთა შენიშვნა/მითითება“) და „დაავალა მხარეს უფრო მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა მოთხოვნა“ („გააკეთა შენიშვნა/მითითება“).

მოსამართლე #6 გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის შესახებ დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ შეფასდა, როგორც სამართლიანი და თანაზომიერი, ვინაიდან „მოსამართლემ წარმოადგინა მკაფიო არგუმენტები და დეტალურად დაასაბუთა გადაწყვეტილება“.

საქმე 15 _ მოსამართლე #6

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 19.04.2023 და რომელიც წარმართა ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მოსამართლე #6 მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: ზედამხედველობის ოქმის დამტკიცება	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	არა	არა
2	მხარის სქესი:	მამრობითი	მდედრობითი
3	მხარის ასაკი:	30	48
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	2	ბევრი/არ მახსოვს
5	სესიებზე დასწრება:	2	ბევრი/არ მახსოვს
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	1 კვირის	1 კვირის
7	მიმდინარე სესიის რიგი:	პირველი	პირველი
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	არა	არა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	-	-

დავის ზოგიერთი მონაწილისა და დამსწრეს აზრით მოსამართლე #6 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, თუმცა სხვების აზრით - ის არ არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #6 აღქმულია/შეფასებულია, როგორც მიუკერძოებელი ან მიკერძოებული დამკვირვებლების და მხარეების მიერ, მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: მოსამართლე იყო მიუკერძოებელი, რადგან „მოსამართლე ყურადღებით უსმენდა ორივე მხარეს, მისცა თანაბარი შესაძლებლობა ორივე მხარეს წარმოედგინა არგუმენტები“.
- მოპასუხის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: მოსამართლე მიუკერძოებელი იყო, რადგან „მოსამართლე ყურადღებით უსმენდა ორივე მხარეს, თანაბარ ინტერესს იჩენდა ორივე მხარის მიმართ“.
- მხარე - მოსარჩელე: მოსამართლე არ იყო მიუკერძოებელი, რადგან „მე არ ვენდობი მას, ის უფრო მეტად ჩემი ოპონენტის მხარეს იყო“.
- მხარე – მოპასუხე: მოსამართლე იყო მიუკერძოებელი, რადგან „მოსამართლემ მშვიდად მოისმინა ორივე მხარის არგუმენტები და არცერთი მხარის პოზიცია არ დაიკავა“.

მოსამართლე #6-ის ქცევა მხარეების მიმართ მხარეებმა შეაფასეს, როგორც არათანაბარი ანუ გადახრილი ერთი მხარისკენ (მოპასუხისკენ) ორ ინსტანციაში, ვინაიდან მოსამართლის ახსნა-განმარტება/სიტყვა „არ იყო მკაფიო [მოსარჩელისთვის ი.მ.]“ („იყენებდა მარტივ ენას“) და „მოსარჩელემ მიიღო შენიშვნები“ („გააკეთა შენიშვნა/მითითება“). ორივე დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ მოსამართლის ქცევა იყო გადახრილი ერთი მხარისკენ (მოპასუხისკენ) ერთ შემთხვევაში, ვინაიდან მოსამართლემ „მეტი შენიშვნა გააკეთა და მეტი მითითება მისცა მოპასუხეს, მოსარჩელისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილების მიზნით“ (“გააკეთა შენიშვნა/მითითება“).

მოსამართლე #6 გადაწყვეტილება/ები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/ უარყოფის თაობაზე დამკვირვებლებმა და მხარეებმა არ შეაფასეს, ვინაიდან არცერთ მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა სხდომაზე.

საქმე 16 _ მოსამართლე #14

ზოგადი ინფორმაცია საქმის შესახებ, რომლის მოსმენა გაიმართა 21.04.2023 და რომელიც წარმართა ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მოსამართლე #14-მა მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

#	საგანი: ლტოლვილის სტატუსი	მოსარჩელე	მოპასუხე
1	მხარის წარმომადგენელი/ადვოკატი:	არა	დიახ
2	მხარის სქესი:	მამრობითი	მამრობითი
3	მხარის ასაკი:	58	48
4	დავების რ-ბა, რომელშიც მონაწილეობდა:	1	ბევრი/არ მახსოვს
5	სესიებზე დასწრება:	1	ბევრი/არ მახსოვს
6	მიმდინარე დავის ხანგრძლივობა:	3 თვე	2 თვე
7	მიმდინარე სესიის რიგი:	პირველი	პირველი
8	დაყენებული შუამდგომლობა/ები:	მოსმენის გადადება	დოკუმენტის წარდგენა
9	დაკმაყოფილებული შუამდგომლობა/ები:	დიახ	არა

ორივე დამკვირვებლის, ასევე სასამართლო პროცესის ორივე მონაწილის აზრით, მოსამართლე #14 არის ზოგადად მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელიც თანაბრად ეპყრობა ორივე მხარეს და ასევე, არ განასხვავებს მხარესა და მის წარმომადგენელს/ადვოკატს. ძირითადი მიზეზები, რის გამოც მოსამართლე #14 აღქმულია/შეფასებულია, როგორც მიუკერძოებელი დამკვირვებლების და მხარეების მიერ მოცემულია ქვემოთ:

- მოსარჩელის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლე იცავდა წესებს და აშკარა იყო, რომ მას ორივე მხარის დახმარების სურვილი ჰქონდა“.
- მოპასუხის დამკვირვებელი/ინტერვიუერი: „მოსამართლემ გადაწყვიტა სხდომის გადადება სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე“.
- მხარე - მოსარჩელე: „მჯერა, რომ მოსამართლე მიუკერძოებელია, ვინაიდან მას არ გამოუვლენია მიკერძოების რაიმე ნიშანი“.
- მხარე – მოპასუხე: სხდომა მალე გადაიდო და ეს იყო სამართლიანი გადაწყვეტილება“.

მოსამართლე #14-ის ქცევა მხარეების მიმართ სასამართლოში ყველა მონაწილემ და დამსწრემ აღწერა, როგორც თანაბარი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

მოსამართლე #14-ის გადაწყვეტილება/ები მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების/ უარის თქმის შესახებ დამკვირვებლების მიერ შეფასდა, როგორც სამართლიანი და თანაზომიერი, ვინაიდან „მოსამართლემ წარმოადგინა მკაფიო არგუმენტები და დეტალურად განმარტა გადაწყვეტილების საფუძველი“ და ასევე, მხარეების მიერ „ვინაიდან სხდომის გადადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით მოსამართლემ მისცა მხარეს ადვოკატის მოძიების შესაძლებლობა“.

დასკვნა

მხარეებისა და დამკვირვებლების მიერ მიუკერძოებლობის შეფასების ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსამართლის ქცევას, რომელიც აღიქმება როგორც გადახრილი ერთი მხარისკენ, შეიძლება ჰქონდეს დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა სიტუაციიდან/კონტექსტიდან გამომდინარე. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გამოთქმების ფორმულირება, მოსამართლის შესასწავლი

ქცევის აღწერა, გასაზომი მაჩვენებლების შემუშავება და ა.შ. ისე, რომ აღწერილი იქნება არა მხოლოდ ქცევა გარკვეულ სიტუაციაში/კონტექსტში, არამედ დაკონკრეტდება/განისაზღვრება სიტუაციაში/კონტექსტში ქცევის შეფასება, როგორც დადებითი, ნეიტრალური ან უარყოფითი.

მოსამართლის შესწავლილი გარკვეული ქცევა შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ერთი ან მეორე მხარისკენ გადახრილი შემდეგ შემთხვევებში:

(1) ქცევა "გამოთქვა საკუთარი აზრი"
- მოსამართლე ეთანხმება [ან, როგორც გარეგნულად ჩანს, ეთანხმება ი.მ.] მოსარჩელის მორიგების პირობებს
- მხარეს, რომელსაც კანონი არ ესმის, მოსამართლე უხსნის საპროცესო წესებს

(2) ქცევა „გააკეთა შენიშვნა/ მითითება“
- მოსამართლე ერთ მხარეს უხსნის მორიგების მნიშვნელობას
- მოსამართლე მხარეს განუმარტავს, რომ არსებობს განსხვავება ლტოლვილსა და ჰუმანიტარულ სტატუსს შორის
- მოსამართლე მხარეს თხოვს/ ავალებს მოთხოვნის უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებას
- მოსამართლე უფრო მეტ შენიშვნებს აკეთებს და უფრო მეტ მითითებებს აძლევს ერთ მხარეს, რათა მან ხელი არ შეუშალოს მეორე მხარეს

(3) ქცევა ”იყო პოზიტიური/ სურდა დახმარება“
- მოსამართლე გამოიყურება/ საუბრობს ისე, თითქოს მას სურს დახმარება, მაგრამ არ შეუძლია კანონისმიერი შეზღუდვების გამო
- მოსამართლე მხარეს განუმარტავს მის უფლებებსა და კანონის მოთხოვნებს

(4) ქცევა "გამოხატა ემოციები/ გრძნობები"
- მოსამართლე ერთ მხარეს ემპათიურად და გაგებით ესაუბრება
- მოსამართლე არაერთხელ უხეშად წყვეტს მხარეს

(5) ქცევა "გამოხატა ემპათია/ შეშფოთება/ თანაგრძნობა"
- მოსამართლე უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ მხარე მას მიმართავს „ბატონო“/ “ქალბატონო“-ს გამოყენების გარეშე
- მოსამართლე უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ მხარე ეწინააღმდეგება/ არ ეთანხმება მას
- მოსამართლე აცხადებს, რომ არ არის საჭირო შშმ პირის ზარებით შეწუხება, როდესაც სათვალთვალო კამერის ჩანაწერებში ყველაფერი ნათლად ჩანს

(6) ქცევა ”იყო თავაზიანი/ მოკრძალებული”
- მოსამართლე ხმამაღლა ესაუბრება მხარეს/ თითქმის უყვირის მას

(7) ქცევა "იყო თანმიმდევრული/ პროგნოზირებადი"
- მოსამართლე, როგორც ჩანს, უკმაყოფილოა მხარის შუამდგომლობით, მიუხედავად იმისა, რომ მას აკმაყოფილებს

(8) ქცევა "საუბრობდა მშვიდად/ სერიოზულად“
- მოსამართლე მხარეს ხმამაღლა ესაუბრება

(9) ქცევა "იყენებდა მარტივ ენას"
- მოსამართლის ახსნა-განმარტება/ სიტყვით გამოსვლა არ არის გასაგები მხარისთვის

C. აღქმა მთლიანი შერჩევის მიხედვით

ამ თავში აღწერილია მხარეებისა და დამკვირვებლების მიერ 16 საქმესა და 14 ადმინისტრაციული და სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემის მოსამართლესთან დაკავშირებული მიუკერძოებლობის აღქმების შესწავლის შედეგები შერჩევის მიხედვით. შერჩევის საქმეების/მოსამართლეების მიუკერძოებლობის აღქმის შესწავლა განხორციელდა ყველა საქმის/მოსამართლის დაჯამებული/აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე და მოიცავდა შემდეგი ინდიკატორების კვლევას:

(1) <u>საქმეების შესახებ ზოგადი ინფორმაცია</u>, რომელიც მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა დავის საგანი; მხარეთა რაოდენობა, რომელთაც ჰყავთ წარმომადგენელი/ადვოკატი; მხარეთა სქესი და ასაკი; მხარეთა სასამართლო გამოცდილება (დავების რაოდენობა, რომელშიც მონაწილეობდა მხარე, სხდომების რაოდენობა, რომელსაც ესწრებოდა მხარე); მიმდინარე დავის ხანგრძლივობა და მიმდინარე სესიის რიგი (კითხვები q1-q17) (იხ. დანართი #7).

(2) <u>მხარეთა ზოგადი ცოდნა და დამოკიდებულება</u>, რომელიც მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა მოსამართლეთა მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და დამოუკიდებლობის გაგება; ნდობის დონე საქმის მოსამართლის მიმართ და მათი ნდობის/უნდობლობის მიზეზები; მოსამართლის საპროცესო მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმირებულობა/ცოდნა (კითხვები a1-a7).

(3) <u>მოსამართლის ზოგადი მიუკერძოებლობის შეფასება</u>, რომელიც მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა დამკვირვებელთა და მხარეთა პასუხების შედარებით ანალიზი ზოგადად მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით; მოსამართლის მიუკერძოებლობა მხარეთა და მათი წარმომადგენლების/ადვოკატების მიმართ თანაბარი მოპყრობის კუთხით და მოსამართლის მიუკერძოებლობა ორივე მხარის მიმართ თანაბარი მოპყრობის კუთხით, და ასევე მიღებული პასუხების დასაბუთება (კითხვები bb1-bb6, b1-b6)

(4) <u>მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასება კონკრეტული ქცევების მიხედვით</u>, რომელიც მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა მოსამართლის მიერ თითოეული მხარის მიმართ გამოვლენილი ცალკეული ქცევების მიუკერძოებლობის შეფასება დამკვირვებელთა და მხარეთა მიერ, მათი შეფასებების შედარებითი ანალიზი და ამგვარი შეფასებების დასაბუთება (კითხვები bb13-bb14, b13-b14).

(5) <u>მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასება მხარეთა შუამდგომლობ(ებ)ზე გადაწყვეტილებ(ებ)ის მიხედვით</u>, რომელიც მოიცავდა დამკვირვებელთა და მხარეთა პასუხების შედარებით ანალიზს ისეთ თემებზე, როგორებიცაა მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობ(ებ)ის შინაარსი და რაოდენობა; მოსამართლის გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობ(ებ)ზე; ამ შუამდგომლობ(ებ)ზე მოსამართლის გადაწყვეტილების შეფასება მიუკერძოებლობის ანუ სამართლიანობისა და თანაზომიერების თვალსაზრისით და ამგვარი შეფასებების დასაბუთება (კითხვები bb7-bb12, b7-b12).

(6) <u>მხარეთა კმაყოფილებასა და მიუკერძოებლობას შორის კავშირი</u>, რომელიც მოიცავდა სასამართლო პროცესის შედეგის იდენტიფიკაციას; დავის შედეგით კმაყოფილების ხარისხს და აგრეთვე ამ კმაყოფილების ხარისხის დასაბუთებას და ბოლოს, კავშირის დადგენას მხარეთა კმაყოფილების ხარისხსა და მოსამართლის მიუკერძოებლად შეფასებას შორის (კითხვები c1- c3).

1 . ზოგადი ცოდნა და დამოკიდებულებები

მხარეთა ზოგადი ცოდნა და დამოკიდებულებები მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა მოსამართლეთა მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და დამოუკიდებლობის გაგება (a1, a2, a3); ნდობის დონე საქმის მოსამართლის მიმართ და მათი ნდობის/უნდობლობის მიზეზები (a4, a5); მოსამართლის საპროცესო მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ცოდნა (a6, a7).

მხარეთა მიერ მოწოდებული მიუკერძოებლობის განმარტების (a1) სიხშირეები მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

<u>(a1) მიუკერძოებლობა არის...</u>	N	(%)
კანონისა და პროცედურული წესების დაცვა	5	15.6
ორივე მხარის მიმართ თანაბარი მოპყრობა	4	12.5
მტკიცებულებების დეტალური შესწავლა/საქმეების ცოდნა	1	3.1
თანაბარი შესაძლებლობის მიცემა მხარეებისთვის არგუმენტებისა და მტკიცებულებების გამოყენების თვალსაზრისით გადაწყვეტილების მიღებისას	2	6.3
სამართლიანობა (მაგ. ორივე მხარის მოსმენა, მოქალაქის მოთხოვნების გათვალისწინება)	2	6.3
საქმესთან პირადი ინტერესის/კავშირის არქონა	3	9.4
გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით	4	12.5
გადაწყვეტილების მიღება საკუთარი შინაგანი რწმენის/აზრის საფუძველზე ყოველგვარი (მაგ. სახელმწიფოს) გავლენის გარეშე	2	6.3
ობიექტურობა	6	18.8
დამოუკიდებლობა/მხარეთა ემოციების გავლენისგან თავისუფლება	2	6.3
მხარეებისთვის თავისუფლების გრძნობის მინიჭება	1	3.1
სულ	32	100.0

მხარეთა მიერ მოწოდებული სამართლიანობის განმარტების (a2) სიხშირეები მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

(a2) სამართლიანობა არის...	N	(%)
მტკიცებულებების ობიექტურად შეფასება და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით	4	12.5
მოსამართლის შინაგანი რწმენა, რომელიც შეესაბამება სამართლიან, ეთიკურ და მორალურ ნორმებს	2	6.3
ორივე მხარის პოზიციების ობიექტურად გათვალისწინება და ანალიზი	1	3.1
კანონის, რეგულაციებისა და ეთიკის ნორმების დაცვა	8	25.0
რიგითი მოქალაქის მხარის გარდა სხვა მხარის არდაკავება	1	3.1
სწორი/ლეგიტიმური გადაწყვეტილების მიღება	9	28.1
დაბალანსებული/ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება	2	6.3
დამოუკიდებლობა/საკუთარი აზრის ჩამოყალიბების უნარი	2	6.3
ადამიანური ფაქტორის - მხარის გარემოებების/სიტუაციის გათვალისწინება	2	6.3
უდანაშაულოს არდასჯა	1	3.1
სულ	32	100.0

მხარეთა მიერ მოწოდებული დამოუკიდებლობის განმარტების (a3) სიხშირეები მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

(a3) დამოუკიდებლობა არის...	N	(%)
ყოველგვარი გავლენისგან/ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღებისგან თავისუფლება	22	68.8
თავისუფლება ყოველგვარი არაობიექტურობისგან(bias)/ წინასწარ შექმნილი აზრისგან (prejudice)	1	3.1
მიუკერძოებლობის განმსაზღვრელი	1	3.1
გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ორივე მხარის მოსმენის, მტკიცებულებების შეფასებისა და კანონის გამოყენებისას	4	12.5
ობიექტურობა/ნეიტრალურობა/სამართლიანობა	4	12.5
სულ	32	100.0

მოსამართლის მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და დამოუკიდებლობის განმარტებები, რომლებიც წარმოდგენილია მხარეთა მიერ, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ კლასტერებად:

- განმარტებები ზოგადი აღწერების გამოყენებით, რომლებიც განსასაზღვრი ტერმინის სინონიმებია (მაგ. სამართლიანობა, ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, თავისუფლება...[3], მიუკერძოებლობის დეტერმინანტი, ნეიტრალობა და ა.შ.)
- განმარტებები, რომლებიც ფოკუსირებულია პროცედურულ, ეთიკურ და თუნდაც მორალურ ნორმებზე, წესებსა და რეგულაციებზე (მაგ. „კანონთან და საპროცესო წესებთან შესაბამისობა“, „მოსამართლის შინაგანი რწმენა, რომელიც შეესაბამება სამართლიან, ეთიკურ და მორალურ ნორმებს“, „კანონის, რეგულაციების დაცვა და ეთიკური ნორმები“)
- განმარტებები, რომლებიც მოიცავენ მოსამართლის გადაწყვეტილებას/განაჩენს სხვა ისეთ კომპონენტებთან ერთობლიობაში, როგორებიცაა მტკიცებულება, შინაგანი რწმენა, გავლენისგან თავისუფალი აზრი, ორივე მხარის მოსმენა და კანონი (მაგ. „გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით“, „გადაწყვეტილების მიღება საკუთარი შინაგანი რწმენის/აზრის საფუძველზე, რომელზეც არ ხორციელდება გავლენა (მაგ. სახელმწიფოსგან)“, „მტკიცებულებების ობიექტურად შეფასება და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით“, „სწორი/ლეგიტიმური განსჯის მიღება“, „დაბალანსებული/ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება“, „გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ორივე მხარის მოსმენის შემდეგ, მტკიცებულებების შეფასება და კანონის გამოყენება“, „ყოველგვარი გავლენისგან/ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღებისგან თავისუფლება”)
- განმარტებები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია მხარეთა თანაბარი მოპყრობის მნიშვნელობაზე (მაგ. „ორივე მხარის თანაბარი მოპყრობა/არატენდენციურობა“, „მხარეებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება არგუმენტებისა და მტკიცებულებების მისაღებად, რაც გამოიყენება გადაწყვეტილებაში“, „არცერთი მხარის პოზიციის არდაკავება, გარდა რიგითი მოქალაქისა")
- სხვა განმარტებები (მაგ. „მტკიცებულებების დეტალურად შესწავლა/საქმის ცოდნა“, „პირადი ინტერესის/კავშირის საქმესთან არარსებობა“, „ადამიანური ფაქტორის გათვალისწინება - მხარის გარემოებები/სიტუაცია“ და „უდანაშაულოების არდასჯა“).

[3] როდესაც რესპონდენტები საუბრობენ მოსამართლის თავისუფლებაზე, ისინი გულისხმობენ თავისუფლებას სახელმწიფოს გავლენისგან, მხარეთა ემოციებისგან, ნებისმიერი არაობიექტურობისგან (bias) / წინასწარ შექმნილი აზრისგან (prejudice).

ზოგადად, მხარეები სწორად განმარტავენ „მიუკერძოებლობას“, „სამართლიანობას“ და „დამოუკიდებლობას“. „მიუკერძოებლობა“, ძირითადად, განისაზღვრება, როგორც ერთი მხრივ, სამართლებრივი წესების დაცვა და მეორე მხრივ, მხარეთა მიმართ თანაბარი მოპყრობა; „სამართლიანობის“ განმარტება ძირითადად მოიცავს გადაწყვეტილების/განჩინების მიღების კომპონენტს და სამართლებრივი წესების დაცვას, ხოლო „დამოუკიდებლობა“ განისაზღვრება, როგორც თავისუფლება ყოველგვარი ზეგავლენისგან.

საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ მხარეთა ნდობის დონის აღწერითი სტატისტიკა და მათი ნდობის/უნდობლობის მიზეზები (a4, a5) მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

	N	(%)
(a4) ნდობის დონე საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ		
საქმის განმხილველი მოსამართლის ნდობა	30	93.8
საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ უნდობლობა	2	6.3
სულ	32	100.0
(a5) საქმის განმხილველი მოსამართლისადმი ნდობის მიზეზები		
მოსამართლის რეპუტაციის/ჩემი გამოცდილების გამო	2	6.7
უნდობლობის მიზეზი არ არსებობს	5	16.7
მოსამართლის ქცევამ ნდობის საფუძველი მისცა	1	3.3
მოსამართლე ორივე მხარეს თანაბრად ეპყრობოდა	1	3.3
მოსამართლე არის პროფესიონალი/სამართლის მცოდნე, იცავს საპროცესო წესებს	2	6.7
მოსამართლეს არ აქვს პირადი ინტერესი/კავშირები საქმესთან/მხარეებთან	1	3.3
მოსამართლე არის ობიექტური/სამართლიანი	7	23.3
ნდობას არ აქვს მნიშვნელობა, როდესაც საქმე გამყარებულია ძლიერი არგუმენტებით	1	3.3
მოსამართლე იცნობს საქმეს	1	3.3
ვფიქრობ, ის კარგი მოსამართლეა	5	16.7
მოსამართლემ გამოხატა თანაგრძნობა/დახმარების სურვილი	2	6.7
მოსამართლე მშვიდად იყო/ მხარეებს საუბრის უფლება მისცა	1	3.3
მე ზოგადად ვენდობი მართლმსაჯულების სისტემას	1	3.3
სულ	30	100.0
(a5) საქმის განმხილველი მოსამართლისადმი უნდობლობის მიზეზები		
მოსამართლის ცუდი რეპუტაციის გამო	1	50.0
მოსამართლის არახელსაყრელი გადაწყვეტილება მხარისთვის (მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ხელბორკილები მკეთებოდა)	1	50.0
სულ	2	100.0

პროცესის გამოკითხული მონაწილეების უმრავლესობა (93.8%) ენდობა მათ საქმეზე დანიშნულ მოსამართლეს.

ძირითადი მიზეზები, რის გამოც რესპონდენტთა უმრავლესობა ენდობა მათ საქმეზე დანიშნულ მოსამართლეს, ძალიან ზოგადია (მოსამართლე ობიექტური/სამართლიანია, კარგი მოსამართლეა, სხვ.). თუმცა, თუ მაღალი სიხშირეების მქონე, მაგრამ ძალიან ზოგადი პასუხების გარდა, გაანალიზირებული იქნება რესპონდენტების სხვა პასუხების შინაარსებიც, შეიძლება ითქვას, რომ საქმის განმხილველი მოსამართლისადმი ნდობის ძირითადი მიზეზები არის „მოსამართლისადმი უნდობლობის მიზეზის არარსებობა“, „მოსამართლის რეპუტაცია/ მხარეთა გამოცდილება მოსამართლესთან“, „მოსამართლის პროფესიონალიზმი“ და „მოსამართლის მიერ თანაგრძნობის/დახმარების სურვილის გამოხატვა“.

საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ უნდობლობის შემთხვევაში მხარეთა მიერ დასახელებული საქმის განმხილველი მოსამართლისადმი უნდობლობის მიზეზებია „მოსამართლის რეპუტაცია“ და „მოსამართლის გადაწყვეტილება, რომელიც არახელსაყრელია მხარისთვის“. აღსანიშნავია, რომ „მოსამართლის რეპუტაცია“ დასახელდა როგორც მოსამართლის მიმართ ნდობის, ასევე მის მიმართ უნდობლობის განმაპირობებელ მიზეზებში.

ვინაიდან „მოსამართლის რეპუტაცია“ დასახელებულია საქმის განმხილველ მოსამართლის მიმართ, როგორც ნდობის („მოსამართლისადმი უნდობლობის მიზეზის არარსებობა“, „მოსამართლის რეპუტაცია/მხარეთა გამოცდილება მოსამართლესთან“, „მოსამართლის პროფესიონალიზმი“, „მოსამართლის მიერ თანაგრძნობის/დახმარების სურვილის გამოხატვა“), ასევე, როგორც უნდობლობის („მოსამართლის რეპუტაცია“ და „მოსამართლის არახელსაყრელი გადაწყვეტილება მხარისთვის“) ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მოსამართლის რეპუტაცია ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსამართლის შესახებ აზრის ჩამოყალიბებაში.

მოსამართლის საპროცესო მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მხარეთა ინფორმირებულობის/გაცნობის აღწერილობითი სტატისტიკა (a6, a7) მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

(a6) მოსამართლის საპროცესო მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ცოდნა	N	(%)
დიახ	25	78.1
არა	7	21.9
სულ	32	100.0
(a7) მოსამართლის საპროცესო მოვალეობები და პასუხისმგებლობა	N	(%)
განიხილავს საქმეს საფუძვლიანად/კარგად	11	17.2%
მხარეებს აძლევს დროს არგუმენტებისთვის/ პოზიციისთვის/ სიტყვისთვისთვის	7	10.9%
აკეთებს განმარტებებს და პასუხობს კითხვებს	8	12.5%
ძნელია დავის ან გადაწყვეტილების შინაარსის შედეგის პროგნოზირება	3	4.7%
აფრთხილებს მხარეებს დავის შესაძლო უარყოფით შედეგებზე და სთავაზობს მორიგებას	3	4.7%
სთავაზობს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენას	6	9.4%
ეკითხება, სურთ თუ არა მხარეებს მოსამართლის აცილება	11	17.2%
იკვლევს მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს	4	6.3%
ყველა მოვალეობა და პასუხისმგებლობა	11	17.2%
სულ	64	100.0

მხარეთა უმეტესობის თქმით, ისინი იცნობენ მოსამართლის ძირითად მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. მიუხედავად ამისა, როდესაც მხარეებს სთხოვენ მოსამართლის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დასახელებას, როგორც ჩანს, ისინი ამას დამოუკიდებლად და ძალისხმევის გარეშე ვერ ასრულებენ. ასე რომ, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ამბობენ „იცნობენ ყველა მოვალეობასა და პასუხისმგებლობას“, რაც შეიძლება ჩაითვალოს კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობად კითხვაზე პასუხის გაცემის გარეშე. ამ პასუხთან ერთად, თუ გათვალისწინებული იქნება ის ფაქტიც, რომ მიღებული ინსტრუქციის მიუხედავად, დამკვირვებლები/ ინტერვიუერები ხმამაღლა უკითხავდნენ რესპონდენტებს მოსამართლის საპროცესო მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს[4] რადგან რესპონდენტებს უჭირდათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მხარეები, კარგად არ იცნობენ მოსამართლის საპროცესო მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ან კარგად არ ახსოვთ ისინი.

დამკვირვებლების/ინტერვიუერების მიერ რესპონდენტებისთვის წაკითხული მოსამართლის მოვალეობებიდან და პასუხისმგებლობებიდან, მხარეები ყველაზე კარგად იცნობენ ან ახსოვთ მოსამართლის ისეთი მოვალეობები და პასუხისმგებლობები, როგორებიცაა „საქმის საფუძვლიანად/კარგად განხილვა“ და „მხარეებისთვის კითხვის დასმა იმაზე, სურთ თუ არა მოსამართლის აცილება.“

ზემოაღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ <u>მხარეები არ იცნობენ მოსამართლის საპროცესო მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ან არ ახსოვთ ისინი. იმ მოვალეობებიდან და პასუხისმგებლობებიდან, რომლებსაც მხარეები იცნობენ ან ახსოვთ, ყველაზე ხშირად დასახელდა „საქმის საფუძვლიანად/კარგად განხილვა/ცოდნა“ და „მხარეებისთვის კითხვის დასმა იმაზე, სურთ თუ არა მოსამართლის აცილება“.</u>

2. ზოგადად მიუკერძოებლობა

ზოგადად მიუკერძოებლობის შესწავლა მოიცავდა დამკვირვებლების/სასამართლო პროცესის დამსწრეთა და მხარეების/სასამართლო პროცესის მონაწილეთა ქვემოთ მოცემულ შეფასებებს:

- ზოგადად საქმის განმხილველი მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასება (bb1-b1) და საქმის განმხილველი მოსამართლის, როგორც მიუკერძოებელის ან მიკერძოებულის, შეფასების დასაბუთება (bb2-b2);
- საქმის განმხილველი მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების/ადვოკატების მიმართ თანაბარი მოპყრობის თვალსაზრისით (bb3-b3) და საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ მხარეთა და მათი წარმომადგენლების/ადვოკატების მიმართ მიუკერძოებლად ან მიკერძოებულად მოპყრობის შეფასების დასაბუთება (bb4-b4);
- საქმის განმხილველი მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასება ორივე მხარის თანაბარი მოპყრობის თვალსაზრისით (bb5-b5) და საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ ორივე მხარის მიმართ მიუკერძოებლად ან მიკერძოებულად (bb6-b6) მოპყრობის შეფასების დასაბუთება.

[4] შენიშვნა: დამკვირვებლებს/ინტერვიუერებს დავალებული ჰქონდათ არ წაეკითხათ მოსამართლეთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ჩამონათვალი და ასეთივე მითითება იყო კითხვარებში.

საქმის განმხილველი მოსამართლის ზოგადად მიუკერძოებლობის შეფასების სიხშირეები და მისი დასაბუთება (bb1-bb2, b1-b2) მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

	დამკვირვებლები		მხარეები	
(bb1, b1) მოსამართლე ზოგადად მიუკერძოებელი/მიკერძოებულია	N	(%)	N	(%)
მიუკერძოებელი	31	96.9	30	93.8
არ არის მიუკერძოებელი/მიკერძოებული	1	3.1	2	6.3
სულ (p=0.793 > 0.05)	32	100.0	32	100.0
(bb2, b2) მოსამართლის მიუკერძოებლად აღქმის მიზეზები	N	(%)	N	(%)
თანაბრად ეპყრობოდა მხარეებს (დასმული კითხვები, გაცემული პასუხები, განმარტებები, თანაბარი დრო არგუმენტებისთვის)	6	19.4	5	16.7
მიაწოდა განმარტებები მხარეებს (უფლებები, მორიგება და ა.შ.)	1	3.2	-	-
იყო მოტივირებული, რომ მხარეები მორიგებულიყვნენ/მოქმედებდა მხარეთა საუკეთესო ინტერესებით (მაგ. შესთავაზა მორიგება)	3	9.7	1	3.3
უფრო ყურადღებიანი იყო სუსტი მხარის მიმართ (გამოავლინა მეტი ემოცია, აუხსნა უფლებები და ა.შ.)	2	6.5	-	-
იცავდა კანონის მოთხოვნებს, პროცედურულ წესებსა და ეთიკურ ნორმებს	8	25.8	1	3.3
არ გამოუვლენია მიკერძოებულობის ნიშანი	4	12.9	10	33.3
იყო ობიექტური (განიხილა ფაქტები, შეაფასა მტკიცებულებები)/ იყო ნეიტრალური/არ ავლენდა ემოციებს	6	19.3	7	23.3
გააკეთა თვითაცილება	1	3.2	1	3.3
მისცა მხარეებს სიტყვით გამოსვლის და საუბრის დასრულების საშუალება	-	-	1	3.3
აქვს კარგი რეპუტაცია	-	-	1	3.3
უპირატესობა არ მიანიჭა სახელმწიფო დაწესებულებას (მაგ. მოითხოვა დამატებითი მტკიცებულებები)	-	-	2	6.7
აირჩია პროფესია, სადაც ის მიუკერძოებელი უნდა იყოს	-	-	1	3.3
სულ (p=0.004 <0.05)	31	100.0	30	100.0
(bb2, b2) მოსამართლის მიკერძოებულად აღწმის მიზეზები				
ერთ მხარეს მეტი ამპარტავნობით ეპყრობოდა/საუბრობდა ხმამაღლა	1	100.0	-	-
დაიკავა სხვა მხარის/სახელმწიფო უწყების მხარე	-	-	2	100.0
სულ	1	100.0	2	100.0

შესწავლილი საქმეების უმრავლესობაში საქმის განმხილველი მოსამართლეები, როგორც დამკვირვებლების, ასევე მხარეების მიერ, როგორც წესი, მიჩნეული არიან მიუკერძოებლად (96.9% და 93.8%, შესაბამისად).

მოსამართლის მიუკერძოებლად აღმის მიზეზების დასახელებისას, დამკვირვებლები და მხარეები თითქმის ერთნაირი სიხშირით ასახელებენ ისეთ ინდიკატორებს, როგორებიცაა „თანაბრად ეპყრობოდნენ მხარეებს“ (19.4% და 16.7%, შესაბამისად) და „იყო ობიექტური/ნეიტრალური“ (19.3% და 23.3%, შესაბამისად).

რაც შეეხება განსხვავებას დამკვირვებლებისა და მხარეების პასუხებს შორის, მაშინ, როდესაც დამკვირვებლებისთვის ზოგადად მოსამართლის მიუკერძოებლობის მთავარი მაჩვენებელია „კანონის მოთხოვნების, პროცედურული წესებისა და ეთიკური ნორმების დაცვა“, მხარეებისთვის ასეთი მაჩვენებელია „მიკერძოების ნიშნების არარსებობა“ (25.8% და 33.3% შესაბამისად). დამკვირვებლებისა და მხარეების აღქმა, ასევე განსხვავდება ზოგადი მიუკერძოებლობის კიდევ რამდენიმე ისეთი ინდიკატორით, რომლებიც ნახსენებია მხარეების მიერ და არ არის ნახსენები დამკვირვებლების მიერ (მაგალითად, „მხარეებისთვის სიტყვით გამოსვლის და გამოსვლის დასრულების საშუალების მიცემა“, „მოსამართლის რეპუტაცია“ და „სახელმწიფო სუბიექტის მიმართ კეთილგანწყობის არარსებობა“ (3.3%, 3.3% და 6.7%)) ან/და ნახსენებია დამკვირვებლების მიერ და არ არის (ან ძალიან იშვიათად არის) ნახსენები მხარეების მიერ (მაგალითად, „მიაწოდა განმარტებები მხარეებს“, „იყო მოტივირებული, რომ მხარეები მორიგებულიყვნენ/მოქმედებდა მხარეთა საუკეთესო ინტერესებით“ და „უფრო ყურადღებიანი იყო სუსტი მხარის მიმართ“ (3.2%, 9.7% და 6.5%)).

რაც შეეხება მიკერძოებულობას, დამკვირვებლების მიერ მოსამართლე მიკერძოებულად აღიქმება, თუ/როდესაც ის ხმას იმაღლებს, ხოლო მხარეების მიერ მიკერძოებულად აღიქმება, თუ/როდესაც ის იკავებს სახელმწიფოს/ხელისუფლების წარმომადგენელი მხარის პოზიციას (100.0% და 100.0%, შესაბამისად).

ზემოთ წარმოდგენილი შედეგებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ (1) დამკვირვებლებთან შედარებით, მხარეები უფრო მეტად იყენებენ ზოგად ტერმინებს მოსამართლის მიკერძოებულობის დასახასიათებლად; (2) მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასებისას (ა) დამკვირვებლებთან შედარებით მხარეებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა „მიაწოდა განმარტებები მხარეებს“, „იყო მოტივირებული, რომ მხარეები მორიგებულიყვნენ/მოქმედებდა მხარეთა საუკეთესო ინტერესებით“ და „უფრო ყურადღებიანი იყო სუსტი მხარის მიმართ“ და (ბ) დამკვირვებლებთან შედარებით მხარეებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა „მხარეებისთვის სიტყვით

გამოსვლის და გამოსვლის დასრულების საშუალების მიცემა“, „მოსამართლის რეპუტაცია“ და „სახელმწიფო სუბიექტის მიმართ კეთილგანწყობის არარსებობა“[5] და (3) მოსამართლის ერთ-ერთ მხარესთან გაღიზიანებული და მაღალი ხმით საუბარი ზოგიერთ შემთხვევაში მისაღებია მხარეებისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აღწერილობითი სტატისტიკა, რომელიც ეხება მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასებას მხარეთა და მათი ადვოკატების თანაბარი მოპყრობის თვალსაზრისით (bb3, b3) და მიზეზები, რომელთა გამოც მოსამართლე მიჩნეულ იქნა მიკერძოებულად მხარეთა და მათი ადვოკატების მიმართ (bb4, b4), და ასევე, აღწერილობითი სტატისტიკა, რომელიც ეხება მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასებას ორივე მხარის მიმართ (bb5, b5) და მიზეზები, რომელთა გამოც მოსამართლე მიჩნეულ იქნა მიკერძოებულად ორივე მხარის მიმართ (bb6-b6).

	დამკვირვებლები		მხარეები	
(bb3, b3) მხარეთა და მათი ადვოკატების მოპყრობა მოსამართლის მიერ	N	(%)	N	(%)
უკეთესად ეპყრობოდა მოსარჩელეს, ვიდრე მის ადვოკატს	0	0.0	1	3.1
უკეთესად ეპყრობოდა მოსარჩელის ადვოკატს, ვიდრე მოსარჩელეს	0	0.0	0	0.0
უკეთესად ეპყრობოდა მოპასუხეს, ვიდრე მის ადვოკატს	0	0.0	0	0.0
უკეთესად ეპყრობოდა მოპასუხის ადვოკატს, ვიდრე მოპასუხეს	0	0.0	0	0.0
თანაბრად ეპყრობოდა მოსარჩელეს და მის ადვოკატს	15	46.9	11	34.4
თანაბრად ეპყრობოდა მოპასუხეს და მის ადვოკატს	5	15.6	3	9.4
მხარეს/მხარეებს არ ჰყავთ ადვოკატები	3	9.4	5	15.6
თანაბრად ეპყრობოდა ორივე მხარეს და ორივე ადვოკატს	9	28.1	12	37.5
სულ (p=0.001 <0.05)	32	100.0	32	100.0
(bb4, b4) მოსამართლის მიკერძოებულად აღქმის მიზეზები	N	(%)	N	(%)
მოსამართლემ მას (მოსარჩელეს ი.მ.) არ გამოუყო დამატებითი დრო მორიგებისთვის	-	-	1	100.0
სულ	-	-	1	100.0
(bb5, b5) მხარეთა მოპყრობა მოსამართლის მიერ	N	(%)	N	(%)
მოსამართლე უკეთესად ეპყრობოდა მოსარჩელეს, ვიდრე მოპასუხეს	1	3.1	1	3.1
მოსამართლე უკეთესად ეპყრობოდა მოპასუხეს ვიდრე მოსარჩელეს	0	0.0	0	0.0
მოსამართლე ორივე მხარეს თანაბრად ეპყრობოდა	31	96.9	31	96.9
სულ	32	100.0	32	100.0
(bb6, b6) მოსამართლის მიკერძოებულად აღქმის მიზეზები	N	(%)	N	(%)
გაღიზიანებული იყო მხარესთან საუბრისას/ხმა აიმაღლა	1	100.0	-	-
უსმენდა მოსარჩელეს უფრო ყურადღებით/მეტად ითვალისწინებდა	-	-	1	100.0
სულ	1	100.0	1	100.0

დამკვირვებლები და მხარეები თანხმდებიან, რომ მოსამართლე მხარეებს და მათ ადვოკატებს ერთნაირად/თანაბრად ეპყრობა (100.0% და 96.9%, შესაბამისად). ერთ საქმეში, როდესაც მხარის და მისი წარმომადგენლის/ადვოკატის მიმართ მოსამართლის მოპყრობა მხარემ შეაფასა, როგორც მიკერძოებული, ასეთი შეფასების მიზეზი იყო „მოსამართლემ მას (მოსარჩელეს ი.მ.) დამატებითი დრო არ გამოუყო მორიგებისთვის“. დამკვირვებლები და მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ მოსამართლის მიერ ორივე მხარის - მოსარჩელისა და მოპასუხის - მიმართ მოპყრობა ერთნაირი/თანაბარი იყო (96.9% და 96.9% შესაბამისად). როდესაც საუბარია იმ მიზეზებზე, თუ რატომ აღიქმება მოსამართლე როგორც მიკერძოებული მხარეთა არათანაბარი მოპყრობის თვალსაზრისით, დამკვირვებლები აღწერენ ისეთ მიზეზებს, როგორებიცაა „გაღიზიანება და ხმამაღალი საუბარი“, ხოლო მხარეთა მიერ მიკერძოებულობის აღწერილობაში შედის „სხვა მხარის მეტად ყურადღებით მოსმენა.” (100,0% და 100,0%, შესაბამისად).

ზემოაღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამკვირვებლებისა და მხარეების აღქმით მოსამართლე თანაბრად/მსგავსად ექცევა მხარეებს და მათ ადვოკატებს, ისევე როგორც ორივე მხარეს.

3. მიუკერძოებელი ქცევა

მიუკერძოებელი ქცევის კვლევა მოიცავდა დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ მოსამართლის გარკვეული კონკრეტული მიუკერძოებელი ქცევების შეფასებებს ორივე მხარის მიმართ (bb13, b13) და ასეთი შეფასებების დასაბუთებას (bb14, b14).

[5] ამ სამი ფაქტორიდან, მხარეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (1) „მოსამართლის რეპუტაცია“, რადგან „მოსამართლის რეპუტაციას“ მხარეები ასახელებენ არა მხოლოდ როგორც მოსამართლის მიუკერძობლად აღქმის დეტერმინანტად, არამედ მოსამართლის სანდოდ აღქმის განმაპირობებლადაც და (2) „სახელმწიფო სუბიექტის მიმართ კეთილგანწყობის არარსებობა“, რადგან მხარეები მოსამართლეს აღიქვამენ მიუკერძოებლად, თუ/როდესაც ის მკაცრად ეპყრობა სახელმწიფო დაწესებულებას და მიკერძოებულად თუ/როდესაც ის ლმობიერად ეპყრობა მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს.

მოსამართლის გარკვეული კონკრეტული ქცევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საქმის მოსმენის დროს დამკვირვებლებისა და მხარეების აზრით (bb13 და b13, პასუხები = 1, 2, 3) მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

	დამკვირვებელი		მხარე		სხვაობა	სანდოობა
"ადგილი ჰქონდა" ზოგადად	N	(%)	N	(%)	(%)	p-value
იქცეოდა თავაზიანად/ პატივისცემით	32	100.0	32	100.0	0.0	-
ისმენდა ყურადღებით/ინტერესით	31	96.9	31	96.9	0.0	-
საუბრობდა მარტივად/გასაგებად	30	93.8	31	96.9	-3.1	-
გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებებს	11	34.4	9	28.1	6.3	-
გამოხატავდა ემოციებს/ შეგრძნებებს	7	21.9	1	3.1	18.8	-
გამოხატავდა ემპათიას/ გულისხმიერებას	9	28.2	7	21.9	6.3	-
იყო თანმიმდევრული/განჭვრეტადი	11	34.4	18	56.3	-21.9	-
იყო პოზიტიური/სურდა დახმარება	15	46.9	20	62.5	-15.6	0.001*
საუბრობდა მშვიდად/სერიოზულად	32	100.0	29	90.6	9.4	-
აკეთებდა შენიშვნებს/ მითითებებს	7	21.9	2	6.2	15.7	-

დამკვირვებლებმა და მხარეებმა მოსამართლის ისეთი ქცევების არსებობა, როგორიცაა „იქცეოდა თავაზიანად/პატივისცემით“ და „ისმენდა ყურადღებით/ინტერესით“ ერთნაირად აღიქვეს (100.0% და 96.9%, შესაბამისად). დამკვირვებლებისა და მხარეების აღქმა ძირითადად განსხვავდებოდა[6] მოსამართლის ისეთი კონკრეტული ქცევების შეფასებაში, როგორებიცაა „გამოხატა ემოციები/გრძნობები“ (21.9% და 3.1%, შესაბამისად), "იყო თანმიმდევრული/პროგნოზირებადი" (34.4% და 56.3%, შესაბამისად), "იყო პოზიტიური/ სურდა დახმარება" (46.9% და 62.5%, შესაბამისად) და „გააკეთა შენიშვნები/მითითებები“ (21.9% და 6.2%, შესაბამისად).

როგორც ჩანს, თუ/როდესაც დამკვირვებლები აღნიშნავენ მოსამართლის მიერ გამოხატულ ემოციებს/გრძნობებს და გაკეთებულ შენიშვნებს/მითითებებს, მხარეები ნაკლებად ამჩნევენ ამ ქცევას, ხოლო თუ/როდესაც მხარეები ამჩნევენ მოსამართლის თანმიმდევრულობას/პროგნოზირებადობას და პოზიტიურობას/დახმარების სურვილს, დამკვირვებლები ნაკლებად ამჩნევენ ამ ქცევას.

ზემოაღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე, და იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანები ზოგადად იმას უფრო ამჩნევენ/ხედავენ, რაც მათთვის მნიშვნელოვანია, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ <u>მხარეებისთვის მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა კონკრეტული ქცევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ისეთი ქცევები, როგორებიცაა „მოსამართლის თანმიმდევრულობა/პროგნოზირებადობა“ და „პოზიტიურობა/დახმარების სურვილი“</u>.

მოსამართლის გარკვეული ქცევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საქმის მოსმენის დროს და რომლებიც გადახრილი იყო ერთი ან მეორე მხარისკენ დამკვირვებლებისა და მხარეების აზრით[7] (bb13 და b13, პასუხები = 1, 2, 3) მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

	დამკვირვებელი		მხარე		სხვაობა	სანდოობა
"ადგილი ჰქონდა" მეტად ერთი მხარისადმი	N	(%)	N	(%)	(%)	p-value
იქცეოდა თავაზიანად/ პატივისცემით	2	6.3	0	0.0	6.3	
ისმენდა ყურადღებით/ინტერესით	0	0.0	1	3.2	-3.2	
საუბრობდა მარტივად/გასაგებად	0	0.0	1	3.2	-3.2	
გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებებს	1	9.1	1	11.1	-2.0	
გამოხატავდა ემოციებს/ შეგრძნებებს	2	28.6	0	0.0	28.6	
გამოხატავდა ემპათიას/ გულისხმიერებას	3	33.3	0	0.0	33.3	
იყო თანმიმდევრული/განჭვრეტადი	1	9.1	0	0.0	9.1	
იყო პოზიტიური/სურდა დახმარება	1	6.7	2	10.0	-3.3	
საუბრობდა მშვიდად/სერიოზულად	2	6.3	0	0.0	6.3	
აკეთებდა შენიშვნებს/ მითითებებს	5	71.5	1	50.0	21.5	

დამკვირვებლებისა და მხარეების აღქმა მოსამართლის კონკრეტული ქცევების ერთ-ერთი მხარისკენ გადახრილობის თვალსაზრისით, ძირითადად განსხვავდებოდა ისეთ ქცევებთან მიმართებაში, როგორებიცაა „გამოხატა ემოციები/გრძნობები“ (28.6% და 0.0%, შესაბამისად), „გამოხატა ემპათია/შეშფოთება/თანაგრძნობა“ (33.3% და 0.0%, შესაბამისად), და „გააკეთა შენიშვნა/მითითება“ (71.5% და 50.0%, შესაბამისად). როგორც ჩანს, ეს ქცევები დამკვირვებლების მიერ ნაკლებად, ხოლო მხარეების მიერ მეტად ნეიტრალურად აღიქმება.

[6] “ძირითადი განსხვავება” გულისხმობს დამკვირვებელთა და მხარეთა ისეთი პასუხების წარმოჩენას, რომელთა სიხშირე აღემატება 10%-ს.

[7] მოსამართლის გარკვეული კონკრეტული ქცევები მოსმენის დროს დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ აღწერილი იყო შემდეგი სახით: „ქცევა გამოხატული იყო ორივე მხარის მიმართ თანაბრად“ (პასუხი = 2), „ქცევა უფრო გამოხატული იყო მოსარჩელის მიმართ“ (პასუხი = 1) და „ქცევა უფრო გამოხატული იყო მოპასუხის მიმართ“ (პასუხი = 3).

დამკვირვებლებისა და მხარეების აღქმა ასევე განსხვავდება ზოგადი მიუკერძოებლობის რამდენიმე სხვა ინდიკატორით, რომლებიც ნახსენებია მხარეების მიერ და არ არის ნახსენები დამკვირვებლების მიერ (მაგალითად, „ისმენდა ყურადღებით/ინტერესით“ და „საუბრობდა მარტივად/გასაგებად“ (3.2% და 3.2%, შესაბამისად)) ან/და ნახსენებია დამკვირვებლების მიერ და არ არის ნახსენები მხარეების მიერ (მაგალითად, „იყო თანმიმდევრული/პროგნოზირებადი“ და „საუბრობდა მშვიდად/სერიოზულად“ (9.1% და 6.3%)).

გამომდინარე ზემოთ წარმოდგენილი შედეგებიდან და იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანები ზოგადად იმას უფრო ამჩნევენ/ხედავენ, რაც მათთვის მნიშვნელოვანია, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მოსამართლის ქცევებიდან, რომელსაც მხარეები აღიქვამენ, როგორც ერთ-ერთი მხარისკენ უფრო გადახრილს - „ისმენდა ყურადღებით/ინტერესით“, „საუბრობდა მარტივად/გასაგებად“, „გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებებს“, „იყო პოზიტიური/სურდა დახმარება“, „აკეთებდა შენიშვნებს/მითითებებს“ - მხარეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქცევა არის „ისმენდა ყურადღებით/ინტერესით“ და „საუბრობდა მარტივად/გასაგებად“, ვინაიდან ისინი განსხვავებულად აღიქმება დამკვირვებლების მიერ (დამკვირვებლები მათ საერთოდ ვერ ამჩნევენ).

მიზეზები, თუ რატომ იყო სხდომის დროს მოსამართლის კონკრეტული ქცევა „გადახრილი ერთი მხარისკენ“ (bb14 და b14) დამკვირვებლებისა და მხარეების აზრით (bb14 და b14), მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

	დამკვირვებლები		მხარეები	
	N	(%)	N	(%)
გამოავლინა კმაყოფილება მხარის მიერ შემოთავაზებული მორიგების პირობებით	1	5.9	-	-
მხარეებს განუმარტა მორიგების მნიშვნელობა	1	5.9	-	-
ცდილობდა მოთმინების დაკარგვის გარეშე აეხსნა მხარის უფლებები/ კანონის მოთხოვნები	3	17.6	1	16.7
ორიენტირებული იყო პოზიტიურზე (უგულებელყო მიმართვა „ქალბატონო“/“ბატონო“-ს გარეშე და შეპასუხება)	2	11.8	-	-
საუბრობდა მაღალი ხმით/თითქმის უყვიროდა მხარეს	2	11.8	-	-
შეაწყვეტინა მხარეს გამოსვლა	1	5.9	1	16.7
მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას უკმაყოფილო ჩანდა	1	5.9	-	-
უთხრა მხარეს, რომ მას რაღაც დაუვარდა, რაც შეიძლებოდა დასვრილიყო	1	5.9	-	-
უარყო დამატებითი მტკიცებულება მოხუცი და შშმპ-თვის დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად	2	11.8	-	-
მოსთხოვა მხარეს ჩამოეყალიბებინა მოთხოვნა უფრო მკაფიოდ	1	5.9	-	-
არ მისცა ერთ მხარეს მეორე მხარის გამოსვლის შეწყვეტის უფლება	2	11.8	1	16.7
როგორც ჩანდა, სურდა დახმარება, მაგრამ კანონიერი მოთხოვნების გამო ვერ შეძლო	-	-	1	16.7
საუბრობდა/ხსნიდა ერთი მხარისთვის გაუგებრად (ჩემთვის)	-	-	1	16.7
ერთ მხარეს ნაკლები დრო დაუთმო, ვიდრე მეორეს	-	-	1	16.7
სულ	17	100.0	6	100.0

ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლის ქცევის „ერთი მხარისკენ გადახრილად“ შეფასების მიზეზების ახსნისას, დამკვირვებლები იყენებენ ისეთ ნეგატიურ ფორმულირებებს, როგორებიცაა „საუბრობდა ხმამაღლა/თითქმის უყვიროდა მხარეს“, „შეაწყვეტინა მხარეს გამოსვლა“ და „უკმაყოფილო ჩანდა მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას“. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში, დამკვირვებლები იყენებენ დადებით ან ნეიტრალურ აღწერილობებს/განმარტებებს. მაგალითად:

- გამოავლინა კმაყოფილება მხარის მიერ შემოთავაზებული მორიგების პირობებით (დადებითი/ ნეიტრალური)
- აუხსნა მხარეს მორიგების მნიშვნელობა (დადებითი)
- ცდილობდა მხარისთვის აეხსნა უფლებები/კანონის მოთხოვნები მოთმინებით (დადებითი)
- პოზიტიური (უგულებელყო მიმართვა „ქალბატონო“/“ბატონო“-ს გარეშე და შეპასუხება) (დადებითი)
- უთხრა მხარეს, რომ მას რაღაც დაუვარდა, რაც შეიძლებოდა დასვრილიყო (ნეიტრალური)
- უარყო დამატებითი მტკიცებულება მოხუცი და შშმპ-ის უსიამოვნებისგან გადასარჩენად (დადებითი)
- სთხოვა მხარეს უფრო მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა მოთხოვნა (ნეიტრალური)
- არ მისცა ერთ მხარეს მეორე მხარის შეწყვეტის შესაძლებლობა (დადებითი)

დამკვირვებლებისგან განსხვავებით, მოსამართლის ქცევის „ერთი მხარისკენ გადახრილად“ შეფასების მიზეზების ახსნისას, მხარეები უფრო მეტად იყენებენ ისეთ ნეგატიურ ფორმულირებებს, როგორებიცაა: „საუბრობდა/აუხსნა გაურკვევლად ერთი მხარეს (მე)“, „გამოუყო ნაკლები დრო ერთ მხარეს, მეორესთან შედარებით“ და „შეაწყვეტინა მხარეს გამოსვლა“.

გამომდინარე ზემოთ წარმოდგენილი შედეგებიდან, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ დამკვირვებლებისგან განსხვავებით, მხარეები უფრო მწვავედ აღიქვამენ მოსამართლის ნებისმიერ ქცევას, რომელიც სუბიექტურია ანუ შეიძლება სხვადასხვანაირად შეფასდეს და ასეთი ქცევებია „საუბრობდა/აუხსნა გაურკვევლად ერთი მხარეს (მე)“, „გამოუყო ნაკლები დრო ერთ მხარეს, მეორესთან შედარებით“ და „შეაწყვეტინა მხარეს გამოსვლა“.

4 . მიუკერძოებელი გადაწყვეტილება

მოსამართლის მიერ მიუკერძოებელი გადაწყვეტილების კვლევა მოიცავდა ისეთი თემების შესწავლას, როგორებიცაა მხარეები, რომლებმაც დააყენეს შუამდგომლობ(ებ)ი (bb7-b7); თითოეული მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობ(ებ)ის რაოდენობა (bb8-b8); თითოეული მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობ(ებ)ის შინაარსი (bb9-b9); მოსამართლის გადაწყვეტილება მხარეთა შუამდგომლობ(ებ)ის შესახებ (bb10-b10); მხარეთა მიერ დაყენებულ შუამდგომლობ(ებ)ზე მოსამართლის გადაწყვეტილების შეფასება მიუკერძოებლობის, ანუ სამართლიანობისა და თანაზომიერების თვალსაზრისით (bb11-b11) და მხარეთა მიერ დაყენებულ შუამდგომლობ(ებ)ზე მოსამართლის გადაწყვეტილების შეფასების დასაბუთება მიუკერძოებლობის, ანუ სამართლიანობისა და თანაზომიერების თვალსაზრისით (bb12-b12).

აღსანიშნავია, რომ მიუკერძოებელი გადაწყვეტილების ნაწილის მონაცემების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ დამკვირვებლებისა და მხარეების პასუხები განსხვავებული იყო, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ დამკვირვებლებმა მოსმენაზე გამოიჩინეს არასაკმარისი ყურადღება მოვლენების მიმართ ან მხარეებს ემოციების, სტრესის ან სხვა მიზეზების გამო სათანადოდ არ ახსოვდათ სხდომის მოვლენები. ამის გამო, მიუკერძოებელი გადაწყვეტილების იმ ნაწილების შესწავლის შედეგები, რომლებიც ასახავს ობიექტურ რეალობას (კერძოდ, მხარეები, რომლებმაც დააყენეს შუამდგომლობები (bb7-b7); თითოეული მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების რაოდენობა (bb8-b8); თითოეული მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების შინაარსი (bb9 -b9)) გასწორდა და დამკვირვებლებისა და მხარეებისთვის ერთად იქნა წარმოდგენილი წინამდებარე თავში.

იმ მხარეთა აღწერილობითი სტატისტიკა, რომლებმაც დააყენეს შუამდგომლობა/შუამდგომლობები (bb7, b7) საქმის მოსმენისას და მოსარჩელისა და მოპასუხე მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობ(ებ)ის რაოდენობა (bb8-b8) მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

(bb7, b7) მხარეები, რომლებმაც დააყენეს შუამდგომლობა	N	(%)
მოსარჩელემ დააყენა შუამდგომლობა, მოპასუხემ-არა	10	31.3
მოპასუხემ დააყენა შუამდგომლობა, მოსარჩელემ-არა	4	12.5
ორივე მხარემ დააყენა შუამდგომლობა	4	12.5
არცერთ მხარეს დაუყენებია შუამდგომლობა	14	43.8
სულ	32	100
(bb8, b8) შუამდგომლობის რაოდენობა	მოსარჩელე	მოპასუხე
რ-ბა	14	8
საშუალო	1.29	1.63
მედიანა	1.00	1.00
სტ. გადახრა	.469	.916
მინ.	1	1
მაქს.	2	3

შუამდგომლობები დაყენებული იყო მხარეების მიერ შესწავლილი საქმეების ნახევარზე მეტ შემთხვევებში (56,3%) და თითოეულმა მხარემ – მოსარჩელე და მოპასუხე – სხდომაზე საშუალოდ 1-2 შუამდგომლობა დააყენა (1,29 და 1,63, შესაბამისად).

საქმის განხილვისას ორივე მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების შინაარსი და მათი სიხშირე (bb9, b9) მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

	მოსარჩელე		მოპასუხე	
(bb9, b9) მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობ(ებ)ი	N	(%)	N	(%)
მოსმენის/დავალიანების გადახდის გადავადება	5	29.4	2	14.3
დამატებითი/ახალი მტკიცებულებების წარდგენა	4	23.5	4	28.6
იგივე მტკიცებულების წარდგენა ახალი ფორმით (მაგ. ფერადი)	2	11.8	0	0 .0
სასამართლო დოკუმენტების მოწესრიგება/დახმარების მოთხოვნა მტკიცებულებების მოსაპოვებლად	2	11.8	0	0 .0
სათვალთვალო კამერების ჩანაწერებზე წვდომა	0	0 .0	2	14.3
მოწმის გამოკითხვა	2	11.8	2	14.3
მემკვიდრის დასახელება	0	0 .0	2	14.3
დაუსწრებელი განაჩენის გაუქმება	2	11.8	2	14.3
სულ	17	100.0	14	100.0
(bb10, b10) მხარეთა შუამდგომლობ(ებ)ზე მიღებული გადაწყვეტილება				
დააკმაყოფილა	17	100.0	14	100.0
არ დააკმაყოფილა	0	0.0	0	0.0
სულ	17	100.0	14	100.0

შუამდგომლობები „მოსმენის გადადების/ვალების გადახდის შესახებ“ და „დამატებითი/ახალი მტკიცებულებების წარდგენაზე“ ყველაზე ხშირად იყოს დაყენებული მხარეების მიერ. მხარეთა ყველა შუამდგომლობა საქმის განმხილველმა მოსამართლემ დააკმაყოფილა.

მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების/უარყოფის შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილების შეფასებები თანაზომიერების/სამართლიანობის თვალსაზრისით (bb11, b11) და მოსამართლის გადაწყვეტილების თანაზომიერად/სამართლიანად შეფასების მიზეზები (bb12, b12) მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

	დამკვირვებლები		მხარეები	
	N	(%)	N	(%)
(bb11, b11) მოსამართლის გადაწყვეტილების შეფასება				
გადაწყვეტილება იყო თანაზომიერი/სამართლიანი	18	100.0	18	100.0
გადაწყვეტილება არ იყო თანაზომიერი/სამართლიანი	0	0.0	0	0.0
სულ				
(bb12, b12) მოსამართლის გადაწყვეტილების, როგორც თანაზომიერის/სამართლიანის, შეფასების მიზეზები				
არცერთ მხარეს არ გაუპროტესტებია შუამდგომლობა	3	16.7	2	11.1
მოსამართლემ დაიცვა კანონის მოთხოვნები (მაგ. კითხვები დაუსვა მხარეებს)	1	5.6	3	16.7
მოსამართლემ საქმე სერიოზულად მიიღო	1	5.6	0	0.0
დამატებითი მტკიცებულებები ობიექტური მიზეზების გამო დაგვიანებით იყო წარმოდგენილი	1	5.6	0	0.0
მტკიცებულება ახალი ფორმით (ფერადი) უფრო გრაფიკული იყო	0	0.0	1	5.6
მოსამართლე მიხვდა მხარის მდგომარეობას/ იყო ობიექტური	4	22.2	3	16.7
მოსამართლე იცავდა მატერიალურ და საპროცესო კანონს	2	11.1	2	11.1
მოსამართლის გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის მომგებიანი იყო (მაგ. სათვალთვალო კამერის ჩანაწერები)	1	5.6	0	0.0
მოსამართლემ უსამართლობის/მიკერძოებულობის ნიშანი არ გამოუვლენია	0	0.0	1	5.6
მოსამართლე ორივე მხარეს თანაბრად ეპყრობოდა	1	5.6	2	11.1
მოსამართლემ დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება	4	22.2	4	22.2
სულ	18	100.0	18	100.0

ყველა შესწავლილ საქმეში მოსამართლის გადაწყვეტილება მხარეთა შუამდგომლობ(ებ)ის შესახებ მიჩნეული იყო სამართლიანად/თანაზომიერად (100.0%). ძირითადი მიზეზები, რის გამოც დამკვირვებლები და მხარეები ამართლიანად/თანაზომიერად აფასებენ მოსამართლის გადაწყვეტილებას არის „მოსამართლე მიხვდა მხარის მდგომარეობას/ იყო ობიექტური“ (22,2% და 16,7%, შესაბამისად) და „მოსამართლემ დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება“ (22,2% და 22,2%, შესაბამისად). დამკვირვებლებისა და მხარეების მიერ მოსამართლის გადაწყვეტილების როგორც სამართლიანის/თანაზომიერის შეფასების მიზეზებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა.

ზემოთ წარმოდგენილი შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მოსამართლეები აღიქმებიან მიუკერძოებლად მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობების ყველა ასპექტის მიმართ.

5. კმაყოფილება და მიუკერძოებლობა

სასამართლოს შემდგომი კვლევა მოიცავდა, ერთი მხრივ, სასამართლო დავის შედეგის იდენტიფიცირებას (c1); დავის შედეგით მხარის კმაყოფილების დონის გაზომვას (c2) და ასევე, დავის შედეგით მხარეების კმაყოფილების დონის მიზეზების დადგენას (c3) და მეორე მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეთა კმაყოფილებასა და მოსამართლის მიუკერძოებლობას შორის კავშირის დადგენას (c2 ⇔b1).

სიხშირეები, რომლებიც აღწერს შესწავლილი სასამართლო დავის შედეგებს (c1) და მხარეთა კმაყოფილებას მოსამართლის გადაწყვეტილებით (c2) მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

საქმის შედეგი (c1)	N	(%)	მხარეთა კმაყოფილება გადაწყვეტილებით (c2)	N	(%)
მოსარჩელის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა	10	66.7	აბსოლუტურად უკმაყოფილო	1	6.7
მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	1	6.7	უკმაყოფილო	1	6.7
მოსარჩელის სარჩელი უარყოფილია	0	0.0	არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი	0	0.0
მხარეები შეთანხმდნენ მორიგებაზე	4	26.7	კმაყოფილი	5	33.3
სულ	15	100.0	აბსოლუტურად კმაყოფილი	8	53.3
			სულ	15	100.0

შესწავლილ საქმეთა უმეტესობაში სასამართლო დავის შედეგი იყო მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილება „სრულად“ ან „ნაწილობრივ“ (66.7% და 6.7%, შესაბამისად). მხარეთა უმრავლესობა „ძალიან კმაყოფილი“ ან „კმაყოფილია“ სასამართლო გადაწყვეტილებით (53.3% და 33.3%, შესაბამისად).

სიხშირეები, რომლებიც აღწერს იმ მიზეზებს/დასაბუთებას, რის გამოც მხარეების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეთა კმაყოფილების დონის (c3) დასაბუთების სიხშირე მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

	N	(%)
(c3) გადაწყვეტილებით კმაყოფილების მიზეზები		
კმაყოფილი ვარ მორიგების პირობებით	3	23.1
მოსამართლემ საქმე კარგად შეისწავლა/იცოდა	2	15.4
გადაწყვეტილება სამართლიანი იყო (შშმპ-ს პატიმრობის ნაცვლად დაეკისრა ჯარიმა)	1	7.7
მოსამართლემ გადაწყვეტილება მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღო	2	15.4
ვინაიდან გადაწყვეტილება ჩემს სასარგებლოდ იქნა მიღებული	1	7.7
გადაწყვეტილება იყო ობიექტური და კანონიერი	3	23.1
მოსამართლემ გაითვალისწინა ჩემი პოზიცია, მიიღო მხედველობაში ჩემი მდგომარეობა	1	7.7
სულ	13	100.0
(c3) გადაწყვეტილებით უკმაყოფილების მიზეზები		
ვინაიდან გადაწყვეტილება მეორე მხარის სასარგებლოდ იქნა მიღებული	1	50.0
ვინაიდან გადაწყვეტილება ჩემს სასარგებლოდ არ იქნა მიღებული (მოსამართლემ ხელბორკილები დატოვა მაქსიმალური ვადით)	1	50.0
სულ	2	100.0

ძირითადი მიზეზები, რის გამოც მხარეთა უმრავლესობა კმაყოფილია სასამართლო გადაწყვეტილებით არის „მორიგების პირობები“, „გადაწყვეტილების ობიექტურობა და ლეგიტიმურობა“, „მოსამართლის მიერ საქმის ცოდნა“ და „გადაწყვეტილებისგამოტანა მტკიცებულებებზე დაყრდნობით“. (23.1%, 23.1%, 15.4 და 15.4%, შესაბამისად).

მხარეთა კმაყოფილებისა და მოსამართლის მიუკერძოებლობის ურთიერთდამოკიდებულების მონაცემები (c2 ⇔ b1) მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

(b1) მოსამართლის მიუკერძოებლობა / (c2) გადაწყვეტილებით კმაყოფილების ხარისხი	მოსამართლე იყო მიუკერძოებელი		მოსამართლე არ იყო მიუკერძოებელი		სულ	
	რ-ბა	(%)	რ-ბა	(%)	რ-ბა	(%)
აბსოლუტურად უკმაყოფილო	0	0.0	1	100.0	1	100.0
უკმაყოფილო	1	7.1	0	0.0	1	7.1
კმაყოფილი	5	35.7	0	0.0	5	35.7
აბსოლუტურად კმაყოფილი	8	57.1	0	0.0	8	57.1
სულ (p-value = 0.002)	14	100.0	1	100.0	15	100.0

ის რესპონდენტები, რომელთა შეფასებებით, მოსამართლე არის მიუკერძოებელი, „აბსოლუტუარად კმაყოფილები“ ან „კმაყოფილები“არიან სასამართლო გადაწყვეტილებით (57.1 და 35.7%, შესაბამისად) და პირიქით - ის რესპონდენტები, რომელთა შეფასებებით, მოსამართლე არ არის მიუკერძოებელი, „აბსოლუტუარად უკმაყოფილოები“ არიან სასამართლო გადაწყვეტილებით (100.0%).

გამომდინარე ზემოთ წარმოდგენილი შედეგებიდან, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ <u>სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილების დონე დაკავშირებულია მოსამართლის მიუკერძოებლად ან მიკერძოებულად აღქმასთან ანუ ის მხარეები, რომლებიც მოსამართლეს მიუკერძოებლად მიიჩნევენ, უფრო კმაყოფილები არიან დავის შედეგით/ სასამართლო გადაწყვეტილებით, ვიდრე მხარეები, რომლებიც მოსამართლეს მიკერძოებულად მიიჩნევენ.</u>

D. მიგნებები და რეკომენდაციები

ამ თავში აღწერილია დასკვნები და მიგნებები, ასევე რეკომენდაციები, რომელიც მიღებულია/ შემუშავებულია კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

- წინამდებარე პროექტის/კვლევის გამეორების ან მსგავსი პროექტების/კვლევების ჩატარების მიზნებისთვის, რეკომენდებულია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:
  - ნაცნობების საშუალებით მოპოვებული კონტაქტების გამოყენება ინტერვიუებში მონაწილეობისთვის მოსამართლეთა მოძიებისა და მათგან თანხმობის მისაღებად, თუმცა გაგრძელდეს სხვა/დამატებითი ეფექტური მიდგომების ძიებაც.
  - პროექტის/კვლევის დაწყებამდე ეფექტური მიდგომის პოვნა ისეთი სხდომების იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც ორივე მხარე ესწრება (მაგ. მომზადებული მოქმედებების სტრატეგია ინტერვიუერებისთვის/დამკვირვებლებისთვის, იდენტიფიცირებული პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას ისეთი სხდომების შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს და ა.შ.).
  - მოხდეს სტუდენტების დახმარება თავიანთი ისეთი უნარების გაუმჯობესებაში, რომლებიც საჭიროა მხარეებისგან ინტერვიუში მონაწილეობაზე თანხმობის მისაღებად (მაგ., შესაბამისი სფეროს პროფესიონალ(ებ)ის მოწვევა - ფსიქოლოგები/ქოუჩები - სტუდენტების სხვადასხვა უნარების მომზადებაში), და ასევე მოხდეს მხარეებისგან ინტერვიუში მონაწილეობაზე თანხმობის მისაღებად საჭირო ეფექტური მიდგომების იდენტიფიცირება (მაგ. მხარეების წახალისება და ა.შ.).
  - ინტერვიუერების/დამკვირვებლების ხელშეწყობა, რათა მათ მიიღონ საკმარისი ცოდნა/განათლება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, და ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების საპროცესო კანონმდებლობებს შორის განსხვავებები (მაგ., შესაბამისი სფეროს პრაქტიკოს(ებ)ის - სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცესის ადვოკატები - მოწვევა ახალგაზრდებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად იმაზე, თუ რას უნდა ელოდონ სხვადასხვა ტიპის საქმეებში).
  - წინამდებარე პროექტის/კვლევის მსგავსი პროექტების/კვლევების სამიზნე ჯგუფიდან სისხლის სამართლის საქმეების ამოღება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სისხლის სამართლის საქმეები მაინც მოხვდებიან სამიზნე ჯგუფში, ასეთი შემთხვევებისთვის განსხვავებული მიდგომის შემუშავება/ გამოიყენება.
  - წინამდებარე პროექტის/კვლევის მსგავსი პროექტების/კვლევების ხანგრძლივობის დაგეგმვისას, ხანგრძლივობის გეგმა შედგენილი იქნება 7 თვეზე მეტი დროის პერიოდისთვის.
  - კვლევის ძირითადი ინსტრუმენტის გაუმჯობესება შემდეგი ქმედებებით: (1) კითხვარი უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე (ძალიან ცოტა კითხვებით); (2) კითხვარი უნდა შეიცავდეს მხოლოდ დახურულ კითხვებს და შემდეგ ნაწილებს: (i) სექცია ინტერვიუერებისთვის/ დამკვირვებლებისთვის და (ii) სექცია მხარეებისთვის; (3) შუამდგომლობ(ებ)ის ნაწილში მოცემული კითხვები უნდა იყოს ამოღებული; (4) მოსამართლის ქცევის დამახასიათებელი დებულებების ფორმულირება უნდა მოხდეს ისე, რომ მათი აღქმა იყოს ერთაზროვანი ანუ დებულებებში ნათლად უნდა ჩანდეს, არის თუ არა მოსამართლის ერთ-ერთი მხარისკენ გადახრილი ქცევის განზრახვა/მიზანი მხარეთა შორის არსებული ბალანსის დარღვევა (უარყოფითი) თუ არარსებული ბალანსის აღდგენა (დადებითი);
  - წინამდებარე პროექტის/კვლევის მსგავს პროექტებში/კვლევებში, წყვილი ინტერვიუერების/ დამკვირვებლების, როგორც საველე სამუშაოების მონიტორინგის ინსტრუმენტის, გამოყენების გარდა, სასურველია შემუშავდეს საველე სამუშაოების მონიტორინგის სხვა დამატებითი სუსტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინტერვიუერების/დამკვირვებლების წყვილის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და სანდოობას, მაგ., რესპონდენტებთან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ ტელეფონის ნომრებზე ზარების განხორციელება იმის გადასამოწმებლად, რომ ყველა ინტერვიუ მართლაც იყო ჩატარებული და მათთვის კითხვარიდან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული კითხვების დასმა იმის გადასამოწმებლად, რომ ყველა კითხვა ნამდვილად იყო დასმული.
  - ისეთი ინტერვენციების დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ინტერვიუერების/დამკვირვებლების საფუძვლიან მომზადებას ინტერვიუებისთვის (მაგ., (1) შესაბამისი სფეროს პროფესიონალ(ებ)ის – ფსიქოლოგები/სოციოლოგები – მოწვევა სტუდენტების მომზადების მიზნით ისეთ საკითხებში, როგორებიცაა კვლევის მეთოდები და ტექნიკები, ინტერვიუერების მიერ რესპონდენტთა პასუხებზე გაუცნობიერებელი გავლების თავიდან არიდების საშუალებები, რესპონდენტებისგან მიღებული პასუხების ობიექტურად ასახვის მნიშვნელობა და ა.შ.; (2) კვლევის მეთოდოლოგიის, როგორც შერჩევითი საგნის, დამატება სამართლის სკოლის სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში; და ა.შ.)
  - წინამდებარე პროექტის/კვლევის მსგავს პროექტებში/კვლევებში როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის დიზაინის გამოიყენება შემდეგი ორი გზით: (1) ერთად, როგორც ერთი პროექტის/კვლევის ცალკეული ეტაპები ან (2) ცალ-ცალკე, როგორც ორი დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული პროექტი/კვლევა. რაოდენობრივი კვლევა (კერძოდ, შემთხვევითი შერჩევით და უფრო დიდი შერჩევის ზომით) უზრუნველყოფს კვლევის შიდა და გარე ვალიდობას და შესაძლებელს გახდის მიღებული შედეგების განზოგადებას, ხოლო თვისობრივი კვლევა (კერძოდ,

ჩაღმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები) უზრუნველყოფს მოსამართლ(ეებ)ის ქცევის უკეთ გაგებას პროცესის მონაწილ(ეებ)ის თვალსაზრისით.

- შესწავლილი საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობაში როგორც დამკვირვებლები, ისე მხარეები აფასებენ მოსამართლეებს, რადგან მოსამართლეების დამოკიდებულება ორივე მხარის მიმართ თანაბარია, ისინი არ განასხვავებენ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს/ადვოკატებს, იღებენ სამართლიან და თანაზომიერ გადაწყვეტილებებს ორივე მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე/ შუამდგომლობებზე და ორივე მხარის მიმართ ახორციელებენ ერთნაირ კონკრეტულ ქცევებს.

- მიუხედავად იმისა, რომ მხარეები უმეტეს შემთხვევაში სწორად განსაზღვრავენ „მიუკერძოებლობას“, „სამართლიანობასა“ და „დამოუკიდებლობას“ (ამბობენ რა, რომ „მიუკერძოებლობა“ არის მხარეების მიმართ თანაბარი დამოკიდებულება; „სამართლიანობა“ დაკავშირებულია გადაწყვეტილების/ განჩინების მიღებასთან, ხოლო „დამოუკიდებლობა“ არის თავისუფლება ყოველგვარი გავლენისგან), ისინი იშვიათად იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა “ფართო თვალსაწიერი“ (open-mindedness) და „არაობიექტურობის/ წინასწარ შექმნილი აზრის (bias/prejudice) არარსებობა“ მოსამართლის მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და დამოუკიდებლობის განსაზღვრისას. ვინაიდან ეს ტერმინები ხშირად და აქტიურად გამოიყენებოდა გამოკითხული მოსამართლეების მიერ მოსამართლის თვისებების აღწერის მიზნით და მხარეები არ იცნობენ ან ნაკლებად იცნობენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „ფართო თვალსაწიერი“ და „არაობიექტურობის/ წინასწარ შექმნილი აზრის (bias/prejudice) არარსებობა“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ <u>მხარეები არ იცნობენ ან არასაკმარისად იცნობენ იმ ფორმალურ თვისებებს, რომლებიც მოსამართლეს უნდა ჰქონდეს/გააჩნდეს (მაგ. „ფართო თვალსაწიერი“, „არაობიექტურობის/წინასწარ შექმნილი აზრის (bias/prejudice) არარსებობა“ და ა.შ.).</u>
  - **რეკომენდაცია #1**: სასურველია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომლებიც გათვლილია ფართო მოსახლეობაზე და უზრუნველყოფს ინფორმაციას/ცოდნას იმ თვისებების/ მახასიათებლების შესახებ, რომელიც მოსამართლეს უნდა ჰქონდეს/გააჩნდეს.

- ვინაიდან მხარეების უმრავლესობისთვის „მოსამართლის რეპუტაცია“ არის საქმის განმხილველ მოსამართლის მიმართ როგორც ნდობის, ასევე უნდობლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ <u>მოსამართლის რეპუტაცია ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსამართლის შესახებ აზრის ჩამოყალიბებაში</u> (დადებითი და უარყოფითი აზრი). ამასთან, მხარეები, რომლებიც მოსამართლის ნდობის მიზეზად საკუთარ „გამოცდილებას“ ასახელებენ, ამ მიზეზს მხოლოდ ნდობაზე და არა უნდობლობაზე საუბრისას იყენებენ (დადებითი აზრი). ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ <u>იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის შესახებ ჩამოყალიბებული აზრის წყარო რეპუტაციაა, მხარეთა აზრი მოსამართლის შესახებ დადებითი ან უარყოფითია (ნდობა ან უნდობლობა), ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც აზრი ყალიბდება წინა გამოცდილების საფუძველზე, ასეთი მოსაზრებები ძირითადად დადებითია (ნდობა).</u>
  - **რეკომენდაცია #2**: საინტერესო იქნებოდა კვლევის შემუშავება იმის გასარკვევად, თუ როგორ ყალიბდება მოსამართლეთა რეპუტაცია, ყალიბდება თუ არა მოსამართლეთა რეპუტაცია რეალობის, აღქმის თუ ორივეს საფუძველზე იმ მხარეებისთვის, რომელთა მოსაზრებების ჩამოყალიბება მოსამართლეზე ხდება სხვა ადამიანების გამოცდილების საფუძველზე ანუ ზეპირსიტყვიერი გადმოცემის წყაროდან (მეორადი გამოცდილება) იმ მხარეების საპირწონედ, რომელთა მოსაზრებების ჩამოყალიბება მოსამართლეზე ხდება წინა საქმეებიდან/მოსმენების საფუძველზე ანუ საკუთარი გამოცდილების წყაროდან (პირველადი გამოცდილება).
  - შენიშვნა: ვინაიდან „მოსამართლის რეპუტაცია“ განსაზღვრავს არა მხოლოდ მოსამართლის მიმართ ნდობას, არამედ მისი მიუკერძოებლობის აღქმასაც, მართლაც მნიშვნელოვანია ამ საკითხის შემდგომი შესწავლა (იხ. რეკომენდაცია #6).

- მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა აცხადებს, რომ კარგად იცნობს მოსამართლის საპროცესო მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, როგორც ჩანს, ეს ასე არ არის. ერთის მხრივ, როდესაც მხარეებს სთხოვენ მოსამართლის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დასახელებას, ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი ძალიან ზოგადია („იცნობენ ყველა მოვალეობასა და პასუხისმგებლობას“), ხოლო მეორე მხრივ, რესპონდენტებს უჭირთ მოსამართლის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დასახელება დახმარების გარეშე (პასუხების წაკითხვა). იმ მოვალეობებიდან და პასუხისმგებლობებიდან, რომლებსაც მხარეები იცნობენ ან ახსოვთ, ყველაზე ხშირად დასახელდა „საქმის საფუძვლიანად/კარგად განხილვა/ცოდნა“ და „მხარეებისთვის კითხვის დასმა იმაზე, სურთ თუ არა მოსამართლის აცილება“. ამდენად, <u>მხარეები არ იცნობენ მოსამართლის საპროცესო მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ან არ ახსოვთ ისინი. იმ მოვალეობებიდან და პასუხისმგებლობებიდან, რომლებსაც მხარეები იცნობენ ან ახსოვთ, ყველაზე ხშირად დასახელდა „საქმის საფუძვლიანად/კარგად განხილვა/ცოდნა“ და „მხარეებისთვის კითხვის დასმა იმაზე, სურთ თუ არა მოსამართლის აცილება“.</u>

- **რეკომენდაცია #3**: კარგი იქნებოდა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომლებიც გათვლილია მოსახლეობის ფართო ფენებზე და უზრუნველყოფს მათთვის მოსამართლის საპროცესო მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაციის/ცოდნის მიწოდებას.

- როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც მხარეები ასახელებენ მოსამართლის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხია „საქმის სრულყოფილად/ კარგად განხილვა/ცოდნა". თუ მხედველობაში იქნება მიიღებული, რომ (1) მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და დამოუკიდებლობის განმარტებებში ასევე შედის „მტკიცებულებების დეტალური შესწავლა/საქმის ცოდნა" (იხ. „სხვა განმარტებები") და (2) სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეების კმაყოფილების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს „მოსამართლის ცოდნა საქმის შესახებ", შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ <u>მოსამართლის მიერ სასამართლო საქმის დეტალების კარგად ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია მხარეებისთვის.</u>
  - **რეკომენდაცია #4**: რეკომენდებულია, რომ საქმის ფაქტობრივად კარგად ცოდნასთან ერთად, მოსამართლემ ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სხდომაზე წარმოაჩინოს ეს ცოდნა.

- ვინაიდან დამკვირვებლებისთვის მოსამართლის მიუკერძოებლობის მთავარი მაჩვენებელია, ზოგადად, „კანონის მოთხოვნების, საპროცესო წესებისა და ეთიკური ნორმების დაცვა", ხოლო მხარეებისთვის ასეთი მაჩვენებელია „მიკერძოებულობის ნიშნების არარსებობა", შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ <u>მოსამართლის მიუკერძოებლობის აღწერისას, ზოგადად, დამკვირვებლები უფრო კონკრეტულ, დაკვირვებად და გაზომვად მაჩვენებლებს იყენებენ, ვიდრე მხარეები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმ სტანდარტის არარსებობით, რომლის გამოყენება მხარეებს შეუძლიათ მოსამართლის მიუკერძოებელი ქცევის უფრო ობიექტური აღქმისთვის</u>.
  - **რეკომენდაცია #5**: კარგი იქნებოდა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომლებიც გათვლილია მოსახლეობის ფართო ფენებზე და უზრუნველყოფს მათთვის მოსამართლის სტანდარტის შესახებ ინფორმაციის/ცოდნის მიწოდებას.

- მხარეები აღწერენ მიუკერძოებელ მოსამართლეს, როგორც მოსამართლეს, რომელსაც აქვს „კარგი რეპუტაცია", „აძლევს მხარეებს სიტყვით გამოსვლის და გამოსვლის დასრულების შესაძლებლობას" და „არ არის გადახრილი ძლიერი მხარისაკენ (მაგ. სახელმწიფო) (ითხოვს დამატებით მტკიცებულებებს)" განსხვავებით დამკვირვებლებისგან, რომლებიც ამგვარ აღწერილობებს არ იყენებენ. ამდენად, <u>ისეთი ფაქტორები, როგორიცაა „კარგი რეპუტაცია", „მხარეებისთვის სიტყვით გამოსვლის და გამოსვლის დასრულების საშუალების მიცემა" და „სახელმწიფო სუბიექტის მიმართ კეთილგანწყობის არარსებობა" ძალიან მნიშვნელოვანი უნდა იყოს მხარეებისთვის მოსამართლის მიუკერძოებლობის განსაზღვრისას.</u>
  - **რეკომენდაცია #6**: ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს ჰქონდეთ საშუალება სრულად გამოხატონ თავიანთი პოზიციები/აზრები და დაასრულონ გამოსვლები და თუ/როდესაც ამის უზრუნველყოფა შეუძლებელია (მაგ. დროის შეზღუდვა, წესრიგის დაცვა და ა.შ.), გაკეთდეს განმარტებები (მაგ. მხარეს განემარტოს მიზეზები, თუ რატომ არ ეძლევა მას გამოსვლის ან სიტყვის დასრულების დრო).
  - შენიშვნა: ვინაიდან „მოსამართლის რეპუტაცია" განსაზღვრავს არა მხოლოდ მოსამართლის მიმართ ნდობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, არამედ მისი მიუკერძოებლობის აღქმასაც, მართლაც მნიშვნელოვანია ამ საკითხის შემდგომი შესწავლა (იხ. რეკომენდაცია #2). რაც შეეხება „ძლიერი მხარისთვის (მაგ. სახელმწიფოსთვის) უპირატესობის არმინიჭების საკითხს, იგი განხილულია ქვემოთ (იხ. რეკომენდაცია #7.2).

- მხარეები აღწერენ მიკერძოებულ მოსამართლეს, როგორც მოსამართლეს, რომელიც მათი აღქმით „გადახრილია იმ მხარისკენ, რომელიც წარმოდგენილია სახელმწიფოს/მთავრობის მიერ" და „უფრო ყურადღებით უსმენს მეორე მხარეს". როგორც ჩანს, საქმეები, სადაც ერთი მხარე სახელმწიფოა უფრო სენსიტიურია მხარეებისთვის სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარე და მოსამართლის დამოკიდებულება სახელმწიფო მხარის მიმართ განსაზღვრავს მხარეების მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასებას. ასეთ შემთხვევებში, <u>მოსამართლე მიიჩნევა მიუკერძოებლად, თუ იგი უფრო მკაცრად ეპყრობა მხარეს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს (მაგ. ითხოვს დამატებით მტკიცებულებებს) და მიიჩნევა, უფრო ზუსტად „ჩანს", მიკერძოებელი, თუ ასეთი მკაცრი დამოკიდებულება არ არის სახეზე</u>. რაც შეეხება მოსამართლის, როგორც მიკერძოებულის, აღწერას იმის გამო, რომ ის „სხვა მხარეს უფრო ყურადღებით უსმენს", ვინაიდან დამკვირვებლები საერთოდ არ იყენებენ ამ აღწერილობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ <u>„ორივე მხარის თანაბრად ყურადღებით მოსმენის" ფაქტორი უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი მხარეთათვის მოსამართლის მიუკერძოებლობის განსაზღვრაში</u>.
  - **რეკომენდაცია #7.1**: ვინაიდან ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ არა მხოლოდ თანაბრად მოუსმინოს მხარეებს, არამედ მხარეებმა შეძლონ ამის დანახვა, რეკომენდებულია

მოსამართლეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემოღება აქტიური მოსმენის უნარის სწავლის/გაუმჯობესების მიზნით.

- **რეკომენდაცია #7.2**: რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეებში დასახელებული „ძლიერი მხარისთვის (მაგ. სახელმწიფოსთვის) უპირატესობის მინიჭების არარსებობას“, რეკომენდებულია, რომ მოსამართლეებმა განაგრძონ მაღალი სტანდარტების გამოყენება იმ მხარის მიმართ, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მტკიცებულებების მოთხოვნით).

- საგულისხმოა, რომ ერთ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთმა დამკვირვებელმა მოსამართლე მიკერძოებულად შეაფასა ერთ-ერთ მხარესთან „გაღიზიანებითა და მაღალი ხმით“ საუბრის გამო, არც მეორე დამკვირვებელს და არც მხარეებს მსგავსი შეფასება არ გაუკეთებიათ. შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ლოგიკური ახსნა იმისა, რომ მხარეები ასეთ ქცევას ითმენენ ანუ არ თვლიან მას აღნიშვნის ღირსად, რომელთაგანაც ერთ-ერთი შეიძლება იყოს ის, რომ <u>მოსამართლის ისეთ მიუღებელ ქცევაზე, როგორიცაა ერთ-ერთ მხარესთან გაღიზიანებული და მაღალი ხმით საუბარი, თვალის დახუჭვა ხდება მაშინ, როდესაც ასეთი მოპყრობა განიხილება როგორც სამართლიანი ანუ დამსახურებული, ადეკვატური და/ან რელევანტური</u>.
  - **რეკომენდაცია #8**: მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მხარისთვის ისეთი მიუღებელ ქცევა, როგორიცაა ერთ-ერთ მხარესთან გაღიზიანებული და მაღალი ხმით საუბარი, შესაძლოა მისაღებია, საუკეთესო გამოსავალი არის ამ ქცევისგან თავის შეკავება. ამდენად, რეკომენდებულია მოსამართლეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა ისეთი უნარ-ჩვევის სწავლის/გაუმჯობესების მიზნით, როგორიცაა ემოციური ინტელექტი (EQ).

- როგორც ჩანს, დამკვირვებლებთან შედარებით <u>მხარეებისთვის მეტად შესამჩნევი და შესაბამისად უფრო მნიშვნელოვანია, მოსამართლის ისეთი ქცევები, როგორებიცაა „თანამიმდევრულობა/ პროგნოზირებადობა“ და „პოზიტიურობა/დახმარების სურვილი“</u>, ვიდრე ისეთი ქცევები, როგორებიცაა „ემოციების/გრძნობების გამოხატვა“ და „შენიშვნების/მითითებების გაკეთება“. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ <u>მოსამართლის ისეთი ქცევები, როგორიცაა „ემოციების/გრძნობების გამოხატვა“, „შენიშვნების/მითითებების გაკეთება“, „თანმიმდევრულობა/პროგნოზირებადობა“ და „პოზიტიურობა/დახმარების სურვილი“ უფრო სუბიექტურია მხარეებისთვის, ვიდრე სხვა ქცევები.</u> მხარეებმა შეიძლება უკეთ დაინახონ/შეამჩნიონ მოსამართლის ისეთი ქცევები, როგორებიცაა „თანმიმდევრულობა/პროგნოზირებადობა“ და „პოზიტიურობა/დახმარების სურვილი“, ვინაიდან ისინი ელიან მათ ან სურთ მათი დანახვა/შემჩნევა და შეიძლება ნაკლებად დაინახონ/შეამჩნიონ მოსამართლის ისეთი ქცევები, როგორებიცაა „ემოციების/გრძნობების გამოხატვა“ და „შენიშვნების/მითითებების გაკეთება“, ვინაიდან ისინი არ ელიან მათ ან სურთ მათი დანახვა/შემჩნევა.
  - **რეკომენდაცია #9.1**: მოსამართლის ისეთი ქცევების სუბიექტური ხასიათის დასაძლევად, როგორებიცაა „ემოციების/გრძნობების გამოხატვა“, „შენიშვნების/მითითებების გაკეთება“, „თანმიმდევრულობა/პროგნოზირებადობა“ და „პოზიტიურობა/დახმარების სურვილი“ რეკომენდებულია, მოსამართლის მიერ მხარეებისთვის რაც შეიძლება მეტი უკუკავშირის მიწოდება. მაგალითად, “ემოციების/გრძნობების გამოხატვის” და „შენიშვნების/მითითებების გაკეთების“ მიზეზების ახსნა; ისეთი ქცევების განმარტება, რომლებიც ერთ-ერთი მხარისთვის დადებითად/ ხელსაყრელად შეიძლება იყოს მიჩნეული და ა.შ.
  - **რეკომენდაცია #9.2**: რეკომენდებულია შემდეგი ქცევების სუბიექტური ბუნების გაცნობიერება და სიფრთხილით გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში): „ემოციების/გრძნობების გამოხატვა“, „შენიშვნების/მითითებების გაკეთება“, „თანამიმდევრულობა/პროგნოზირებადობა“ და „პოზიტიურობა/დახმარების სურვილი”.

- როგორც ჩანს, მხარეები დამკვირვებლებისგან განსხვავებულად აფასებენ მოსამართლის მიუკერძოებლობას ისეთი ქცევებს, როგორებიცაა „ისმენდა ყურადღებით/ინტერესით“ და „საუბრობდა მარტივად/გასაგებად“. კერძოდ, დამკვირვებლებთან შედარებით, ისინი ამ ქცევებს ერთი მხარისკენ უფრო გადახრილად მიიჩნევენ. ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ <u>მოსამართლის ისეთი ქცევების შეფასება, როგორებიცაა „ისმენდა ყურადღებით/ინტერესით“ და „საუბრობდა მარტივად/გასაგებად“ უფრო სუბიექტური და მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქცევის შეფასება.</u>
  - **რეკომენდაცია #10**: მოსამართლის ქცევის „საუბრობდა მარტივად/გასაგებად“ სუბიექტური ხასიათის დასაძლევად, რეკომენდებულია (1) მხარეებისგან რაც შეიძლება მეტი უკუკავშირის მიღება. (მაგ., ორივე მხარისთვის კითხვის დასმა იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ყველაფერი გასაგები; ხომ არ არის საჭირო დამატებითი ახსნა-განმარტება) და (2) მოსამართლის მიერ ამ ქცევის სუბიექტური ბუნების გაცნობიერება და სიფრთხილით გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში).
  - შენიშვნა: „ისმენდა ყურადღებით/ინტერესით“ საკითხი უკვე განხილული იყო ზემოთ (იხ. რეკომენდაცია #7.1).

- მაშინ როდესაც მხარეები მიიჩნევენ, რომ მოსამართლის ქცევა ერთი მხარისკენ გადახრილია, რადგან მოსამართლე „საუბრობს/განმარტავს გაურკვევლად ერთი მხარისათვის (მე)“, „ერთ მხარეს ნაკლებ დროს უთმობს, ვიდრე მეორეს“ და „აწყვეტინებს მხარეს გამოსვლას“, დამკვირვებლები ამ ქმედებებს ვერ ამჩნევენ. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსამართლის ისეთი ქცევები, როგორებიცაა „მკაფიოდ საუბარი/ ახსნა-განმარტება“, „ორივე მხარისთვის თანაბარი დროის გამოყოფა საუბრისთვის“ და „მხარეებისთვის სიტყვის დასრულების შესაძლებლობის მიცემა“ მხარეების მიერ სუბიექტურად აღიქმება და მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.
  - **რეკომენდაცია #11**: რეკომენდებულია, რომ (1) მოსმენის დროს მოსამართლემ მკაფიოდ ისაუბროს და დარწმუნდეს, რომ ორივე მხარემ გაიგო ყველა ახსნა-განმარტება. მაგალითად, საუბრის ან/და ახსნა-განმარტების დასრულების შემდეგ მოსამართლე ამოწმებს ორივე მხარესთან, იყო თუ არა მათთვის ყველაფერი ნათელი და გასაგები; (2) განხორციელდეს შემდგომი კვლევა მოსამართლის სიტყვების ფორმულირებების შესწავლისა და ფართო საზოგადოებისთვის მკაფიო, მარტივი და გასაგები ლექსიკის შემუშავების მიზნით.
  - შენიშვნა: „ორივე მხარისთვის თანაბარი დროის გამოყოფის“ და „გამოსვლის დასრულების საშუალების მიცემის“ საკითხი განხილულია ზემოთ (იხ. რეკომენდაცია #6).

- საგულისხმოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებლების მიერ მოსამართლის ერთ-ერთი კონკრეტული ქცევა შეფასებული იყო როგორც ერთი მხარისკენ გადახრილი, ის არ განიხილებოდა ნეგატიურ კონტექსტში (მაგ. მიუკერძოებელი, არაობიექტური და ა.შ.), ვინაიდან ეს ქცევა დაკავშირებული იყო ისეთ სიტუაციებთან, როგორებიცაა სუსტი მხარის დახმარება თავისი უფლებების გაგებაში; პროცედურის ახსნა მხარისთვის, რომელმაც ცოტა რამ იცის მის შესახებ; მორიგების სარგებლის ახსნა მხარისთვის, რომელსაც არ მოსწონს მორიგების იდეა და ა.შ. იგივე/მსგავსი სიტუაციები მხარეების მიერ ნაკლებად პოზიტიურად, ანუ უფრო უარყოფით კონტექსტში აღიქმება. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევებში, თუ/როდესაც ერთი მხარე უფრო სუსტია, აქვს ნაკლები ცოდნა საპროცესო კანონმდებლობის თვალსაზრისით და ა.შ., მოსამართლის გადახრილი ქცევა ამ მხარის მიმართ დამკვირვებლების მიერ არ აღიქმება უარყოფით კონტექსტში, ვინაიდან ისინი, დიდი ალბათობით, ისინი ამ ქცევას განმარტავენ, როგორც სამართლიანს/მიუკერძოებელს, ანუ როგორც მხარეებს შორის ბალანსის აღდგენის საშუალებას, მაშინ როდესაც ასეთი ქცევა უფრო კრიტიკულად აღიქმება მხარეების მიერ, დიდი ალბათობით იმიტომ, რომ ისინი ჩართული არიან სასამართლო პროცესში, ანუ ეს პროცესი მათთვის უფრო პირადულია.
  - **რეკომენდაცია #12**: იმისათვის, რომ მოხდეს მოსამართლის ზოგიერთი ქცევის (ერთი მხარის დახმარება უფლებების გაგებაში, ახსნა-განმარტების მიწოდება, მორიგების შეთავაზება და ა.შ.) მეორე მხარის აღქმაზე უარყოფითი გავლენის დაძლევა, რეკომენდებულია მოსამართლემ ყოველთვის ჰკითხოს მეორე მხარეს, სჭირდება თუ არა მასაც იგივე/მსგავსი/თანაბარი დახმარება, ახსნა, და ა.შ., რაც ახლახან მიიღო საპირისპირო მხარემ.

- აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ საქმეებში, თუ/როდესაც მხარე წარმოადგენს „უფრო სუსტ მხარეს“ (ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე სახელმწიფოა) და მოსამართლე განსხვავებულად ექცევა მოწინააღმდეგე „უფრო ძლიერ მხარეს“ (მაგ. ითხოვს დამატებით მტკიცებულებებს და ა.შ.), „უფრო სუსტი მხარე“ დადებითად აფასებს მოსამართლის მიუკერძოებლობას. თუმცა, სამოქალაქო საქმეებში, თუ/როდესაც მხარე წარმოადგენს „უფრო ძლიერ მხარეს“ (ვინაიდან მოწინააღმდეგეს არ ესმის პროცედურა, მორიგების სარგებელი და ა.შ.) და მოსამართლე მოწინააღმდეგე „უფრო სუსტ მხარეს“ განსხვავებულად ექცევა (მაგ. განუმარტავს უფლებებს, პროცედურებს, მორიგების უპირატესობებს და ა.შ.), „უფრო ძლიერი მხარე“ უფრო უარყოფითად აფასებს მოსამართლის მიუკერძოებლობას.
  - **რეკომენდაცია #13**: რეკომენდებულია, რომ როგორც კი მოსამართლე დაასრულებს საუბრას „უფრო სუსტ მხარესთან“, ანუ მხარესთან, რომელიც არ იცნობს ან ცუდად იცნობს თავის უფლებებს (განუმარტავს მხარეს უფლებებს, პროცედურულ წესებს, მორიგების უპირატესობებს და ა.შ.), მოსამართლემ მიმართოს სხვა „უფრო ძლიერ მხარეს“ ანუ მხარეს, რომელიც უკეთ იცნობს თავის უფლებებს და დაუსვას კითხვა, სჭირდება თუ არა მასაც რაიმე განმარტება (უფრო აქტუალურია სამოქალაქო საქმეებისთვის).

- მხარეთა მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილებასა და მხარეთა მიერ მოსამართლის ზოგადი მიუკერძოებლობის შეფასება დაკავშირებულია ერთმანეთთან, რაც კიდევ უფრო ცხადს ხდის მოსამართლის სწორი პროცედურული ქცევის მნიშვნელობას. კერძოდ, ის მხარეები, რომლებიც მოსამართლეს მიუკერძოებლად მიიჩნევენ, უფრო კმაყოფილები არიან დავის შედეგით/ სასამართლო გადაწყვეტილებით, ვიდრე მხარეები, რომლებიც მოსამართლეს მიკერძოებულად მიიჩნევენ.
  - **რეკომენდაცია #14**: რეკომენდებულია სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილებასა და მოსამართლის მიუკერძოებლობას შორის კავშირის შემდგომი კვლევა, რომელიც უნდა მოიცავდეს მიზეზებს/ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლო პროცესით კმაყოფილებას, თუნდაც სასამართლო პროცესის უარყოფითი/არასახარბიელო შედეგის არსებობის შემთხვევაში.

E. დანართები

დანართი #1: გამოყენებული ლიტერატურა

(1) Rädler, Peter. Independence and Impartiality of Judges. http://hrlibrary.umn.edu/fairtrial/wrft-rae.htm#N_89_
(2) Blahuta, Roman I.. "Impartiality in Court Proceedings." Informatologia, vol. 55, br. 1-2, 2022, str. 65-75. https://doi.org/10.32914/i.55.1-2.6. Citirano 04.11.2022.
(3) International Principles on the Independence and Accountability of Judges, Lawyers and Prosecutors. Practitioners Guide No. 1, International Commission of Jurists. გვ.3
(4) Universal Declaration of Human Rights. https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights
(5) Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (ETS No. 005). https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=treaty-detail&treatynum=005
(6) International Covenant on Civil and Political Rights. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights
(7) Basic Principles on the Independence of the Judiciary. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/basic-principles-independence-judiciary
(8) The Bangalore Principles of Judicial Conduct, United Nations Office on Drugs and Crime, Vienna, 2018. https://www.unodc.org/res/ji/import/international_standards/bangalore_principles/bangaloreprinciples.pdf
(9) Merriam Webster Dictionary, https://www.merriam-webster.com/dictionary
(10) Kemal ŞAHİN (2008) Impartiality of the Judiciary. ankarabarrevew 2008/1, გვ.16
(11) AIRE Centre (Advise on Individual Rights Centre) and Civil Rights Defenders. (September 2021) "Independence and Impartiality of the Judiciary - An overview of relevant jurisprudence of the European Court of Human Rights". გვ.50-67
(12) Charles Gardner Geyh, The Dimensions of Judicial Impartiality, 65 Fla. L. Rev. 493 (2014). Available at: https://scholarship.law.ufl.edu/flr/vol65/iss2/4, გვ.498-509
(13) კვლევა "გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, წარსულში ზეწოლის ქვეშ მიღებული უსამართლო გადაწყვეტილებების ავტორებმა სასამართლო უნდა დატოვონ" ჩატარებული "საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" (TI) დაკვეთით და შესრულებული "კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის" (CRRC) მიერ, 2019. https://transparency.ge/ge/post/gamokitxulta-umravlesobis-azrit-carsulshi-zecolis-kvesh-migebuli-usamartlo-gadacqvetilebebis

დანართი #2: საკაბინეტო კვლევის წყაროები

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის შეფასება – მომჩივანთა და ადვოკატთა სატელეფონო გამოკითხვა. 2020 წლის მაისი
- The Bangalore Principles of Judicial Conduct 2002 (The Bangalore Draft Code of Judicial Conduct 2001 adopted by the Judicial Group on Strengthening Judicial Integrity, as revised at the Round Table Meeting of Chief Justices held at the Peace Palace, The Hague, November 25-26, 2002)
- United Nations Office on Drugs and Crime. Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct
- Can Courts Be More User Friendly? How Satisfaction Surveys Can Promote Trust and Access to Justice. Center for Court Innovation. courtinnovation.org/areas-of-focus/domestic-violence
- Trust and Confidence in the California Courts - A Survey of the Public and Attorneys. Commissioned by the Administrative Office of the Courts on behalf of the Judicial Council of California, September 2005.
- Roman I. Blahuta. "Impartiality in Court Proceedings". Lviv State University of Internal Affairs, Lviv, Ukraine Informatologia, Vol. 55 No. 1-2, 2022.
- Emily Gold LaGratta, Elise Jensen. Measuring Perceptions of Fairness: An Evaluation Toolkit. Center for Court Innovation (Grant No. BJA 2010-DB-BX-K050 awarded by the Bureau of Justice Assistance - a component of the U.S. Department of Justice's Office of Justice Programs), October 2015.
- Professor S Roach Anleu and Emerita Professor K Mack. (2017) Impartiality and emotion in judicial work. 29(3) JOB 21.https://www.judcom.nsw.gov.au/publications/benchbks/judicial_officers/impartiality_and_emotion_in_judicial_work.html#ftn.d5e1175
- Tom R. Tyler, The Psychological Consequences of Judicial Procedures: Implications for Civil Commitment Hearings, 46 SMU L. Rev. 433 (1993).
- საქართველოს სასამართლო ეთიკის ნორმები, მუხლი 5
- Rädler, Peter. Independence and Impartiality of Judges. http://hrlibrary.umn.edu/fairtrial/wrft-rae.htm#N_89_
- AIRE Centre (Advise on Individual Rights Centre) and Civil Rights Defenders. (September 2021) "Independence and Impartiality of the Judiciary - An overview of relevant jurisprudence of the European Court of Human Rights".

დანართი #3: საკაბინეტო კვლევის შედეგები

	მიუკერძოებლობა		სამართლიანობა
	საპროცესო მიუკერძოებლობა[8]		საპროცესო სამართლიანობა[9]
1	მტკიცების საგნის განსაზღვრა	1	ხმა
2	ტვირთის გადანაწილება მხარეებს შორის	2	პატივისცემა
3	მტკიცებულებების წარდგენა, გამჟღავნება და მიწოდება	3	ნეიტრალიტეტი
4	მტკიცების მეთოდებისა და საშუალებების არჩევანი	4	გაგება
5	მტკიცებულებების შესწავლა და შეფასება	5	დამხმარება
	მიუკერძოებლობის კომპონენტები (მოსამართლეთა აზრით)[10]		საპროცესო სამართლიანობა[11]
1	ემოციების გამორიცხვა	1	ღირსება
2	არაობიექტურობის (bias) მოშორება[12]	2	მონაწილეობა
3	ფართო თვალსაწიერის შენარჩუნება[13]	3	ნდობა
	პიროვნული/სუბიექტური მიუკერძოებლობა[14]		სამართლიანობა, როგორც მოსამართლის ქცევა
1	პირადი გრძნობების არ აღიარება მის წინაშე	1	თავაზიანი
	წარმოდგენილი ნებისმიერი მხარის ქმედებების შემდეგ	2	სამართლიანი
2	ემპათიური ენის არგამოყენება სამართალწარმოების დროს	3	ყურადღებიანი
3	მოსაზრებების არ გამოთქმა განმცხადებლის	4	დაინტერესებული
	დანაშაულის შესახებ საქმის მოსმენის ადრეულ ეტაპზე	5	თანმიმდევრული/პროგნოზირებადი
		6	თავაზიანი
		7	მცოდნე
		8	ნათელი
		9	საშიში

[8] „მიუკერძოებლობა ყველაზე მეტად ვლინდება მტკიცებულებების მოპოვებისას, რაც გამოიხატება სასამართლოს შემდეგ ქმედებებში: მტკიცების საგნის განსაზღვრა; მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება; მტკიცებულებების წარდგენა, გამჟღავნება და უზრუნველყოფა; მტკიცების მეთოდებისა და საშუალებების არჩევა; მტკიცებულებების შესწავლა და შეფასება. როდესაც მტკიცებულებათა მოპოვება არ ხდება მიუკერძოებლად, ირღვევა მტკიცებულებების შესაბამისობის, დასაშვებობის, სანდოობისა და საკმარისობის მოთხოვნები, პროცედურული თანასწორობის პრინციპები და მხარეთა შეჯიბრებითობა. ეს იწვევს სასამართლოს უსაფუძვლო გადაწყვეტილებებს, რომელიც აისახება სასამართლო გადაწყვეტილებებში“. Roman I. Blahuta. "Impartiality in Court Proceedings“. Lviv State University of Internal Affairs, Lviv, Ukraine Informatologia, Vol. 55 No. 1-2, 2022.

[9] „საპროცესო მართლმსაჯულების კვლევამ აჩვენა, რომ მაშინ როდესაც მოპასუხეები და მხარეები აღიქვამენ სასამართლო პროცესს როგორც სამართლიანს - პატივისცემის, შესაბამისი ხმის ტონის, გაგების, ნეიტრალური გადაწყვეტილებების მიღებისა და დახმარების მზაობის დემონსტრირება - ალბათობა უფრო მაღალია იმის, რომ ისინი აღასრულებენ სასამართლო გადაწყვეტილებას და დაიცავენ კანონს მომავალში, მიუხედავად იმისა, „მოიგებენ“ თუ „წააგებენ“ თავიანთ საქმეს“. Emily Gold LaGratta, Elise Jensen. Measuring Perceptions of Fairness: An Evaluation Toolkit. Center for Court Innovation (Grant No. BJA 2010-DB-BX-K050 awarded by the Bureau of Justice Assistance - a component of the U.S. Department of Justice’s Office of Justice Programs), October 2015.

[10] Professor S Roach Anleu and Emerita Professor K Mack. (2017) Impartiality and emotion in judicial work. 29(3) JOB 21.

[11] „ხალხის მიერ სასამართლო მოსმენების სამართლიანობის შეფასებაზე გავლენას ახდენს იმით, თუ რამდენად უზრუნველყოფს პროცედურები ადამიანების მონაწილეობის შესაძლებლობებს; იმით, თუ რამდენად აფასებენ ადამიანები ღირსებისა და პატივისცემის ქცევად მათ მიმართ დამოკიდებულებას; და იმით, თუ როგორ აფასებენ ისინი სახელისუფლებო ორგანოებს, როგორც სანდოს. ამ სამი ფაქტორიდან თითოეულს უფრო მეტი გავლენა აქვს საპროცესო მართლმსაჯულების შეფასებებზე, ვიდრე ნეიტრალურობის შეფასებას ან სხდომის შედეგის სარგებლიანობის შეფასებას“. Tom R. Tyler, The Psychological Consequences of Judicial Procedures: Implications for Civil Commitment Hearings, 46 SMU L. Rev. 433 (1993).

[12] „მოსამართლე თავისუფალი უნდა იყო ყოველგვარი წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრებებისა (prejudice) და შეხედულებებისაგან თვისი უფლებამოსილების განხორციელებისას. მან თავი უნდა აარიდოს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც პროცესის მხარეებისა ან საზოგადოების მიერ შეიძლება აღწმული იყოს, როგორც წინასწარი შეფასება/გადაწყვეტილება“. საქართველოს სასამართლო ეთიკის ნორმები, მუხლი 5

[13] „თუ მიუკერძოებლობა ასახავს მოსამართლეთა ფართო თვალსაწიერის ქონას, დამოუკიდებლობა აღწერს მართლმსაჯულების განხორციელებაში გარე ძალების შეჭრისგან ფუნქციონალურ და სტრუქტურულ დაცვას“. „მაშინ როდესაც დამოუკიდებლობა მისი ინსტიტუციონალური გაგებით ძირითადად მიმართულია დაიცვას დამოუკიდებლობის *გარეგნული მხარე* ყოველგვარი ეჭვების გარე გავლენებისგან, ამ დროს წამოიჭრება სტრუქტურული ან ობიექტური მიუკერძოებლობის კონცეფციის საკითხი, რომელიც ჩნდება ლეგიტიმური შიშის გამო, რომ შეიძლება სასამართლოს მიუკერძოებლობა არ არის უზრუნველყოფილი. Rädler, Peter. Independence and Impartiality of Judges. http://hrlibrary.umn.edu/fairtrial/wrft-rae.htm#N_89_ გვ.1., გვ.4.

[14] „თუმცა მოსამართლეთა ქცევა შეიძლება საკმარისი იყოს სუბიექტური ტესტის მიხედვით მიუკერძოებლობის კრიტერიუმის დარღვევის დასადგენად. მაგალითად: პიროვნული გრძნობების აღიარებამ მათ წინაშე მყოფი რომელიმე მხარის ქმედების შემდეგ; სხდომის მიმდინარეობისას ემპათიური ენის გამოყენებამ; და პროცესის ადრეულ ეტაპებზე განმცხადებლის ბრალეულობის შესახებ მოსაზრებების გამოთქმამ შეიძლება გამოიწვიოს მიუკერძოებლობის დარღვევის დადგენა სუბიექტური ტესტით“ AIRE Centre (Advise on Individual Rights Centre) and Civil Rights Defenders. (September 2021) “Independence and Impartiality of the Judiciary - An overview of relevant jurisprudence of the European Court of Human Rights”. გვ.51

დანართი #4: მოსამართლეების კითხვარი

"ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" სამართლის ფაკულტეტის სამუშაო ჯგუფი (ლექტორები და სტუდენტები) ამჟამად მუშაობს USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტზე „მოსამართლეთა საპროცესო ქცევის გავლენა სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიუკერძოებლობის აღქმაზე". პროექტი ხორციელდება „სამართლის უზენაესობის პროგრამის" ფარგლებში და მიზნად ისახავს მართლმსაჯულების განხორციელების გაუმჯობესებას მოსამართლის ქცევის „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებიდან" ერთ-ერთის - მიუკერძოებლობის - კრიტერიუმით შეფასების გზით.

პროექტის პირველ ეტაპის მიზანია დადგინდეს მიუკერძოებლობის კრიტერიუმები/ ინდიკატორები, რომელთა საფუძველზე შეიქმნება მოსამართლეების შესაფასებელი ინსტრუმენტი - კითხვარი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია სამართლებრივი ლიტერატურის (დისერტაცია, კვლევა, ნაშრომები, სტატიები და სხვ.) შესწავლა (secondary research) და ასევე, ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩატარება მოსამართლეებთან (in-depth interviews).

მოსამართლეების პასუხების ადექვატურად ასახვის მიზნით, მოხდება მათთან ინტერვიუების აუდიო-ჩანაწერის გაკეთება, რომელიც ინტერვიუს „ტრანსკრიპტის" მომზადების დასრულებისთანავე განადგურდება. ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მოსამართლეების შესაფასებელი კითხვარის შექმნისთვის, ხოლო საყურადღებო პასუხები გახდება საბოლოო ანგარიშის ერთ-ერთი ნაწილი. საბოლოო ანგარიშში გამოყენებული პასუხები არ იქნება იდენტიფიცირებული მის ავტორთან და წარმოდგენილი იქნება მხოლოდ კოდირებული სახით. მაგალითად, (ინტერვიუ 33, ქალი მოსამართლე, ხაზგასმა ეკუთვნის კვლევის ანალიტიკოსს)[15].

წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისთვის.

<u>კითხვები:</u>

1) რას გულისხმობს/ რაში გამოიხატება <u>მიუკერძოებლობა</u>? შეგიძლიათ მარტივი/ ყოფითი სიტყვებით ამიხსნათ ამ სიტყვის შინაარსი/ მნიშვნელობა?
2) რას გულისხმობს/ რაში გამოიხატება <u>ნეიტრალურობა</u>? შეგიძლიათ მარტივი/ ყოფითი სიტყვებით ამიხსნათ ამ სიტყვის შინაარსი/ მნიშვნელობა?
3) რას გულისხმობს/ რაში გამოიხატება <u>ობიექტურობა?</u> შეგიძლიათ მარტივი/ ყოფითი სიტყვებით ამიხსნათ ამ სიტყვის შინაარსი/ მნიშვნელობა?
4) რას გულისხმობს/ რაში გამოიხატება <u>სამართლებრივი დამოუკიდებლობა?</u> შეგიძლიათ მარტივი/ ყოფითი სიტყვებით ამიხსნათ ამ სიტყვის შინაარსი/ მნიშვნელობა?
5) თქვენი აზრით, რა <u>კომპონენტებისგან</u> შედგება მიუკერძოებლობა? რატომ ფიქრობთ ასე?
6) შეგიძლიათ მოიყვანოთ ქცევის სამი <u>მაგალითი</u>, რომელიც მიუთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე?
7) შეგიძლიათ მოიყვანოთ ქცევის სამი <u>მაგალითი</u>, რომელიც მიუთითებს მოსამართლის არაობიექტურობაზე(bias)?
8) განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან <u>მიუკერძოებლობა პროცესის მიმდინარეობისას</u> და <u>მიუკერძოებლობა გადაწყვეტილების მიღებისას</u>? თუ კი, რითი?
9) როგორ ახერხებთ/ რა მეთოდებს იყენებთ იმისთვის, რომ თქვენი სამოსამართლო ვალდებულებები განახორციელოთ მიუკერძოებლად <u>სასამართლო პროცესის დროს</u>?
10) როგორ ახერხებთ/ რა მეთოდებს იყენებთ იმისთვის, რომ თქვენი სამოსამართლო ვალდებულებები განახორციელოთ მიუკერძოებლად <u>გადაწყვეტილების მიღების დროს</u>?

[15] იხ. ნიმუში Roach Anleu and Kathy Mack (2017) 'Impartiality and emotion in judicial work' 29(3) Judicial Officers' Bulletin 21-24., www.judcom.nsw.gov.au/publications/benchbks/judicial_officers/impartiality_and_emotion_in_judicial_work.html#ftn.fcd82rl

დანართი #5: ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები

1) <u>მიუკერძოებლობის განმარტება</u>
   - „მიუკერძოებლობა ეს არის საქმის სამართლიანი განხილვის შემადგენელი ერთერთი მნიშვნელოვანი ასპექტი... პრინციპი, საიდანაც საფუძველს იღებს მოსამართლის აცილების საფუძვლები, როდის უნდა განიხილოს თვითაცილება და როდის იმსჯელოს აცილების საკითხთან დაკავშირებით.. ეს მიუკერძოებლობის პრინციპი... მოიაზრებს იმასაც რომ არამხოლოდ მიუკერძოებლად განახორციელო მართლმსაჯულება, უნდა ჩანდეს კიდეც საზოგადოებაში“. **[მამაკაცი მოსამართლე, პირველი ინსტანციის სასამართლო, სისხლის სამართალი]**
   - „მიუკერძოებლობა ძირითადად არის მოსამართლის დამოკიდებულება კონკრეტული საქმის მიმართ, მხარის მიმართ და ა.შ. ანუ მისი განცდა, ემოცია, მიმართება მხარესთან, განსახილველ საქმესთან, საქმის საგანთან... არსებობს მიუკერძოებლობის სუბიექტური და ობიექტური ტესტი. სუბიექტურ ტესტს ვერავინ ვერ შეამოწმებს..... არ არსებობს მოსამართლე, რომელიც არ არის მიკერძოებული(biased), იმიტომ, რომ თვითონ მოსამართლე, ადამიანი არის, აქვს ადამიანური ემოციები, მას აქვს საკუთარი მიმართება კონკრეტულ მხარესთან, განსახილველ საკითხთან.... მთელი ხიბლი და სიძლიერე სამოსამართლეო ძალას რასაც ეძახიან, მდგომარეობს იმაში, რომ მოსამართლემ უნდა შეძლოს იმ მიკერძოებულობისგან(bias) გათავისუფლება“ **[ქალი მოსამართლე, სააპელაციო სასამართლო, სამოქალაქო სამართალი]**
   - „მიუკერძოებლობა.... შეგვიძია განვმარტოთ... [როგორც სიტუაცია ი.მ.] როდესაც, მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ყოველგვარი გარე ფაქტორების თუ შიდა ფაქტორების, იძულების თუ ზეგავლენის და ა.შ გარეშე“ **[ქალი მოსამართლე, პირველი ინსტანციის სასამართლო, სამოქალაქო სამართალი]**

2) <u>ნეიტრალობისა და ობიექტურობის განმარტება</u>
   - „მიუკერძოებლობასთან ძალიან ახლოს არის ნეიტრალურობა, ანუ რეალურად, ჩემთვის მიუკერძოებლობამ უნდა მიგიყვანოს საქმისადმი ნეიტრალურ დამოკიდებულებამდე“. **[ქალი მოსამართლე, სააპელაციო სასამართლო, სამოქალაქო სამართალი]**
   - „[ობიექტურობა ი.მ.] გულისხმობს იმას, რომ მან [მოსამართლემ ი.მ.] უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ობიექტური შედარების საფუძველზე, რაც აქვს საქმეში წარმოდგენილი... ობიექტურობაზე ცხადია როცა გვაქვს საუბარი, ბუნებრივია, რომ უნდა იყოს ცალსახად განცდა იმისა რომ მოსამართლე მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს ემორჩილება და მართლმსაჯულებას სწორედ ამაზე დაყრდნობით ახორციელებს“. **[ქალი მოსამართლე, პირველი ინსტანციის სასამართლო, სამოქალაქო სამართალი]**
   - „ნეიტრალურობა და ობიექტურობა არის მიუკერძოებლობის შედეგი, ანუ შენ როდესაც ხარ მიუკერძოებელი, ამით იღწვი იმისკენ, რომ მიხვიდე საქმის ნეიტრალურ გადაწყვეტამდე და მხარეების თვალში ჩანდე როგორც ნეიტრალური არბიტრი. მიუკერძოებლობა და ნეიტრალურობა ძალიან ხშირად არის სინონიმები ბევრ ლიტერატურაში. უბრალოდ, მიუკერძოებლობა უფრო არის სუბიექტური კატეგორია, ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება საკითხისადმი და ნეიტრალიტეტი, როგორ ვჩანვარ მე მხარეების თვალში“ **[ქალი მოსამართლე, სააპელაციო სასამართლო, სამოქალაქო სამართალი]**
   - „მე ვფიქრობ ეს ორი კომპონენტი [ნეიტრალურობა და ობიექტურობა ი.მ.]... გულისხმობს იმას, რომ მიუხედავად იმისა ვინ არის ერთ მხარეს წარმოდგენილი და მეორე მხარეს და ვინ არის ბრალდებული, რომელი მუხლით გათვალისწინებული ქმედება ედება ბრალად, თუ ვინ არის დაზარალებული, მიუხედავად სახელების და გვარებისა, მოსამართლემ ნეიტრალურად მიუკერძოებლად უნდა გადაწყვიტოს თითოეული საქმე, კანონის შესაბამისად და მხოლოდ და მხოლოდ კანონის საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები, ყოველგვარი უპირატესობის გარეშე“. **[მამაკაცი მოსამართლე, პირველი ინსტანციის სასამართლო, სისხლის სამართალი]**

3) <u>დამოუკიდებლობის განმარტება</u>
   - „დამოუკიდებლობა, ეს არის როცა მართლმსაჯულების პროცესი წარიმართება და გადაწყვეტილება მიიღება ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე. ეს რას ნიშნავს, რომ მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კანონს და კონსტიტუციას, მეტს არავის დედამიწის ზურგზე“. **[ქალი მოსამართლე, სააპელაციო სასამართლო, სამოქალაქო სამართალი]**

4) <u>მიუკერძოებლობის კომპონენტები</u>
   - „მე ვფიქრობ ეს ორი კომპონენტი [ნეიტრალურობა და ობიექტურობა ი.მ.] მიუკერძოებლობის შემადგენელი ნაწილები არის“ **[მამაკაცი მოსამართლე, პირველი ინსტანციის სასამართლო, სისხლის სამართალი]**

5) <u>მეთოდები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული მიუკერძოებლობის შთაბეჭდილების შესაქმნელად</u>
   - საკითხი ჰქონდეს სიღრმისეულად შესწავლილი
   - მხარეების შუამდგომლობები განიხილოს არა ფორმალურად, არამედ დეტალურად/ სიღრმისეულად
   - წარმოადგინოს მიზეზი/ახსნა-განმარტება/არგუმენტი მხარეების შუამდგომლობების დაკმაყოფილების ან/და უარის თქმის დროს
   - მხარეს მოუსმინოს კარგად
   - მისცეს მხარეს თანაბარი დრო პოზიციის წარმოსაჩენად, მოწმეების დასაკითხად, მტკიცებულებების წარმოსადგენად
   - მოექცეს ორივე მხარეს ერთნაირად ლოიალურად ან მკაცრად
   - განუმარტოს მხარეებს გაუგებარი საკითხები მარტივი (არაიურისტისთვის გასაგები) ენით
   - მიაწოდოს განმარტებები ორივე მხარეს თანაბრად და ერთნაირად (სადაც/როდესაც საჭიროა)
   - დაუსვას კითხვები ორივე მხარეს
   - თავიდან აიცილოს ემოციების გამოხატვა/ იმოქმედოს იმგვარად, რომ მხარე ვერ ხვდებოდეს რას ფიქრობს მოსამართლე და რა გადაწყვეტილებას მიიღებს ის
   - დაიცვას პროცედურული წესები (იცავს შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპს, საქმესთან ინტერესის/კავშირის არქონა, იყენებს აცილებად თუ/როდესაც საჭიროა)
   - ექცევა დარბაზში მყოფ/დამსწრე პირებს მხარეების მსგავსად
   - ჩაეკითხოს მხარეებს ხომ არ აქვთ დამატებითი მტკიცებულების/არგუმენტის წარდგენის განზრახვა/სურვილი
   - ჩაეკითხოს მხარეებს ხომ არ სჭირდებათ მტკიცებულების/არგუმენტის წარდგენისთვის დამატებითი დრო
   - შესთავაზოს მხარეს ადვოკატის მომსახურების გამოყენება
   - აუხსნას მხარეების მათი უფლებები და საპროცესო წესები (მაგ., ვალდებულების დადასტურება შეუძლებელია მოწმის დახმარებით, დაკავებულის უფლებები და სხვ.)
   - დაეხმაროს თითოეულ მხარეს მტკიცებულების მოპოვებაში თუ/როდესაც საჭიროა/შესაძლებელია
   - შესთავაზოს მხარეებს მორიგება ორივე მხარისთვის არასასურველი შედეგის დადგომის შესაძლებლობის გამო
   - გამოხატოს ემოცია/თანაგრძნობა ზომიერად
   - ღიად მიაწოდოს ინფორმაცია მხარეებს დავის მონაწილეებთან არსებულ კავშირზე (მაგ., უთხრას მხარეებს რომ იცნობს ადვოკატს).

6) <u>მეთოდები, რომლებსაც შეიძლება იყოს გამოყენებული პროცესის და გადაწყვეტილების მიღების დროს მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად</u>
   - რაც შეიძლება მეტი გამოცდილების დაგროვება
   - რაც შეიძლება მეტი ცნობადობის ქონა/ ცოდნის დაგროვება სწავლის/ ტრენინგებზე დასწრების გზით
   - (1) ემოციის/ განწყობის/ მიკერძოებულობის(bias) იდენტიფიცირება და გადააზრება, (2) პრობლემის და მისი შესაძლო შედეგების (მაგ. შეცდომის დაშვება) გვერდიდან დანახვა / შეფასება, (3) პროცესის/ სხდომის ჩანიშვნისგან თავის შეკავება ან/და სხდომაზე ჩასვლაზე დაყოვნება იქამდე, სანამ არ იგრძნობს, რომ რაციონალურია
   - ზოგადად ჰქონდეს ნეიტრალური დამოკიდებულება ნებისმიერი საკითხის მიმართ სხვადასხვა კრიტერიუმებით
   - მტკიცებულებების გადახედვა რამდენჯერმე/ შესვენების შემდეგ მტკიცებულებების ხელმეორედ გადახედვა
   - შესვენების გამოცხადება ემოციების მოზღვავების დროს
   - არ უნდა შეიქმნას საბოლოო შეხედულება/აზრი/შთაბეჭდილება/პოზიცია წინასწარ ანუ საქმის დასრულებამდე
   - თავისუფალი უნდა იყოს/ მედეგი უნდა იყოს გარე ფაქტორების ზეგავლენისგან (საზოგადოებრივი აზრი და განკითხვა, სახელმწიფო შტო, საკანონმდებლო შტო და სხვ.)
   - იყოს თავისუფალი მხარეების მიმართ მიკერძოებისგან(bias)
   - არ იყოს სენსიტიური დავის საგნის მიმართ
   - გადაწყვეტილების დასაბუთების/ არგუმენტების უზრუნველყოფა (მაგ., წერილობითი გადაწყვეტილების დროს; მედიის მიერ საქმეებზე, სადაც საზოგადოებრივი ინტერესი დიდია და ა.შ.)
   - საზოგადოების ცნობიერების გაზრდა მოსამართლის შეზღუდვების შესახებ
   - ინფორმაციის გავრცელებისას მას მედიის როლის დაბალანსირება

7) <u>სხვადასხვა</u>
   - "სხვათაშორის [მოსამართლეებს ი.მ.] არასოდეს გვქონია ტრენინგი მიუკერძოებლობაზე და უკიდურესად საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა ასეთი ტრენინგის ჩატარება" **[ქალი მოსამართლე, პირველი ინსტანციის სასამართლო, სისხლის სამართალი]**

დანართი #6: დამკვირვებლებისა და მხარეების (მოსმენის) კითხვარი

Q: ზოგადი ინფორმაცია

Q1. დამკვირვებლის სახელი და გვარი:	
Q2. დაკვირვების თარიღი:	
Q3. საქმის ტიპი:	1. სამოქალაქო, 2. ადმინისტრაციული, 3. სისხლი
Q4. დავის საგანი:	
Q5. მოსამართლის სახელი და გვარი:	
Q6. მოსარჩელის ადვოკატი:	1. ადვოკატი ყავს, 2. არ ყავს ადვოკატი
Q7. მოპასუხის ადვოკატი:	1. ადვოკატი ყავს, 2. არ ყავს ადვოკატი

BB: მოსამართლის დამოკიდებულება მხარეების მიმართ (დამკვირვებლის ვერსია)

BB1. მიმდინარე სხდომის დროს, იყო თუ არა მოსამართლე მიუკერძოებელი?

BB2. რატომ თვლით, რომ მიმდინარე სხდომის დროს მოსამართლე იყო მიუკერძოებელი ან არ იყო მიუკერძოებელი? **[წაუკითხეთ წინა კითხვაში მიღებული პასუხი]**

	BB1.	BB2.
მოსამართლე იყო მიუკერძოებელი	1	
მოსამართლე არ იყო მიუკერძოებელი	2	
(არ ვიცი)	99	
(უარი პასუხზე)	98	

BB3. მიმდინარე სხდომის დროს, იყო თუ არა მოსამართლის დამოკიდებულება/ ქცევა <u>მხარე(ებ)ისა და მათი ადვოკატ(ებ)ის</u> მიმართ იდენტური/ ერთნაირი/ თანასწორი?

BB4. რატომ ფიქრობთ, რომ მოსამართლის დამოკიდებულება/ ქცევა <u>მხარე(ებ)ისა და მათი ადვოკატ(ებ)ის</u> მიმართ არ იყო იდენტური/ ერთნაირი/ თანასწორი?

	BB3.		BB4.
მოსამართლე უკეთ ექცეოდა <u>მოსარჩელეს</u>, ვიდრე მის ადვოკატს	1	**[გააგრძელეთ]**	
მოსამართლე უკეთ ექცეოდა <u>მოსარჩელის ადვოკატს</u>, ვიდრე მოსარჩელეს	2	**[გააგრძელეთ]**	
მოსამართლე უკეთ ექცეოდა <u>მოპასუხეს</u>, ვიდრე მის ადვოკატს	3	**[გააგრძელეთ]**	
მოსამართლე უკეთ ექცეოდა <u>მოპასუხის ადვოკატს</u>, ვიდრე მოპასუხეს	4	**[გააგრძელეთ]**	
მოსამართლე ერთნაირად ექცეოდა <u>მოსარჩელესა და მის ადვოკატს</u>	5	**[გადადით კითხვაზე BB5]**	
მოსამართლე ერთნაირად ექცეოდა <u>მოპასუხესა და მის ადვოკატს</u>	6		
მხარეებს არ ჰყავთ წარმომადგენლები	7		
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99		
(უარი პასუხზე)	98		

BB5. მიმდინარე სხდომის დროს, იყო თუ არა მოსამართლის დამოკიდებულება/ ქცევა <u>ორივე მხარის</u> მიმართ იდენტური/ ერთნაირი/ თანასწორი?

BB6. რატომ ფიქრობთ, რომ მოსამართლის დამოკიდებულება/ ქცევა <u>ორივე მხარის</u> მიმართ არ იყო იდენტური/ ერთნაირი/ თანასწორი?

	BB5.		BB6.
მოსამართლე უკეთ ექცეოდა მოსარჩელეს	1	**[გააგრძელეთ]**	
მოსამართლე უკეთ ექცეოდა მოპასუხეს	2	**[გააგრძელეთ]**	
მოსამართლე ერთნაირად ექცეოდა ორივე მხარეს	3	**[გადადით კითხვაზე BB7]**	
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99		
(უარი პასუხზე)	98		

BB7. დააყენა თუ არა რომელიმე მხარემ მოსამართლესთან რაიმე შუამდგომლობა?

მოპასუხემ დააყენა შუამდგომლობა, მოსარჩელემ - არა	1	**[გააგრძელეთ]**
მოსარჩელემ დააყენა შუამდგომლობა, მოპასუხემ - არა	2	**[გააგრძელეთ]**
ორივე მხარემ დააყენა შუამდგომლობა	3	**[გააგრძელეთ]**
არც ერთ მხარეს არ დაუყენებიათ შუამდგომლობები	4	**[გადადით კითხვაზე BB13]**
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99	**[გადადით კითხვაზე BB13]**
(უარი პასუხზე)	98	**[გადადით კითხვაზე BB13]**

BB8. რამდენი შუამდგომლობა/ები დააყენა მხარეებმა?
BB9. რა შუამდგომლობა/ები დააყენეს მხარეებმა?
BB10. დაუკმაყოფილა თუ არა მოსამართლემ მხარეებს შუამდგომლობები?

BB8.		BB9.	BB10.
მოპასუხე			
მოსარჩელე			
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99	99	99
(უარი პასუხზე)	98	98	98

BB11. იყო თუ არა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შუამდგომლობასთან დაკავშირებით თანაზომიერი/ სამართლიანი ორივე მხარის მიმართ?
BB12. რატომ ფიქრობთ, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება შუამდგომლობასთან დაკავშირებით იყო თანაზომიერი/ სამართლიანი ან არ იყო თანაზომიერი/ სამართლიანი ორივე მხარის მიმართ?

BB11.			BB12.
გადაწყვეტილება იყო თანაზომიერი	1	**[გააგრძელეთ]**	
გადაწყვეტილება არ იყო თანაზომიერი	2	**[გააგრძელეთ]**	
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99	**[გადადით კითხვაზე BB13]**	
(უარი პასუხზე)	98		

BB13. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს, რომელთა შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი კოდები: 0 – „ამ ქცევას ადგილი არ ჰქონია“; 1 – „გადახრილი იყო უფრო მოსარჩელისკენ“; 2 – „ერთნაირად/თანაბრად ექცეოდა ორივე მხარეს“; 3 – „გადახრილი იყო უფრო მოპასუხისკენ“.
BB14. **[ეს კითხვა დაუსვით მხოლოდ მაშინ, თუ წინა კითხვაში დასახელდა პასუხებია 1 ან/და 3]** შეგიძლიათ მითხრათ/ მოიყვანოთ მაგალითი, რაში გამოიხატებოდა მოსამართლის _____? **[წაუკითხეთ პასუხები წინა კითხვიდან, სადაც დასახელდა 1 ან/და 3]**

		BB13.				BB14.
	მოსამართლე....	არ მომხდარა	მოსარჩელე	N	მოპასუხე	
1	იქცეოდა თავაზიანად/ პატივისცემით[16]	0	1	2	3	
2	ისმენდა ყურადღებით/ინტერესით[17]	0	1	2	3	
3	საუბრობდა მარტივად/გასაგებად[18]	0	1	2	3	
4	გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებებს[19]	0	1	2	3	
5	გამოხატავდა ემოციებს/ შეგრძნებებს[20]	0	1	2	3	
6	გამოხატავდა ემპათიას/ გულისხმიერებას[21]	0	1	2	3	
7	იყო თანმიმდევრული/განჭვრეტადი[22]	0	1	2	3	
8	იყო კეთილგანწყობილი/დახმარების მზაობით[23]	0	1	2	3	
9	საუბრობდა მშვიდად/სერიოზულად[24]	0	1	2	3	
10	აკეთებდა შენიშვნებს/ მითითებებს[25]	0	1	2	3	

[წაუკითხეთ ან მოკლედ მოუყევით: “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის” სამართლის სკოლა ამჟამად მუშაობს USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტზე „მოსამართლეთა საპროცესო ქცევის გავლენა სასამართლო პროცესის მონაწილეთა მიუკერძოებლობის აღქმაზე“. პროექტის მიზანია მოსამართლის

[16] მიმართავდა მხარეებს შემდეგნაირად: „ბ-ნო/ ქ-ნო_____“; საუბრისას იყენებდა ისეთ სიტყვებს როგორიცაა „თქვენ“, „თუ შეგიძლიათ/ შეძლებთ“ და ა.შ.; მისი ხმის ტონალობა არ იყო სარკასტული, დამცინავი და ა.შ.
[17] აცლიდა საუბარს/ არ აწყვეტინებდა საუბარს, თავს უქნევდა მოსაუბრეს, უსვამდა დამაზუსტებელ კითხვებს, აკეთებდა ჩანაწერებს
[18] მხარეებს ესაუბრებოდა არაიურისტისთვის გასაგები ენით/ სამართლებრივი ტერმინების გამოყენების გარეშე.
[19] აკეთებდა ზოგადად საქმის შეფასებას; გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას კონკრეტული მხარის პოზიციის მიმართ; გამოთქვამდე მოსაზრებებს მხარის სტატუსის (ქალი, სექსუალური უმცირესობა, ეროვნება, რელიგია, და სხვ.) მიმართ....
[20] ემოციებს გამოხატავდა ვერბალურად (მაგ., „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს....“, „ვარ შეშფოთებული/ აღშფოთებული, რომ....“ და ა.შ.) და არავერბალურად (გაბრაზებული მზერა, მკაცრი ტონალობა, ხმის აწევა, სხვ.)
[21] თანაგრძნობას გამოხატავდა ვერბალურად (მაგ., „კარგად მესმის თქვენი...“; „წარმომიდგენია რას გრძნობთ..“...) და არავერბალურად (თავის დაქნევა..)
[22] იძლეოდა მსგავს შენიშვნებს ერთი და იმავე სახის დარღვევაზე (მაგ., მეორე მხარის საუბარში ჩარევა, ხმაური, სხვ.).
[23] პასუხობდა მხარეების კითხვებს, განუმარტავდა/ უხსნიდა მხარეებს ტერმინებს/ წესებს/ პროცესებს და სხვა დეტალებს
[24] საუბრობდა დაბალი ხმით; არ ჰქონდა აგრესიული/ გაღიზიანებული ხმის ტონალობა.
[25] მხარეებს მოუწოდებდა წესრიგისკენ, ერთმანეთის პატივისცემისკენ, კანონის დაცვისკენ და სხვ.

მიუკერძოებლობის შეფასება. კვლევის მონაწილეთა ვინაობა კონფიდენციალურია. წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისთვის!]

Q: ზოგადი ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ

Q8. სახელი და გვარი:	
Q9. ტელეფონის ნომერი:	
Q10. ელ-ფოსტა:	
Q11. ტიპი:	1. მოსარჩელე/ დაზარალებული, 2. მოპასუხე/ ბრალდებული
Q12. სქესი:	1. მამრობითი, 2. მდედრობითი
Q13. ასაკი:	
Q14. დავების რ-ბა, რომლებშიც მიუღია მონაწილეობა:	☐ რაოდენობა: _____ ☐ ეს არის პირველი დავა
Q15. სხდომების რ-ბა, რომლებსაც დასწრებია:	☐ რაოდენობა: _____ ეს არის პირველი დავა
Q16. დავის ხანგრძლივობა:	_____თვე
Q17. მიმდინარე სხდომის რიგი:	1. პირველი, 2. მეორე, 3. მესამე, 4. მეოთხე+

[განუმარტეთ რესპონდენტს, რომ ქვემოთ მოცემული კითხვები ეხება მხოლოდ ამ კონკრეტულ სხდომას/ პროცესს და არა წინა პროცესებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას/ მოსაზრებას].

A: ზოგადი დამოკიდებულებები (რესპონდენტი)

A1. რას ნიშნავს თქვენთვის მოსამართლის <u>მიუკერძოებლობა</u>? როგორ უნდა იქცეოდეს მიუკერძოებელი მოსამართლე?

A2. რას ნიშნავს თქვენთვის მოსამართლის <u>სამართლიანობა</u>? როგორ უნდა იქცეოდეს სამართლიანი მოსამართლე?

A3. რას ნიშნავს თქვენთვის მოსამართლის <u>დამოუკიდებლობა</u>? როგორ უნდა იქცეოდეს დამოუკიდებელი მოსამართლე?

A1.	
A2.	
A3.	

A4. ენდობით თუ არა თქვენ საქმეზე დანიშნულ მოსამართლეს?

A5. რატომ ენდობით ან არ ენდობით **[წაუკითხეთ წინა კითხვაში A4 მიღებული პასუხი]** თქვენ საქმეზე დანიშნულ მოსამართლეს?

	A4.	A5.
ვენდობი	1	
არ ვენდობი	2	
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99	
(უარი პასუხზე)	98	

A6. იცნობთ თუ არა მოსამართლის საპროცესო მოვალეობებს?

კი	1	**[გააგრძელეთ]**
არა	2	**[გადადით სექციაზე B]**

A7. გთხოვთ ჩამომითვალოთ მოსამართლის, რომელ საპროცესო მოვალეობებს იცნობთ **[არ წაუკითხოთ]**.

საქმე საფუძვლიანად/ კარგად აქვს შესწავლილი	1
აძლევს მხარეებს დროს არგუმენტაციებისთვის/ პოზიციის წარმოსაჩენად/ სიტყვის სათქმელად	2
აკეთებს ახსნა-განმარტებებს და პასუხობს კითხვებს	3
იქცევა ისე, რომ რთულია საქმის/ დავის შედეგის ანუ გადაწყვეტილების შინაარსის განჭვრეტა (არ ჩანს ემოციები/ მოსაზრებები)	4
აფრთხილებს მხარეებს მტკიცებულებათა ნაკლებობის შესაძლო არასასურველ შედეგზე და სთავაზობს მორიგებას	5
სთავაზობს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენას	6
ეკითხება მხარეებს ხომ არ სურთ მოსამართლის აცილება	7
იკვლევს მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს (მხარეების შუამდგომლობების საფუძველზე)	8
სხვა [ჩაწერეთ] _____	

B: მოსამართლის დამოკიდებულება მხარეების მიმართ (რესპონდენტის ვერსია)

B1. მიმდინარე სხდომის დროს, იყო თუ არა მოსამართლე მიუკერძოებელი?

B2. რატომ თვლით, რომ მიმდინარე სხდომის დროს მოსამართლე იყო მიუკერძოებელი ან არ იყო მიუკერძოებელი? **[წაუკითხეთ წინა კითხვაში მიღებული პასუხი]**

	B1.	B2.
მოსამართლე იყო მიუკერძოებელი	1	
მოსამართლე არ იყო მიუკერძოებელი	2	
(არ ვიცი)	99	
(უარი პასუხზე)	98	

B3. მიმდინარე სხდომის დროს, იყო თუ არა მოსამართლის დამოკიდებულება/ ქცევა <u>მხარე(ებ)ისა და მათი ადვოკატ(ებ)ის</u> მიმართ იდენტური/ ერთნაირი/ თანასწორი?

B4. რატომ ფიქრობთ, რომ მოსამართლის დამოკიდებულება/ ქცევა <u>მხარე(ებ)ისა და მათი ადვოკატ(ებ)ის</u> მიმართ არ იყო იდენტური/ ერთნაირი/ თანასწორი?

მოსამართლე....	B3.		B4.
უკეთ ექცეოდა <u>მოსარჩელეს</u>, ვიდრე მის ადვოკატს	1	**[გააგრძელეთ]**	
უკეთ ექცეოდა <u>მოსარჩელის ადვოკატს</u>, ვიდრე მოსარჩელეს	2	**[გააგრძელეთ]**	
უკეთ ექცეოდა <u>მოპასუხეს</u>, ვიდრე მის ადვოკატს	3	**[გააგრძელეთ]**	
უკეთ ექცეოდა <u>მოპასუხის ადვოკატს</u>, ვიდრე მოპასუხეს	4	**[გააგრძელეთ]**	
ერთნაირად ექცეოდა <u>მოსარჩელესა და მის ადვოკატს</u>	5	**[გადადით კითხვაზე B5]**	
ერთნაირად ექცეოდა <u>მოპასუხესა და მის ადვოკატს</u>	6		
მხარეებს არ ჰყავთ წარმომადგენლები	7		
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99		
(უარი პასუხზე)	98		

B5. მიმდინარე სხდომის დროს, იყო თუ არა მოსამართლის დამოკიდებულება/ ქცევა <u>ორივე მხარის</u> მიმართ იდენტური/ ერთნაირი/ თანასწორი?

B6. რატომ ფიქრობთ, რომ მოსამართლის დამოკიდებულება/ ქცევა <u>ორივე მხარის</u> მიმართ არ იყო იდენტური/ ერთნაირი/ თანასწორი?

	B5.		B6.
მოსამართლე უკეთ ექცეოდა მოსარჩელეს	1	**[გააგრძელეთ]**	
მოსამართლე უკეთ ექცეოდა მოპასუხეს	2	**[გააგრძელეთ]**	
მოსამართლე ერთნაირად ექცეოდა ორივე მხარეს	3	**[გადადით კითხვაზე B7]**	
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99		
(უარი პასუხზე)	98		

B7. დააყენა თუ არა რომელიმე მხარემ მოსამართლესთან რაიმე შუამდგომლობა?

მოპასუხემ დააყენა შუამდგომლობა, მოსარჩელემ - არა	1	**[გააგრძელეთ]**
მოსარჩელემ დააყენა შუამდგომლობა, მოპასუხემ - არა	2	**[გააგრძელეთ]**
ორივე მხარემ დააყენა შუამდგომლობა	3	**[გააგრძელეთ]**
არც ერთ მხარეს არ დაუყენებიათ შუამდგომლობები	4	**[გადადით კითხვაზე B13]**
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99	**[გადადით კითხვაზე B13]**
(უარი პასუხზე)	98	**[გადადით კითხვაზე B13]**

B8. რამდენი შუამდგომლობა/ები დააყენა მხარეებმა?
B9. რა შუამდგომლობა/ები დააყენეს მხარეებმა?
B10. დაუკმაყოფილა თუ არა მოსამართლემ მხარეებს შუამდგომლობები?

B8.		B9.	B10.
მოპასუხე			
მოსარჩელე			
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99	99	99
(უარი პასუხზე)	98	98	98

B11. იყო თუ არა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შუამდგომლობასთან დაკავშირებით თანაზომიერი/ სამართლიანი ორივე მხარის მიმართ?
B12. რატომ ფიქრობთ, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება შუამდგომლობასთან დაკავშირებით იყო თანაზომიერი/ სამართლიანი ან არ იყო თანაზომიერი/ სამართლიანი ორივე მხარის მიმართ?

B11.			B12.
გადაწყვეტილება იყო თანაზომიერი	1	**[გააგრძელეთ]**	
გადაწყვეტილება არ იყო თანაზომიერი	2	**[გააგრძელეთ]**	
(არ ვიცი/ არ მახსოვს)	99	**[გადადით კითხვაზე B13]**	
(უარი პასუხზე)	98		

B13. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს, რომელთა შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი კოდები: 0 – „ამ ქცევას ადგილი არ ჰქონია“; 1 – „გადახრილი იყო უფრო მოსარჩელისკენ“; 2 – „ერთნაირად/თანაბრად ექცეოდა ორივე მხარეს“; 3 – „გადახრილი იყო უფრო მოპასუხისკენ“.
B14. **[ეს კითხვა დაუსვით მხოლოდ მაშინ, თუ წინა კითხვაში დასახელდა პასუხები 1 ან/და 3]** შეგიძლიათ მითხრათ/ მოიყვანოთ მაგალითი, რაში გამოიხატებოდა მოსამართლის _____? **[წაუკითხეთ პასუხები წინა კითხვიდან, სადაც დასახელდა 1 ან/და 3]**

		B13.				B14.
	მოსამართლე....	არ მომხდარა	მოსარჩელე	N	მოპასუხე	
1	იქცეოდა თავაზიანად/ პატივისცემით[26]	0	1	2	3	
2	ისმენდა ყურადღებით/ინტერესით[27]	0	1	2	3	
3	საუბრობდა მარტივად/გასაგებად[28]	0	1	2	3	
4	გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებებს[29]	0	1	2	3	
5	გამოხატავდა ემოციებს/ შეგრძნებებს[30]	0	1	2	3	
6	გამოხატავდა ემპათიას/ გულისხმიერებას[31]	0	1	2	3	
7	იყო თანმიმდევრული/განჭვრეტადი[32]	0	1	2	3	
8	იყო კეთილგანწყობილი/დახმარების მზაობით[33]	0	1	2	3	
9	საუბრობდა მშვიდად/სერიოზულად[34]	0	1	2	3	
10	აკეთებდა შენიშვნებს/ მითითებებს[35]	0	1	2	3	

[26] მიმართავდა მხარეებს შემდეგნაირად: „ბ-ნო/ ქ-ნო_____“; საუბრისას იყენებდა ისეთ სიტყვებს როგორიცაა „თქვენ“, „თუ შეგიძლიათ/ შეძლებთ“ და ა.შ.; მისი ხმის ტონალობა არ იყო სარკასტული, დამცინავი და ა.შ.
[27] აცლიდა საუბარს/ არ აწყვეტინებდა საუბარს, თავს უქნევდა მოსაუბრეს, უსვამდა დამაზუსტებელ კითხვებს, აკეთებდა ჩანაწერებს
[28] მხარეებს ესაუბრებოდა არაიურისტისთვის გასაგები ენით/ სამართლებრივი ტერმინების გამოყენების გარეშე.
[29] აკეთებდა ზოგადად საქმის შეფასებას; გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას კონკრეტული მხარის პოზიციის მიმართ; გამოთქვამდე მოსაზრებებს მხარის სტატუსის (ქალი, სექსუალური უმცირესობა, ეროვნება, რელიგია, და სხვ.) მიმართ....
[30] ემოციებს გამოხატავდა ვერბალურად (მაგ., „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს....“, „ვარ შეშფოთებული/ აღშფოთებული, რომ....“ და ა.შ.) და არავერბალურად (გაბრაზებული მზერა, მკაცრი ტონალობა, ხმის აწევა, სხვ.)
[31] თანაგრძნობას გამოხატავდა ვერბალურად (მაგ., „კარგად მესმის თქვენი...“; „წარმომიდგენია რას გრძნობთ..“...) და არავერბალურად (თავის დაქნევა..)
[32] იძლეოდა მსგავს შენიშვნებს ერთი და იმავე სახის დარღვევაზე (მაგ., მეორე მხარის საუბარში ჩარევა, ხმაური, სხვ.).
[33] პასუხობდა მხარეების კითხვებს, განუმარტავდა/ უხსნიდა მხარეებს ტერმინებს/ წესებს/ პროცესებს და სხვა დეტალებს
[34] საუბრობდა დაბალი ხმით; არ ჰქონდა აგრესიული/ გაღიზიანებული ხმის ტონალობა.
[35] მხარეებს მოუწოდებდა წესრიგისკენ, ერთმანეთის პატივისცემისკენ, კანონის დაცვისკენ და სხვ.

C: გადაწყვეტილების მიღების შემდგომი კითხვარი

რესპონდენტის სახელი და გვარი: _____
ინტერვიუერის სახელი და გვარი: _____
ინტერვიუერის მეწყვილის სახელი და გვარი: _____
ინტერვიუს თარიღი: _____

C1. რა შედეგით დასრულდა სასამართლო დავა?

მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნა დაუკმაყოფილდა სრულად	1
მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნა დაუკმაყოფილდა ნაწილობრივ	2
მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი	3
დავა მორიგებით დასრულდა	4

C2. გთხოვთ შეაფასოთ სასამართლო გადაწყვეტილებით თქვენი კმაყოფილების ხარისხი 5-ბალიან სკალაზე?

აბსოლუტურად უკმაყოფილო ვარ სასამართლოს გადაწყვეტილებით	1
უკმაყოფილო ვარ სასამართლოს გადაწყვეტილებით	2
არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილო ვარ სასამართლოს გადაწყვეტილებით	3
კმაყოფილი ვარ სასამართლოს გადაწყვეტილებით	4
აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ სასამართლოს გადაწყვეტილებით	5

C3. გთხოვთ ამიხსნათ, რატომ ხართ კმაყოფილი ან უკმაყოფილო სასამართლო გადაწყვეტილებით? კიდევ რატომ?

დანართი #7: შესწავლილი საქმეების ზოგადი აღწერა

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს პირველადი და მეორადი სამიზნე ჯგუფების შემადგენლობას, აგრეთვე დაკვირვებისა და ინტერვიუს ჩატარების თარიღებს დაკვირვებისა და ინტერვიუების ჩატარების მიზნით.

საქმის #	თარიღი	საქმის ტიპი	მოსამართლის #	საქმის #	თარიღი	საქმის ტიპი	მოსამართლის #
1	06-02-2023	სამოქალაქო	#1	9	24-03-2023	სამოქალაქო	#9
2	08-02-2023	სამოქალაქო	#2	10	24-03-2023	სამოქალაქო	#10
3	16-02-2023	ადმინისტრაციული	#3	11	31-03-2023	ადმინისტრაციული	#11
4	20-02-2023	ადმინისტრაციული	#4	12	13-04-2023	სამოქალაქო	#12
5	21-02-2023	ადმინისტრაციული	#5	13	19-04-2023	სამოქალაქო	#13
6	22-03-2023	ადმინისტრაციული	#6	14	19-04-2023	ადმინისტრაციული	#6
7	22-03-2023	სამოქალაქო	#7	15	19-04-2023	ადმინისტრაციული	#6
8	23-03-2023	სამოქალაქო	#8	16	21-04-2023	ადმინისტრაციული	#14

ქვემოთ ცხრილში მოცემულია შესწავლილი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების დავის საგნების სიხშირე, მხარეთა რაოდენობა წარმომადგენლით/ადვოკატით; მხარეების სქესი და ასაკი.

(q4) დავის საგანი სამოქალაქო	(%)	(q4) დავის საგანი ადმინისტრაციული	(%)
სახელშეკრულებო სამართალი	12.5	საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა	25.0
შრომის სამართალი	12.5	საგადასახადო ვალდებულება	12.5
საოჯახო სამართალი (მემკვიდრეობა)	12.5	წვრილმანი ხულიგნობა	12.5
კომპენსაციები/ზარალი	25.0	სტუდენტური ვიზა	12.5
დავალიანების/სესხის დაფარვა	25.0	ლტოლვილის სტატუსი	25.0
მხარდაჭერის მიმღების აღიარება	12.5	ზედამხედველობის ოქმის დამტკიცება	12.5
სულ	100.0	სულ	100.0
(q6, q7) მხარეები ადვოკატით		(q13) მხარეების ასაკი	
მოსარჩელეები	75.0%	საშუალო	39.34
მოპასუხეები	68.8%	სტდ. გადახრა	12.188
(q12) მხარის სქესი		მინ	19
მამრობითი	46.9%	მაქს	71
მდედრობითი	53.1%		
სულ	100%		

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს მხარეთა სასამართლო გამოცდილების აღწერით სტატისტიკას, როგორიცაა დავების რაოდენობა და დასწრებული სხდომები, ასევე მიმდინარე დავის ხანგრძლივობა (თვეები) და მიმდინარე სხდომის რიგი.

(q14) დავები, რომელშიც მონაწილეობდა მხარე	რ-ბა	%	(q15) მხარის დასწრება სესიებზე	რ-ბა	%
ბევრი/არ მახსოვს	13	40.6	ბევრი/არ მახსოვს	12	37.5
მახსოვს	19	59.4	მახსოვს	20	62.5
საშუალო	4.00	-	საშუალო	5.20	-
საშუალო	1.44	-	საშუალო	2.00	-
სტდ. გადახრა	11.160	-	სტდ. გადახრა	15.285	-
წთ	1	-	წთ	1	-
მაქს	50		მაქს	70	-
(q16) მიმდინარე დავის ხანგრძლივობა (თვე)	რ-ბა	%	(q17) მიმდინარე სესიის რიგი	რ-ბა	%
საშუალო	11.56	-	პირველი	18	56.3
სტანდარტული გადახრა	2.00	-	მეორე	8	25.0
საშუალო	18.237	-	მესამე	3	9.4
წთ	0	-	მეოთხე+	3	9.4
მაქს	72	-	სულ	32	100.0